


ინგა გუგუბერიძე



K 18320  
2



... ერთი ტყნა ბჟის მხრახბა ჰიჟდრდ

821.353.17.85

8593/



ინგა გოგიბერიძე

ხელს აყვამს  
გიგოთიძის  
სამსახურს.  
ი.გ.

27.01.2015

... ერთი ტონა ბლის მურაბა ჭილდოდ  
(ინტერვიუების კრებული)

K 18320  
2

2012

ბათუმი-2015 წელი

ძ-01



ჩივნის ყდაზე გამოყენებულია მხატვრების  
მუღუა კეილიას და შიშა ბერძენიშვილის ნახატების ფოტო ესკიზები,  
რისთვისაც ავტორი დიდ მადლობას უხდის მათ.

შენ, ჩემიანი ხარ?

შე თქვენიანი ვარ?

თქვენ ყველანი ჩემიანები ხართ!!!

ავტორისაგან

მუდამ ახლის ძიებაშია ან კარგად მივიწყებული ძველის ვაცოცხლებაშია.

აღამიანთა გაერთიანებისთვის მზრუნველი ბევრი სხვადასხვა - სასიკეთო ქცევისა თუ პროექტის სულის ჩამდგმელია. როგორც - თავად აცხადებს, ცდილობს საზოგადო საქმისთვის დაუნახებლად-გამოიყენოს საკუთარი უშრეტო ენერჯია.

ინგა გოგიბერიძის ნაწერებიდან და მინიატურებიდან კარგად ჩანს ავტორის სულიერი სამყარო, მისი ქალისხური ხელუბის მიერ სამკაულებად აკინძული თუნდაც უბრალო ქვები კი ნატიფი და ბევრის მთქმელია. გრჩება განცდა, რომ რა-მაც სულსა და გულს ჩადებ, სიყვარულით გააკეთებ. უბრალოც - რომ იყოს. თვალისმომჭრელ სილამაზედ გარდაისახება.

ირმა შირბაშვილი.

ქ-ნო ინგა, ბათუმიდან ბრძანდებით, მოგვიყვით თქვენი წარმომობის შესახებ.

დროზე აღრე გამოვედი დედის მუცლიდან... ვტყობა იქაც ვიცოდი, რომ ყველაფერი მეჩქარებოდა და სწრაფად უნდა მეკეთებინა რაღაცა... როგორც პატარა თავვი ისეთი ვიყავი... აღბათ ამიტომაც ვამანებივრეს და ბავშვობაში კარგა ხანს მეგონა, რომ ჩემზე ლამაზი და კარგი არაფერ იყო ამ ქვეყანაზე... ბევრი დრო დამჭირდა და ძალისხმევა ამის გადასალახავად. ძალიან ბედნიერი ბავშვობა მექონდა - ერთ ულამაზეს საპორტო ქალაქში დავიბადე, სადაც მუდამ თეთრი მაგზოლიები ყვავოდნენ... ერთ ულამაზეს ქუჩაზე გავიზარდე, სადაც წელიწადის ყველა დრო ჩემს სულში ნაკვალევს ტოვებდა... კლასი ყველაზე გამორჩეული მყავდა: პირველი სკოლის პირველი ა-დან მეთერთმეტე ა-მდე რჩეულები, ლამაზები და ჭკვიანები - ყველა ხუთოსნები... მაშ როგორი შეილი უნდა ვყოფილიყავი აქედან? - სათუთი და სათნო, მოსიყვარულე... სკოლა

მედალზე, ხოლო პედაგოგიური უნივერსიტეტი ჩითელ დიპლომზე დაუამთავრე.

პედაგოგი, რომელიც არასდროს დაგავიწყდებათ?!

ღალი მახარაძე, რომლის ნახწავლი ხსკეთე მომყვება დღესაც. ის ჩემი დაწყებითი კლასის მასწავლებელი გახლდათ.

ინგა, რა ასაკში მიხვდით, რომ უნდა გეწერათ?

ორი წლის წინ დავიწყე წერა... ღამე რაღაცა მალეძებდა... ხან შვილიშვილის ფანქრებით ვწერდი, ხან მის სახატავ რვეულებზე. გვიან მივხვდი, რომ ღამით პასტა და თურცელი მჭირდებოდა. ეს მოულოდნელი იყო ჩემთვის.


თქვენი ნაწერების პირველი შემფასებელი ვინ იყო?

ჩემი ქალიშვილი.

ტკივილი, რომელიც მძიმედ გადაიტანეთ? მამა რომ გარდაამეცვალა, 23 წლის ვიყავი და მეგონა სამყარო დაიქცა (რაც მაშინ მეგონა, იგივეა დღესაც) იმიტომ, რომ აღარსად არ არიან ისეთი მამები. მე და ჩემს დას რომ გვერგო წილად. ეკლესიაში არ დავდიოდა, მაგრამ ნამდვილი მართლმადიდებელი ქრისტიანი იყო ყველა თავისი ქცევით, საუბრით. მშვიდი ხმის ტემბრით, უღამანესი ღიმილით, მოყვასისადმი უდიდესი სიყვარულით. მე მინდა მას ვგავდე... თუ აქამდე ვერ მოვახარხე, დღეიდან მაინც... განსაკუთრებულად მიყვარდა მამა და თუ რაიმეს მივალწიე, მარტო იმის სიყვარულით, რომ მამას ასე გაუხარდებოდა.

თქვენი უსაზღვრო ენერჯის საიდუმლო?

აღბათ ხსკეთე (ილიმის) მთელი ცხოვრება სიკეთის ძებნაში ვიყავი და ვარ... ვერ წარმომედგინა, ბოროტი და შურიანი ადამიანი რას გრძნობდა, იმიტომ, რომ მე ყოველთვის კარგზე ვფიქრობდი. მაშინაც კი, როცა მაწყენინებდნენ ხოლმე, ორ დღეში მაგიწყდებოდა. ნამდვილად ვადიოდა გულიდან წყენა და ის მახსოვდა მარტო, თუ რა კარგი გამიკეთა ამ ადამიანმა... მედალს ხომ ორი მხარე აქვს, ერთი კარგი და მეორე ცუდი, მე მარტო კარგიდან ვიყურებოდი და ვიყურები ახლაც... ამიტომაც ვგრძნობ თავს კარგად ჩემს პატარებთან და ზღაპრებთან ერთად.



რუსული ენის სპეციალისტი ვარ. ბიბლიოთეკამდე 14 წელი აჭარის კულტურის სამინისტროში ვმუშაობდი და თანაც. ძალიან წარმატებულად. კოლეგიის მდივანი, საიდუმლო სექტორის გამგე-მინისტრის თანამშემწე... მაშინ ვფიქრობდი, რომ რასაც ვაკეთებდი, სრულად დამაკმაყოფილებელი იყო ჩემთვის: ვღებულობდი მონაწილეობას ფესტივალებში, კონცერტებში, საღამოებში... მაგრამ როცა ბათუმის საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორად გადამიყვანეს სამინისტროდან, სწორედ მაშინ დაიწყო ყველაფერი-ჯერ შემფოთება, რომ არ მინდოდა სხვა სამსახური, მერე მოწონება და მხოლოდ ბოლოს შეყვარება და გააქტიურება... ჩემი ასეთი გააქტიურება კი ბავშვების დიდმა სიყვარულმა გამოიწვია და კიდევ იმის დანახვის სურვილმა, რომ ტყუილად არ მოვედი ამ დალოცვილ ქუეყანაზე. 50 წლის გადასასვლიდან სხვანაირად ვუყურებ ყველაფერს... ვერ მივხვდარვარ უკან დარჩა უფრო სასურველი დღეები, თუ წინ მელოდება საოცრება. სწორედ ამ საოცრებების ძებნაში დავიწყე სხვისი ვარსკვლავების და ნიჭის ამოცნობა. მინდოდა, ისეთი ახალგაზრდები მეპოვა და გამომეყვანა სამშეომე. ვისაც ჩემი დახმარება სჭირდებოდა. ამიტომ 2012 და 2013 წელი თითქმის თავაუღებელ შრომამი გაუატარე. ვკითხულობდი ყველაფრს, წიგნებიდან. სოციალური გვერდებიდან, რასაც წაგაჩუცდებოდი, ვიწერდი. მაშინ ასე კარვად ვერ ვფლობდი კომპიუტერს და მივხვდი, რომ ჩემთვის ბიბლიოთეკაში ყოფნა მარგალიტია, იმისათვის რომ სხვისი ნიჭი აღმოვაჩინო და ვიკითხო ქართულად, რადგან განათლება რუსულად მაქვს მიღებული.

სოციალური ქსელის სამუალებით ბევრი პროექტი განახორციელეთ.

ძალიან მეხმარება სოციალური ქსელი. მე ვზივარ და ჩემი მეგობრების ლექსებს, ჩანაწერებს. ნოველებს, მოთხრობებს, ყველაფერს ვკითხულობ. არასოდეს მოწონება არ დამიწერია, თუ არ წამიკითხავს და გულში არ ჩამიხუტებია. შემდეგ მათ შემოქმედებას პოპულარიზაციას ვუწევ. ამას მთელი სულით ვაკეთებ, იმიტომ, რომ

ამ გვერდს დიდი ძალა აქვს და ეს ძალა მინდა სიკეთეში მოიხმაროს ყველამ.

იყო კრიტიკა? როგორ რეაგირებთ კრიტიკაზე?

კრიტიკასთან, რაც არ უნდა ვიძახოთ მისაღებიაო, მაინც ყველას გვიჭირს შეგუება. თუმცა დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინ გაკრიტიკებს. ხან მისაღებია, ხან არა.

ინვა და ადამიანები...

სულ კარგს ვთქვით ადამიანებზე. ეს ჩემი ძირითადი თვისებაა.. ამ ბოლო დროს ჩემმა ცოტათი გამომწეურებამ ზოგიერთი ადამიანი ძალზედ დაამწუხრა, მაგარმ ეს მათი პრობლემაა... მე მოყვარს ადამიანები და შედმივად იმედის დირიჟაბლში ვზივარ, იქვე უმარამაზარ პურს ვაცხობ და ყველას ვურიგებ მთელ ქვეყანაზე.

როგორც შეუღლე და დედა ხართ? ამერიკაში 4 წელი შეუღლესთან ერთად ვაგატარე. მოუხედავად იმისა, რომ იქ მძიმე წლები გვქონდა. ეს იყო ჩემთვის ყველაზე საუკეთესო წლები შეუღლესთან განმარტოების, მე იმ მუსიკას ვუსმენდი, რაც მას უყვარდა, ერთად ვუყურებდით საღამოობით ფილმებს, ერთად დავდიოთ საყიდლებზე, ერთად ვიცინოდით და ერთად გვენატრებოდა შეილი, რომელიც აქ დაეცოვით. ეს ჩვენი უფრო რიგად შეუღლების და დამეკობერების წლები იყო (ილიმის), რაც შეეხება იმას, თუ როგორი დედა ვარ, ერთხელ დაუჯექი და ყველაფერი დაეწერე, რასაც ვგრძნობდი... „ნუ გეშინია დედა, ნუ გეშინია დედა“- დედამიწაზე რამდენჯერ ნათქვამი ეს ფრაზა წამომიციფდივდა ამ დამის ფიქრებიდან. ნეტა საიდან მოდის შიში, რომელსაც შვილი ვერ ძლევს დედის გარეშე, ალბათ მეცლად ყოფნის პერიოდიდან. იმ პერიოდიდან, როდესაც ჭიპლართ გადახლართული ერთი ორგანიზმი ერთად სუნთქავს, ფიქრობს, უსმენს და აზროვნებს კიდევ. ალბათ ეს ჭიპლარი იმ ხეიარებს და ლიანებს გავს, ტროპიკულ ტყეებში გზა რომ გადაუკეცია და თუ არ ამოძირკვე ან ამოჭერი ძირფესვიანად, ვერაფრით ვერ გაივლი, შეიძლება ეს ჭიპლარი საცალფეხო ბილიკს გავს, სადაც მთელი ცხოვრება დაღხარ და დედის ხმა გესმის უკან – „ნუ გეშინია დედა!“ შეიძლება ეს დროა... ის

დრო. რომელსაც ვერც შეაჩერებ. საათივით ვერც წიხ და ვერც უკან გადასწევ... აბა რას მიხვდები, შენ ხომ ჯერ კიდევ შილი ხარ და დედის ხმა ისევ ჩაგვისმის — „ნუ გეშინია დედა!“ არა, არ მეშინია, არაფრის არ მეშინია დედა, პასუხობ ყალბად... სინამდვილეში კი გეშინია, ყველაფრის: ქარის, წვიმის, მშის, მთეარისაც კი და უფარსკვლავებო ცისაც. ქარი საშინლად გიწეწებს თმებს. შეიძლება ტანსაცმელიც კი შემოგახიოს და დარჩები შერე გაშიშვლებული. მართლა შეგეშინდება, მზემ არ დაგხედოს და არ დაწეას და დაფერფლოს შენი შიშველი სხეული. წვიმა? ისიც არ მოგწონს. ყველაფერს ასველებს. თებსაცმელები უშნოდ ჭყლაპუნობენ და სასტიკ ხმებს გამოსცემენ. აბა დააკვირდი? ასე არ არის? ასეა კი... მაშინაც გეშინია ცას რომ ახედავ და ბევრი უარსკვლავის გარდა რამდენიმე დაგხვდება. ისინიც ხომ მკრთალად ანათებენ და სულამდე არ აღწევენ. კი გეშინია, მაგრამ გათენებას უცდი. მთაფარია, მართლა არ შემოგეპაროს ეს შიში შორიდან. შენს გულში არ გაიდვას თესვები და შიშის თყალეებით არ შეხედო დილის გათენებას. ნუ გეშინია დედა! მალე გათენდება! მალე განათდება სამყარო და დაინახავ რომ ყველაფერი კარგად იქნება, ნუ გეშინია დედა!

მალაღმთიან სოფლებს მხარდაჭერა გამოუცხადეთ რას ისახავდა მიზნად ეს აქცია?

პირველად პატარების გახარებას, წიგნიერების დამკვიდრებას და წიგნთან დაახლოების პროცესს, მაგრამ ადგილებზე რომ აგედი, მაშინ მიხვდი უფრო მწარედ აჭარის მალაღმთიანეთის პატარებისათვის, როგორი საჭირო და აუცილებელი ყოფილა წიგნები. მე მათმა გულწრფელმა ცრემლმა ამიყვანა იქ და მათმა გულწრფელმა სიხარულმა მათქმევინა — ერთ წუთში ჩატყული პროექტის მადლი, რომელსაც მგონი უკვალოდ არ ჩაუვლია.

გარდა თქვენი შემოქმედებითი საქმიანობისა. ქმნით სამკაულებს, სუვენირებს, მისალოც ბარათებს, გამოფენებში მოაწყვეთ, როგორ ახერხებთ ამდენს?

მეც არ ვიცი როგორ ვახერხებ... ნამდვილი გულით და უდიდესი სიყვარულით ვაკეთებ... ბავშვობიდან ასე ვიყავი: უფრო

მიხაროდა, როცა სხვას ვჩუქნიდი საჩუქარს, ვიდრე მე მჩუქნიდნენ...  
ახლაც ასე ვარ: მიხარია, სხვას რომ გაეამშვენებ, სხვას რომ  
უფრო გაუხარდება, მაშინ ვარ ძალიან ბედნიერი.

რა მასალას იყენებთ საქაულებიან შესაქმნელად?

ძირითადად უბრალო ქვევს და პლასტმასებს, მაგრამ თუ  
შევევთა მაქვს, მაშინ ქარვას და ზურმუხტს.

რეალურ ცხოვრებაში თქვენს გარშემო მყოფ ადამიანთაგან  
ვინ არის თქვენთვის მისაბაძი?

აუცილებლად დავასახელებ გიორგი კეკელიძეს. როგორც  
ძალიან კრეატიულ და პრომისმოყვარე ადამიანს, მის შემოქმედებით  
ნიჭზე რომ აღარაფერი ვთქვათ. მასზე, როგორც საუკეთესო  
მმართველზე, კარგ ნოვატორზე დაუსრულებლად შეიძლება საუ-  
ბარი. მხოლოდ ერთი ფაქტიც კი კმარა მის დასახსიანათებლად. იგი  
ძველ, გადაყრილ მაკულატურაში თანამშრომლებთან ერთად წიგნებს  
არჩევს, ეგებ რაიმე ვნახო ისეთი, ბიბლიოთეკის ფონდი რომ  
გავაძლიდროთ. ამას ხომ უნდა მოფიქრება?! მიყვარს ასეთი ახალ-  
ვაზრდა, მოაზროვნე ადამიანები.

ზოგადად იკლო გმირების რაოდენობამ... ძალიან იკლო...  
მაგრამ ჩემი ძველი მეგობარი, უნიჭიერესი ქალბატონი იმა ვეფვაძე  
მინდა ვახსენო. ქართველი ქალის განსახიერება, ქალის, რომელიც  
მისი ნიჭით და უნარით ერისთვის სასიკეთო საქმეებს აკეთებს, ასევე  
ქალბატონი ნინო ჯიბუტი... ეს ქალბატონი წელს ლიტერატურულ  
კონკურსს „ოდეონზე“ გაეცანი სოფელ ღორემაში... ქალბატონი  
ნინო დიდი სიყვარულით ყოველ მერვე დღეს მირეკავს, მუხმიანება,  
მოძიკითხავს თბილად... ჩემს საქმიანობაზე კითხულობს  
დაწერილებით, საჩუქრებიც კი გამომიგზავნა... აღარ შეგონა ასეთი  
უანგარო ადამიანები კიდევ თუ არსებობდნენ.

რას ნიშნავს იყო „წარმატებული ადამიანი“? თქვენი აზრით, რა  
არის ამისათვის საჭირო. რას ურჩევდით ახალგაზრდა თაობას?

წიგნთან სიახლოვეს. ქართული ტრადიციების შენარჩუნებას და  
დაცვას.

კითხვა, რომელზეც არასდროს არ გაქვთ პასუხი?

როგორი ამინდი იქნება ხვალ?(იცინის)

ზღაპარი, რომელიც მთელი ცხოვრება გახსოვთ?

პეპი ვრძელი წინდა. ბავშვობაში სულ მასსავით ვიკეთებდი თმებს. სურათიც მაქვს.

საკუთარ თავისთვის ხშირად დასმული კითხვა?

რა გავაკეთე არასწორად, რომ 5 წელი ამერიკაში შავ მუშად მომიჩნია ცხოვრება მეუღლესთან ერთად... ერთი და იგივე შეცდომას ვუშვებ ხოლმე: სხვას ვეხმარები და მერე მე ვრჩები დასახმარებელი. მაგრამ მაინც ვაგრძელებ, სხეანაიარდად არ შემძლია.

თვლით, რომ ეს თქვენი ცხოვრების შავი ფურცელია თუ გამ ოცდილება? მართლმადიდებელი ბრძანდებით და იქნებ ამით დაგამდაბლათ უფალმა?

არასოდეს ჩამითვლია, რომ შავი ფურცელია... ადამიანი უნდა იყოს სიმდაბლით სიმაღლის მომპოვებელი. და თუ მე ეს შემაძლებინა უფალმა, მადლობა უფალს!

ქ-ნო იზგა, რას ურჩევდით უცხოეთში სამუშაოდ წასულ ოჯახებს? გამიხარდა ეს კითხვა რომ დამისვით. ვურჩევდი, მალე დაბრუნდნენ საქართველოში... არასოდეს გაუშვან ქმრებმა ცოლები და ცოლებმა ქმრები მარტო სამუშაოდ უცხოეთში... იმიტომ მარტოსულის დაბრუნების შანსი ნული პროცენტია, ოჯახის კი – 10 პროცენტი... აქ ძალიან ბევრი წინაღობაა... ამიტომაც დიდი მადლობა უფალს, რომ სამშობლოში დავბრუნდი ყოველგვარი ჭოჭმანის გარეშე.

როგორ იქცევით, როცა რაიმე სიტუაციიდან გამოსავალს ვერ ხედავთ?

მიუხედავად იმისა, რომ რთულია ცხოვრების გზა, არ ვფიქრობ, რომ არის სიტუაციები, საიდანაც ვერ გამომავალ. ასეთი სიტუაცია მხოლოდ ვარდაცვალებაა. მე ფერფლიდანაც აღდგები, აი ასეთი ხასიათის ვარ!

საინტერესოა, რას ნიშნავს „ფერფლიდან აღდგომა“, რა „რეცეპტი“ გაქვთ?



არასოდეს არ ჩამოვუშვებ ცხვირს (ილიმის) ყოველ დღით  
ახალი იღვებით მოვდივარ... ჩემი დაიკო მეტყეის ხოლმე: ინგა მე  
გამანდე სანამ სხვას ეტყოდლო. ვიბრძვი, ვუფიქრობ, ვიგონებ (ცოტა  
იუმორიც მეხმარება), ვანსახიერებ – მოკლედ ასეთ ღროს  
ფცოცხლობ... არ ვკვდები (იციინის)

როგორია ინგა გოგიბერიძის სამომავლო გეგმები.

ძალიან კარგი გეგმები მაქვს, თუმცა ამაზე წინასწარ საუბარი  
არ მსურს (იციინის).

ირმა მირზაშვილი.

თბილისი-ბათუმი

„გეტყვიო - უფრო დავჭრივარ, ვიდრე ვფუესფუესებ“-ინტერვიუ საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკის მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილესთან გიორგი კილაძესთან

...როდესმე ინტერვიუ თუ მიგიციათ ჟურნალისტისათვის, ეს მნიშვნელოვანია ჩემთვის, ბატონო გიო!

...უპირველეს ყოვლისა, დიდი მადლობა, ჩემით რომ დაინტერესდით. კარგია, როცა შენით ინტერესდებიან. მითუშეტეს, როცა თვლიან, რომ სათქმელი გაქვს და ეს სათქმელი მხოლოდ ორისთვის არ არის საინტერესო. ინტერვიუ, რა თქმა უნდა, მიმიცია ჟურნალისტებისთვის. მაშინაც, როცა გამოცემლობას ვებლმძღვანელობდი და მერეც, რაც ეროვნული ბიბლიოთეკის მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილედ ვუშაობ.

ორი ინტერვიუ კი უნდა გამოვეყო, პირველი ჟურნალ „გზაში“ გამოქვეყნდა, მეორე - „გურიის შობბუში“. საინტერესო კითხვებს ვუპასუხე. დიდი მადლობა თამუნა კვინიკაძესა და ლია კილაძეს.

...ძალიან სასიამოვნოა, თქვენ ჩემი პირველი რესპოდენტი ხართ... ინტერვიუ ჩემთვის ადამიანის სულის ნაწილის გადმოცემის საშუალებაა. ჩვენ ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ და რა არის ის, რაც თქვენ ბავშვობიდან წამოიღეთ და დღესაც სათუთად ინახავთ.

...ხშირად არა, მაგრამ მიფიქრია ამ კითხვაზე. დასკვნა ყოველთვის ერთი მაქვს: ყველაფერი. თუკი კარგი მაქვს ბავშვობაში მაქვს შეძენილი, ბავშვობის დროინდელია. შმობლების, ნათესაეების, მასწავლებლების, მეგობრების ადამიანების სიყვარული მომაქვს ბავშვობიდან. წიგნის, უფრო კითხვის სიყვარული მომაქვს ბავშვობიდან და შართლაც სათუთად ვუფრთხილდები.

...მე მიყვარს წარმატებული და მოფუესფუესე ადამიანები. სწორედ ასეთად მიმაჩნისართ თქვენ და შინდა, საზოგადოებას თქვენი ახალი პროექტის „ამეტყველე ფოტოს“ შესახებ მოუყუეთ.

...თქვენი ნებართვით „წარმატებულით“ დავიწყებ. ალბათ. ვარ... მაქვს ოჯახი, სადაც აღამიანებს ერთმანეთი უყვართ და აფასებენ და მაქვს სამსახური, რომელიც საკუთარი თავის რეალიზების შესაძლებლობას მაძლევს. რაც შეეხება ფუსფუსს, აქ ცოცხა სხვაგვარად მაქვს საქმე... მოკლედ გეტყვით, უფრო დავეჭრივარ, ვიდრე ვფუსფუსებ. რაც შეეხება „ამეტყველე ფოტოს“, პროექტი არის უფრო დიდი პროექტის - "ერთად შევქმნათ ციფრული ფოტომატიანი", პირადი თუ პიროვნული მხარდაჭერა. პროექტს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა და "ჯეოსელი" ახორციელებს. ვუფიქრობ, ძალზე საინტერესო და საჭირო პროექტია და მინდოდა და, ბუნებრივია, ახლაც მინდა, მის შესახებ ბევრმა აღამიანმა იცოდეს. პროექტი დავიწყე, პიარის თვალსაზრისით არც თუ ისე მომგებიანი გზავნილით - „აბა, მე რა უნდა ვთქვა, ფოტოები თავად აშობენ...“ მაგრამ პირველივე ფოტოს „ფუისბუკელი“ მეგობრის „კინო მანის“, სამწუხაროდ, სახელი და გავრი არ ვიცი, საოცარი კომენტარი მოჰყვა: "თქვენი იდეა - „ამეტყველებული ფოტოები“ იმდენად მომეწონა, დღეს ბაგუშობისდროინდელი ალბომები მოეძებნე, არაციფრული ფოტოებით და წერაც დავიწყე, ძალიან საინტერესო და სასიამოვნო გამოვიდა წერის პროცესი: დროის, აღამიანების, ურთიერთობების, ემოციების გახსენება-აღდგენა, გმადლობთ კარგი იდეისთვის!" კარგი ნათქვამია, გადავიკითხე და კიდევ უფრო მომეწონა... მაღლობა "კინო მანს", მაღლობა პროექტის ყველა მონაწილესა და მხარდამჭერს... და რაღა თქმა უნდა, მაღლობა თქვენ და 15 სექტემბერს პროექტის წარდგინებაზე დღესვე გუპატივებით.

დიდი მაღლობა მოპატიუებისათვის... ძალიან ძნელია იმ ფოტოებთან მუშაობა, საიდანაც გარდაცვლილი აღამიანები იმზირებიან... საიდანაც ჩვენი წარსული იხედება. რა არის თქვენთვის ჩვენი ისტორია?

...იცი, მხოლოდ ნაწილობრივ დაგეთანხმებით იმიტომ, რომ გარდაცვლილთა ფოტოების დამუშავებისას ვუფიქრობ, რომ კარგ საქმეს ვაკეთებ. ვუფიქრობ, რომ შათ სიცოცხლეს სხვებშიც ვაგ-



რძელებ. ფოტოგრაფთა სიცოცხლესაც ვავრძელებ და მათი მთამომავლების სულიერი ნათესავი ვხვდები. რა არის ჩემთვის ჩვენი ისტორია? მოკლედ გეტყვით, - შესწავლის, გადააზრების, დაფიქრების, უფრო ხშირად - სიამაყის, არც თუ იშვიათად - სინანულის, ხანგრძლივი, დასავიწყებლად არ თუ ვერ ვასამტეხებელი პერიოდი.

...თქვენ არაერთ კარგ პროექტზე მუშაობთ. თუნდაც, ლიტფორუმი „ებლიტფო“. როგორ დაიწყო ეს ყველაფერი და რას მიაღწიეთ ამ პროექტით?

...გურულად გეტყვით, იმედია არც თქვენ და არც ჩვენს შვითხველს არ ეწყინება, "კარგ პროექტებს მართლა არ ვუჩივი". რაც შეეხება "ებლიტფოს", ის არის საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტერატურული ფორუმი. შვიდწლიანი ისტორიით, წარმატებით, აღმართებითა და დაღმართებით. უამრავი პროექტით. დამეგობრებული ადამიანებით. შედგენილი კრებულებითა და კიდევ ბევრი, როგორც დღეს ვამბობთ, აქტივობებით. ვაკადნიერდები, ქალბატონო ინგა და ვეტყვით, სახიფათოა ჩემთან "ებლიტფომზე" საუბარი... ცოტას ვიტყვი - თავისთავად ცოტაა, ბევრს ვიტყვი და მაინც არ მყოფნის... "ებლიტფო" დიდი ისტორიისა და დიდი მომავლის დიდი ლიტერატურული ფორუმი... რას მიაღწიე? ჩვენ ერთად შეექმენით ადგილი, სადაც უკვე 7 წელია მხოლოდ და მხოლოდ ლიტერატურაზე საუბრობენ. სადაც პატივს სცემენ განსხვავებულ შეხედულებებს და, რაც მთავარია, უყვართ ლიტერატურა და ლიტერატურის მოყვარულები

...ეს არის ალბათ ბედნიერება ბატონო გიორგი იცით, რატომ დავინტერესდი ასე თქვენი პიროვნებით? თანამედროვე პერიოდში იშვიათია ადამიანი, რომელიც ასეთ დატვირთულ დროში კიდევ წერს და კიდევ ბევრს კითხულობს. სულ აქვეყნებთ ხოლმე. ეს წაეიკითხე და თქვენც გირჩევთ, როგორ ასწრებთ ამას?

...ვერ გეტყვით, რომ ბევრს ვკითხულობ. საშუალო სტატისტიკურ ქართველზე, ალბათ. ცოტა მეტს. მაგრამ ეცდილობ, წიგნი უბრალოდ არ გადავიკითხო... ზოგჯერ გამომდის, ზოგჯერ - არა. რაც შეეხება წერას, ამაზე ასე გეტყვით: "არის ჩემში რაღაც



გრაფომანული". ერთხელ ვთქვი და გავიმეორებ, " გრაფომანობა ავადმყოფობა არ არის, გრაფომანობა წერის სიყვარულია. შეუძლებელია, არაფერი დაწერო, როცა ენის თითქმის უცოდინარი ბედავ და, მაგალითად, კურტ ვონეგუტის შედევრს თარგმნი. ასევე შეუძლებელია, მაგალითად, ქარდა ქარდუხის "ძაფზე მოხეტიალე სული" ისე, სხვათაშორის წაიკითხო და წერა არ მოგიხდეს... შეუძლებელია, ამელ ინოტომის "მოკალი მამა" წაიკითხო და თიდიპოსი არ გავახსენდეს და ამაზე რამე არ შემოგეწეროს... გამიგრძელდა სიტვა და ამიტომ მოკლედ ვეტყვი, ვწერ იმიტომ, რომ კითხვა ვისწავლო. არ მეყო ჩემი წლები წიგნის კითხვის სასწავლად.

...ვიცი, რომ წერთ. წიგნები თუ გაქვთ გამოცემული? თუ არის, გავაცნოთ შკითხველს.

...ამ კითხვას ზემოთ ხსენებულ ინტერვიუში ვუპასუხე. აქაც იმასვე გავიმეორებ: თანაავტორი ვარ კრებულისა „ფარნაოზ ჩიკვილაძე – ცხოვრება და სპორტული მიღწევები“. მეორე სამეცნიერო კრებული გახლავთ, "საზოგადოების, ბუნებისა და წარმოების სისტემური ურთიერთკავშირის ასპექტები და გარემო ბუნების დაცვაზე ორიენტირებული საბაზრო-ეკონომიკური ურთიერთობები". რომელიც ცხოვრებულ გიორგი წერეთელთან თანაავტორობით გამოიცა. ახლარ იგივე მესამე წიგნზე ვმუშაობ. „სხვის წიგნებში მოხეტიალე კაცის ფიქრები“ ვაქმევა წიგნს და ორი წლის შემდეგ გამოვა. შემძლია, თუ და რიცხვიც გითხრათ - 22 ივნისი, 50-ის რომ გავხდები. ბევრი მაქვს იქამდე წასაკითხი და კიდევ ერთხელ წასაკითხიც.

...წარმატებებს გისურვებთ ...მე ვკითხულობ ამ წიგნიდან ნაწყვეტებს თქვენს ვერდზე და თუ იმ წიგნში ვმოგზაურობ თქვენთან ერთად, რომელიც არ წამიკობხავს, სურვილი მიჩნდება აუცილებლად წაიკითხო... მაღლობთ ამისათვის, ჩემთვის სიყვარული და ბედნიერება აღამიანებთან ურთიერთობებით განისაზღვრება. ტრაფარეტულად შეგეკითხებით. რა არის სიყვარული და ბედნიერება თქვენთვის?

...ის, რაც საკეთარ თავს გაეიწყებს... სიყვარულზე მოგახსენებთ. ბედნიერება სიყვარულის უნარია... მართლა დიდი ბედნიე-

რებაა, შეძლო და შეიყვარო ადამიანები, როგორებიც არიან. ხშირად ვერ ვახერხებ და ვული მწყდება.

...ისეთი ენერგიული ადამიანი ხართ, არ შეიძლება, რაიმე ახალი პროექტი არ გქონდეთ დაგეგმილი და გაგეანდეთ თუ შეიძლება.

...მაქვს რამდენიმე... გზადაგზა „ეპლიტფოს“ ფეისბუქზე „გაგიშვლო“. თუცა, ერთი რომ არ ვახსენო, არ შემიძლია. სწორედ დღეს დაუდეს სტატუსად: „ყურადღება!!! შემდეგი პროექტი: „და გაისმოდა დების სიმღერა“ . წარდგინება 17 ნოემბერი. აბა, დებო, მომარტყდეთ ვიდეო ფაილები ან ბმულები... როგორი იქნება?! თუ ასეთი საღამოც ვაგეანთეთ ბიბლიოთეკაში, ბრავო თქვენ და მეც.

...წარმატებები... ყველაფერ ამის მიღმა, რატომღაც. მცირეთოდენ სუფიანაც ვხედავ თქვენში, განა ეს ცუდია, განსაკუთრებით მძაფრად მაშინ ვგრძნობ, როცა დები იმხნელების მუსიკას ამიარეთ, ხომ ვერ მეტყვიით, საიდან მოდის სევედა?

...მაპატიეთ, მაგრამ ასე უნდა გიპასუხოთ, - ცბონებული ვოდერძი ჩოხელის დიდებული წიგნიდან მოდის ჩემთვის სევედა... „ადამიანთა სევედა“ 1986 წელს გამოვიდა. სტუდენტობის მაღაზიაში ვიყიდე, საოცარი დაწყება აქვს... საოცარი წიგნია და თქვენის ნებართვით ერთი ფრაზა უნდა ვაეხსენო.“ ეეჰ, დედამიწა! ვაგისკდებოდა ვული, რომ იცოდე, რა სევედას მგერის, როცა შენს ბეჭებზე შავად ჩაცმულ ქართველ ქალს ვხედავ“...

დიდი მადლობა ბატონო გიორგი საინტერესო ინტერვიუსათვის. იმ დიდი სიბოხსათვის რასაც თქვენ ადამიანების, წიგნის, ლექსისა თუ პროზის და საერთოდ სიცოცხლის მიმართ იჩენთ...იმისათვის რომ არ ხართ გულგრილი, იმისათვის რომ არ ხართ ინდიფერენტული სახელმწიფო მოხელე და თქვენს საქმიანობას დამატებით რომანტიულ ხიბლს და საკუთარ გამოცდილებას მატყებთ. მომავალ შეხვედრამდე.

ინვა ვოგიბერიძე

გიორგი კილაძე

ბათუმი, თბილისი 2014 წელი.



„მომლიმარ პესიმისტ“ და „ცრემლიან ოპტიმისტ“  
ქალბატონთან.

ძვირფასო მკითხველო, დღეს ინტერვიუს მხატვარ ნინო ნიჟარაძესთან ორ ნაწილად წარმოგიდგენთ: ერთს ჩემს წარმოსახვითს, ერთ კი რეალურს. თავად განსაჯეთ, ავსებენ თუ არა ისინი ერთმანეთს.

წარმოსახვითი-ქალბატონო ნინო, მხოლოდ სამ შუკითხვას დავისუფამთ. ვიცი ეს საკმარისი არ არის თქვენი ამოუცნობი და ამოუწურავი პიროვნების დასახსნავად მავრამ... =ინგა გოგიბერიძე - რა არის თქვენთვის სიყვარული?

=ნინო ნიჟარაძე - როგორ ვიოხრათ, სიყვარული ბაეშეობიდან მოდის. იმ პერიოდიდან, როცა ჯერ კიდევ თოჭინებთან ერთობი და ვერ ხედები გულში ტკივილი რატომ შემოგვეჭრა. ვერ ხედები ეს ტკივილი იმ მინის ნამსხვრევის ბრალია, გუშინ რომ თავად გატყეხე ლარნაკი და უდიერად დაყარე ნამსხვრევები გარშემო თუ? თუ არაფრის! თუ ბაეშეობაში მგელის და კრავის სათამაშოებს ერთად დააწყობ და არ შეგეშინდება, რომ ისინი ერთმანეთს შეჭამენ. ეს უკვე სიყვარულია... თუ ეს ტკივილი სხვანაირი, უცნაური და სახელდაურქმეველია და დიდობაშიც გაგყვება, მაშინ შენთან სიყვარული ყოფილა და იგი არსად არ წავა!

=ინგა გოგიბერიძე - რა არის სევდა და საიდან მოდის იგი?

=ნინო ნიჟარაძე-სევდაც ბაეშეობიდან მოდის... იმ ზღაპრებიდან და წიგნებიდან, დედა რომ გიკითხავს... იმ ყვითელი ფოთლებიდან. მაშას სასერიზოდ, რომ დაჰყავხარ, ფოთლებს ჩემად იპარავ, შემდეგ შენს პატარა ჩანთაში ალაგვებ, რათა წიგნში ჩადო, გაახმო, პერბარიუმად აქციო და უსასრულობამდე უცქირო... სევდა დედის ტკბილი იაგნანის ხმაა, რომელიც დროთისა და ღამის გასაყარზე მუდმივად ჩაგვისმის ყურში ან კიდევ წვიმის ხმაა, ფანჯარაზე რომ გიკაკუნებს ამ წვიმის ქალაქში.

=ინგა გოგიბერიძე- რა არის ბედნიერება?



=ნინო ხიქარაძე - გაველიშებათ, მაგრამ ბედნიერებაც ბავშვობიდან მოდის... თუ დედის იაენანა ისე ტკბილია, როგორც პირველი კოცნა, თუ შვილის დაბადება ისეთი მწველია, როგორც მზე და თუ პირველი ნამუშევრის დახატვას მთელ გულს და სულ აქსოვ, მაშინ ეს ბედნიერებაა, რომელიც დღისით მზეს ელოდება და ღამით მთვარეს, რათა გაანათოს თქვენი ცხოვრება!

ეხლა კი რეალური ვახუბრების ჩანაწერი: - რა არის თქვენთვის სიყვარული?

სიყვარული ჩემი მასაზრდოებელი წყაროა: შემოქმედებაში, ურთიერთობაში, პედაგოგიკაში, თუნდაც-კულინარიაში...

- რა არის სევდა და საიდან მოდის იგი?

სევდა-სულის სიმია, რომელიც სიყვარულსაც კი ახლავს. სევდა წარსულთან განშორებისას ჩნდება, მერე მთელი სიცოცხლე თან გდევს, ვიბრირებს და ზოგჯერ მუსიკალური მელოდიით გვალერსება, და ბოლოს ზეციურ სამყაროშიც სევდა მიგვაცილებს, თუ დააკვირდებით - ყველა კომედიანტი (მხატვრობაში)- სევდიანია...

- რა არის ბედნიერება?

რაც ჩემთვის ბედნიერებაა იქნებ არაფრად მიაჩნდა პლატონს ან სოკრატეს, და სრულიად მიუღებელია თანამედროვე როკერისთვის. ჩემთვის ბედნიერება ქვეყანაში რომ სიმშვიდე სუფევს-ის არის. სიმშვიდეში კარგად მენატება. ხატვის დროს არის წამოერი „გადახვევები“, როცა სხავე განზომილებაში გადადიხარ, სევდით მონისლულ შრეებს გაარღვევ და იმ მწვერვალს მიაღწევ, რომელსაც ბედნიერება ჰქვია. ბედნიერებაა, როცა „საყვარელი მხატვარი“ (ქმარი) უმიზეზოდ ყვაილებს მომართმევს, ან შვილიშვილი, ეზოში თამაშის დროს ერთ პატარა ყვაილს მოწყვიტავს და შორცხვად გამოძიწოდებს.

- რა წამოილეთ ბავშვობიდან დიდობაში?

118320



სიყვარულის, სიბთოს, თავდადების და სამართლიანობის მისაბაძი მაგალითები: ბებია-პაპუების, დედ-მამის, და-ძმის და ბავშვობის მეგობრების...

- ინახავთ თუ არა მშობლების ფოტოებს გულის მედალიონში?

- ჩემი მშობლების ხსოვნას გულის მედალიონში ვერ ვატყვევ, გონებაშიც, სულშიც, მოქმედებებში, თუ გადაწყვეტილებებში-ყველგან მონაწილეობენ ისინი, როგორც საუკეთესო მრჩეველები, დამრიგებლები, სინდის - ნამუსიანი აღამიანები (და არა მხოლოდ მათი ფოტო-გამოსახულებები), მე ვაშუღებით, ველაპარაკები დედას, მნიშვნელოვან მოვლენების დროს-მამას.

- თქვენი სულიერება და მხატვრობა ერთიანია თუ არა? იქნებ რაიმე შიდაკვლით მიჩიერ ხელოვნებას?

მხატვრობა სულიერების გამოხატულების ერთ-ერთი საშუალებაა, ამიტომ იგულისხმება რომ ერთიანია. თუმცა ეს არა მე, არამედ ჩემი მხატვრობის შემუშავებელმა უნდა განსაჯოს. რაც შეეხება „მიჩიერ ხელოვნებას“ ვერ ვეთანხმები ასეთ განსაზღვრებას. ვინაიდან მიმაჩნია, რომ ხელოვნება სცდება ატმოსფერულ შრეებს და უფრო მაღალ სიმაღლეებს აღწევს, ხოლო „მიჩიერი“- (მხატვრობის) ხელოვნების საყოფაცხოვრებო ფანრია, ყველასათვის მისაწვდომი...

- აუსრულებელი ოცნება?

ბათუმი ყოფილიყო „თეთრი ქალაქი“ და არა ჭრელი, როგორც ახლანა, რომ ჩემი ქალაქი არ დამსგავსებოდა დუბაის და ბარსელონას. ყოფილიყო „ბათუმური“ არქიტექტურული სტილი, და ზღვის ხედი არ დაეთარა გაუაზრებელ შენობა-ნაგებობებს, ოცნებას ხელს უშლის დახშული სივრცე და უპაერობა... ჩემმა აუსრულებულმა ოცნებებმა ღრუბლებს მიღმა გადაინაცვლა, ვინაიდან „ოცნება მანებელია“ თუ არასოდეს არ აგისრულდება... აუსრულებელი ოცნებების სასაფლაო მცვაპია გაფანტული...

დიდი მადლობა ქალბატონო ნინო, რომ მიეცით საშუალება ჩემს ოცნებებს ასრულებულიყვნენ

.. ინგა გოვიბეროსე  
ნინო ნიფარაძე-ბათუმი, 2014 წელი..

„ჩემი აზრით სიყვარული გაიგივებულია კეთილ ადამიანთან.  
როდესაც ადამიანი კეთილია ის ყველას უყვარს და  
ესეთი ადამიანი სიკეთეს გასცემს ისე, უანგაროდ“



### -გასაუბრება მხატვარ თეიმურაზ გაგნიძესთან

=ბატონო თეიმურაზ, მე ხელოვნებათმცოდნე არ ვარ, მაგრამ ძალიან მიყვარს მხატვრობა... შევდივარ ხოლმე ინტერნეტ სივრცეში და ვათვალიერებ ნახატებს და ჩემს განწყობილებას ვუკავშირებ... თქვენი ნახატების თვალთვლება რომ დაეინფუე, გული ამიფანცქალდა... თითქოს შორიდან მოფრინავდნენ უხილავე თუ ხილული სიღრმეები ჩვენი ცხოვრების... საინტერესოა, რომელ ასაკში დაიწყეთ ხატვა? გახსოვთ თუ არა პირველი ნახატი?


- დიდი მადლობა ასეთი შეფასებისთვის, 2 თუ 3 წლიდან ვტაბხნი რადაცყვებს. ყველაზე დასამახსოვრებელი იყო მამაჩემის პორტრეტი, რომელიც 5 წლის ასაკში დავხატე. მახსოვს ყველაფერი როგორ ვხატავდი.

=რომელ მუსიკას უსმენთ, როცა ხატავთ და გავლენას ახდენს თუ არა მუსიკა თქვენს ნამუშევრებზე?

- მე ვარ დიდი მოყვარული განსაკუთრებით 70-იანი წლების მუსიკის. ადრე უფრო უსმენდი ხოლმე ხატვის ფონზე, თუმცა ახლა არა. ან იშვიათად, ვამჯობინებ მუსიკას ცალკე მოუსმინო. არ მიყვარს როდესაც მუსიკას მობილურში უსმენენ, სერიოზული მსმენელი ასე მუსიკას არ უსმენს.

=რა არის თქვენთვის უფრო მნიშვნელოვანი - თქვენი ნამუშევრები თქვენს სულს უნდა მოსწონდეს თუ სხვას?

- ნამუშევარი ან მისი იდეა ჩნდება მხატვრის გონებაში, თუმცა გარემო ზოგჯერ ახდენს გავლენას, იქნება ეს პოლიტიკური პროცესები, პირადი განცდები თუ სხვა. ჩემთვის მნიშვნელოვანია გამოვხატო ის, როგორც მე ვხედავ კონკრეტულ თემას, თუმცა მხახველს შეიძლება ეს სულაც არ მოეწონოს.



=გთხოვთ ჩვენს მკითხველს ჩამოუთვალეთ რომელ გამოყენებაში გაქვთ მიღებული მონაწილეობა და რას გეგმავეთ მომავალში გამოთენების შესახებ ჩემს გვერდზე გაიგებთ ყველაფარს. სამომავლოდ იმედია შემოქმედებითად გავავრძელეს მუშაობას თუ ღვთის ნება იქნება

=უზარმაზარი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ნახატმა „სწრაფი ძილი“...დანახვისთანავე ჩანახატი დავეწერე... აი ეს ჩანახატი:

...გუშინ, შუღღეს, რაღაც უეცრად ძილი მომერია... მიეწექა... თვალუბი დაეხუჭე და სიზმარი ენახე, რომელიც სწრაფად მოფრინავდა შორიდან, სწრაფი ძილიდან, უხილავი საწყაროდან... თან მოჰქონდა სიძეა და შრუშობა, ბოროტება და სიყალბე, ავი ცეცხლის ენები და ცხელი წყლით აღუღებული სხეულები ...საღღაც შორს. ჩემი ლურჯი ფრინველიც მოსჩანდა, სამრეკლო ზარებითა და უღამაზესი კუღით... დროის შეგრძნება დაეკარგე... ვერ ვგრძნობდი მეძინა თუ მეღვიძა... მგონი მეღვიძა. იმიტომ რომ მკრათალად მაინც გავარჩიე კეთილი ქართველი ნეზღაპრის ქუღი, საათი და ქამარი... ან იქნებ მეძინა და ეს ყველაფერი დამეხსიზმრა.-

მე ეს ნახატი ასე აღვიქვი მაინტერესებს ამ ნამუშევრის ისტორია და თქვენი ჩანათქერი?

- დიღი მადლობა სურათის ასეთი შეფასებისთვის. „სწრაფი ძილი“, ეს არის მცდელიობა სიტუზილიდან ძილში გადასვლის მომენტის გამოსახვის. არის აგებული შთაბეჭდილებებზე. სურათში არის ასევე ბევრი იმპროვიზაცია.

=დიღი მადლობა და ბოლოს... რა არის თქვენთვის სიყვარული?

- რაც შეეხება სიყვარულს ამას პაეღე მოციქულზე უკეთ აღბათ ვერავინ გვეტყვის თავის ეპისტოლეში კორინთელთა მიშართ. თუმცა რაღვან მაინც მე შეკითხებით შევეცდები ვიპასუხოთ. ჩემი აზრით სიყვარული გაიგივებულია კეთილ აღამიანთან. როღესაც აღამიანი კეთილია ის ყველას უყვარს და ესეთი აღამიანი სიკეთეს ვასცემს ისე უანგაროდ. მეტიც, შეიძლება ვერც კი ხვღებოდეს რომ

სიკეთე ვააკეთა. ეს მას ისე, ბუნებრივად გამოსდის. პირადად ჩემთვის სპირად ძნელია ვიყო კეთილი. ზოგჯერ ზედმეტი პირდაპირულობა და რადიკალიზმი მახასიათებს. თუმცა ვხვდები რა მიმართულებით უნდა ვიარო. სიკეთის და სიყვარულის გზა არის რთული, რადგან ბოროტება ასევე მათი თანამგზავრია, მაგრამ ღვთის წყალობა გადაგვარჩენს და გაგვინათებს გონებას! დიდი მადლობა!

მადლობა საინტერესო საუბრისათვის და წარმატებებს ვისურვებთ... სიყვარულში და სიკეთეში გეცხოვროთ.

ინგა გოგიბერიძე  
თეიმურაზ გავნიძე  
ბათუმი-თბილისი, 2014 წელი



დაბადების დღის მილოცვა მსახიობ ვახო გივინიშვილს!  
დღე, როცა ვიგრძენი, რომ მაყურებელს ვუყვარდი...როცა  
დამიძახეს ქუჩაში- მგელი ბიძია" მოდიხო !



დღეს ვახტანგ, ჩვენს ვახო გივინიშვილს 53 წელი შეუსრულდა...როგორ ვარბის დრო, მიფრინავს წლები...მოგონებები კი უცვლელი რჩება... ჰოდა ამ ღამეზე დღეს მოგვსალამები და მიხარია, რომ შეგვიძლია წარსულში გადავინაცვლოთ ერთად... შენ ჩემთვის ყოველთვის „საყვარელ მგელთან“ ასოცირდები... რა შეიცვალა მას შემდეგ შენს ცხოვრებაში, როცა დროებით დაშორდი საყვარელ გმირს?


=მოგვსალამები და მიხარია, რომ კვლავ ერთად ვართ და გულითად შეგვიძლია ვისაუბროთ... ისე, როგორც უწინ. ჩემო ინგა, ძალიან ძნელია როცა მსახიობი თეატრიდან მიდის. უზომოდ განვიცადე. მაგრამ რას იზამ. ცხოვრება გრძელდება. თეატრიდან თეატრში წავედი და იქაც ბევრი საინტერესო გმირი შევექმენი. რაც შეეხება მგელს...წარმატებული როლი იყო ჩემთვის

= შენ კი არა, მეც როგორ განვიცადე .....ასე მეგონა მგელი ბათუმში მხოლოდ შენ უნდა ყოფილიყავი... და მაინც რა არის შენთვის თოჯინების თეატრი?

=თეატრი ჩემი ცხოვრებაა, თეატრი ყველაფერია... ის რაც მე გარშემო მახვევია... რითიც ვსუნთქავ და მიყვარს სიცოცხლე.

=კი .ვიცოდი ასეთ პასუხს რომ მივიღებდი...მეც ასე ვფიქრობ. თუ მსახიობისათვის თეატრი მთელი ცხოვრება არ არის, მაშინ ის ვერაფერს შიადრწევს... ისე, ასე ამბობენ - ცხოვრებაც თეატრის სცენააო, რას ფიქრობ სცენაზე ხარ მსახიობი თუ სიცოცხლეში? ( ფილოსოფიური შეკითხვებიდან)

=მე მსახიობი სცენაზე ვარ. გაორებული ცხოვრებით არ მიცხოვრია.



= მართალი კაცის პასუხია. მე მიყვარს გულდია და კეთილი ადამიანები, ვფიქრობ რომ შენ ასეთ ადამიანთა რიგს მიეკუთვნები... რა არის შენთვის სიკეთე, სილაღე და თავისუფლება?

=მე მიმაჩნია, რომ სიკეთის კეთება და სიწრფელე ადამიანის შოვალეობაა ღვთისა და კაცთა წინაშე. მოვა დრო ყოველი საქმისათვის ანგარიშს მოგვეთხოვს უფალი.

=იმისათვის რომ არ ვიცოდი დღეს რას აკეთებდი ეს ინტერვიუ მოვიგონე, რათა ერთხელ კიდევ შევხშიანებოდი და მომეკითხე. შენ ისეთი პოპულარული და საყვარელი მსახიობი იყავი, რომ ვფიქრობ დღესაც არ დარჩებოდა სცენის გარეშე.. რას საქმიანობ და რას გეგმავ?

=მადლობა შექებისათვის. გეგმები ბევრი მაქვს. ახლა ვხელმძღვანელობ თოჭინების დამოუკიდებელ თაეტრს ბათუმში... დანარჩენს დრო გვიჩვენებს...

=მიხარია რომ ისევ თეატრს დაუბრუნდი... მე ჩემს გეგმებზეც გეტყვი. ბიბლიოთეკაში ვხელმძღვანელობ კლუბ „საზღაპრეთს „სადაც სიამოვნებით ჩავატარებდი ზღაპარს შენთან ერთად, ხომ არ ვიფიქროთ ახალ პროექტზე?

=ინგა, საშვილიშვილო საქმეს აკეთებ. რაც შეეხება პროექტს, დიდი სიამოვნებით ვიმუშავებ შენთან.

=ძალიან კარგი. ერთად მუშაობა და თანადგომა სიყვარულის გარეშე შეუძლებელია... სიყვარული ამოძრავებს ყველას და ყველაფერს... ჰოდა, რა არის შენთვის სიყვარული და ბედნიერება?

=ჩემთვის სიყვარული, სიხარული და ბედნიერებაა, როცა აკეთებ იმას, რისთვისაც მოწოდებული ხარ. ეს კი ღვთის მადლია.

=არის ზოგჯერ ცხოვრებაში მომენტები, როცა გიფიქრია... ნეტა ბევრი ფული მქონდესო... როგორ ფიქრობ, ფული არის განმსამღვრელი ადამიანთა ურთიერთობებში?

=რა თქმა უნდა არა!  
=ჩემთვისაც არა! მინდა სიკეთე და სიყვარული ვისურვო და ერთი ყველაზე საყვარელი დღე გაიხსენო შენი ცხოვრებიდან.



=დღე ,როცა ვიგრძენი,რომ მაყურებელს ვუყვარდი...როცა დამიძახეს ქუჩაში-„ მგელი ბიძია“ მოდისო. (იცინის)

=ისე თქვეს,თითქოს იმ ბაეშეების ხმაც გავიგონე..

=ჩემთვის მეგობრობა ბევრ რაიმეს ნიშნავს.. ალბათ ცხოვრების განმსაზღვრელიც არის .. შენთვის? მეგობრებზე მომიყვები რაიმე?

=მეგობრობა ჩემთვისაც უდიდეს რამეს ნიშნავს.მეგობარი გაჭირვებაში იბადებაო ნათქვამია... დაე ღმერთმა გვიმრავლოს ნამდვილი მეგობრები

=ამინ!

=და ბოლოს, შეცვლიდი თუ არა დღეს შენს ცხოვრებაში რაიმეს, თავიდან რომ იწყებდე ცხოვრებას?

=ბევრ რამეს შევცვლიდი...მაგრამ სამწუხაროდ ეს შეუძლებელია.

=მადლობა ინგა დატუასებისათვის. იხარე მუდამ.

ულრმესი მადლობა შენ!

ინგა გოგიბერიძე  
ვახტანგ გვიგინიძევილი.  
ბათუმი 2014 წელი. 3 ოქტომბერი



„იცით ყველაზე ძნელი რა არის? - როცა აქედან

დაღუპულების ცხედრებს ვაგზავენით საქართველოში - ეს უსასტიკესი და უძვირესი ტკივილიანი დღეა“ - ტკივილიანი ინტერვიუ ემიგრანტ პოეტ - ნანა ჩხაიძესთან

=მოგესალმებით ქალბატონო ნანა... სუთნა წელი ამერიკაში ვცხოვრობდი და ვიცი რა არის ქართველისათვის საზღვარგარეთ ცხოვრება... რა არის თქვენთვის სამშობლო და როგორ მოხვდით საბერძნეთში?

=უპირველეს ყოვლისა, მადლობთ, ქ-ნო ინგა, რომ მე თქვენს რესპოდენტად ამირჩიეთ. თქვენ ალბათ ყველაზე უკეთესად გამოგებთ - თუ რას ნიშნავს ემიგრანტისათვის „სამშობლოს ძახილი“. თქვენ დღეს ეს ხართ ჩემთვის-სამშობლო, რომელმაც ემიგრანტის გულში ჩახედვა მოისურვა. დიდი მადლობა. სამშობლო ყველაფერია! ჩემისთანა ადამიანისათვის კი - რომელმაც 18 წელზე მეტი იცხოვრა უცხოეთში - ამ ყველაფერთან ერთად სამშობლო მონატრებაა, ტკივილია, სევდაა, ოცნებაა და როგორც ერთ ჩემს ლექსში ვამბობ „სამშობლო ერთია, და როგორც ღმერთია, წმინდა და ჩვენს გულში ოცნებად აღთქმული“... თუ მე დღეს სამი წიგნის ავტორი ვარ - ეს ჩემი მეგობრების დამსახურებაა. ისინი ჩემს ცხოვრებას ვასალამაზებლად მოევილინენ და ამას დიდი სიყვარულით აკეთებენ, 1979 წ. ბათუმის მე-4 საშ. სკოლის დამთავრებისთანავე ჩავირიცხე თსუ-ში და 1983 წელს წითელ დიპლომზე დავამთავრე. განაწილებით ვმუშაობდი ბათუმის ლუდსახარმ ქარხანაში მერე კი აქ წამოსვლამდე-ს. დაგვის შთ. ეკონომისტად . მეუღლე ინჟინერია-აქ ჩვენი პროტესტით არ ვმუშაობთ. მყავს ქალ-ვაჟი, ჩემსავით ემიგრაციის წლებით დატვირთულნი... ლექსების წერა ბავშეობიდან დაეიწყე-მასსოვს, 1974 წელს ჩემს პირველ სკოლასთან გამოშვებულსას წავიკითხე ჩემი ლექსი. სამწუხაროდ ჩემი ლექსების ჩანაწერების პირველი რეეული დაჯვარვე და ეს ლექსი არ მახსოვს, არც დანარჩენები. ჩემი პირველი ლექსი, რომელიც შემორჩა ჩემს „ყდამეყვითლებულ“ რეველს, დაწერილია 21-05-1975 წ. და დედაბუა დაწერილი, აი, ნაწყვეტი „მე იით საესე კალათა, დედას ამ დილით მივართვი იქვე ბარათიც დაველე და მიველოცე 8 მარტი“ .



=ლამაზია... ..ნამდვილად არ ვიცოდი ბათუმელი თუ იყავით ისე აგირჩიეთ ჩემს რესპოდენტად.. მიხარია...

=თქვენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრეთ და ვიცი რამდენი საყვარელი ადამიანი გყავთ თბილისში.. ცოტაოდენი რამ თქვენი ოჯახისა და მეგობრების შესახებ გვიამბეთ?

ჩემი წიგნები ჩემი მეგობრების დამსახურებაა და ეს სრული სიმართლეა...ჩემი მეორე წიგნიც სწორედ მათ მიეუძღვენი. აი, ამონაწერიც მისი წინასიტყვაობიდან: „ჩემმა მეგობრებმა სტუდენტობის საუკეთესო წლები გამატარებინეს იმდენად დაუვიწყარი და ლამაზი დღეები მაჩუქეს, რომ ეს უბედნიერესი წლებია ჩემს ცხოვრებაში შეიღებისა და ოჯახის მერე“ იყვნენ ჩემი მუზეუმი და მათთან განმორების შემდეგ წერაც შეეწყვიტე. მათთან შესხედრა 20 წლის შემდეგ შედგა,მისაყვედურეს ჩემი პასიურობა და „ნანა, ჩვენი ხათრით, ჩვენი მეგობრობის სიყვარულის სახელით ისევ ჩვენთვის წერე ლექსებით“ და ჩემს პირველ წიგნს - „წმინდა საყდარი“ მალევე მოჰყვა მეორე წიგნი - „გზა ყვავილობიდან თოვლამდე“ ,რადგან მათში ბოლო წელს დაწერილ ლექსებთან ერთად შევიდა მათი, ანუ სტუდენტობისდროინდელი, ყვავილობისდროინდელი ლექსებიც. ამავე წელს გამოიცა მესამე წიგნიც - „ვალი მაქვს შენი ანუ -დედამეილობა“. პირველი ორი პოეზიაა, მესამე კი პროზა. პირველი ორი წიგნის პრეზენტაცია სალონიკში შედგა. მესამე წიგნის წარდგინება სამების საკათედრო ტაძარში.მეგობრების კიდევ ერთი დიდი საჩუქარი - სამებაში 31 წლის უნახავმა 20-მდე თანაკურსელმა მოიყარა თავი ამ წიგნის წარდგინებისას.

=უსიყვარულოდ ქვეყანაზე არაფერი არ ხდება... დარწმუნებული ვარ რომ, ქალბატონი, რომელიც ასეთ ტკივილიან და სიყვარულიან ლექსებს წერს სიყვარულით ცხოვრობს.

=რა არის სიყვარული?

=სიყვარული უკეთილმობილესი გრძნობაა და ვერ გამიგია, რატომ აბოროტებს ზოგს ? სიყვარულის სახელით ხომ ძალიან ბევრი ბოროტება ჩადენილა? სიყვარული - დეთაებრივი გრძნობაა, მთავარია, შენს გულში დაუდო ბინა. მოთავარია, შენში იპოვო და დაამკვიდრო იგი.ეს ძალიან ძლიერ ადამიანებს შეუძლიათ.მე ვიცი, რომ არსებობენ ასეთები სიყვარულზე დაწერილი ლექსების უმრავლესობაც მათზე მაქვს

დაწერილი. მე ძლიერი არ ვარ, მაგრამ ჩემს სისუსტეზეც ხომ ვწერ? მე მაყვარს ჩემი ოჯახი და ჩემი შვილები.

=რა არის ბედნიერება და რას აკეთებთ იმისათვის, რომ თქვენს გვერდით მყოფი ადამიანები ბედნიერები იყვნენ?

=გააჩნია, ვინ რამის უძებს ბედნიერებას მე პირადად უბედნიერესი ქალი ვარ - უფლის წყალობით ვარ დედა და მყავს ჯანმრთელი შვილები. სხვას არათერს ვინატრებდი ბედნიერებისათვის. მე რისი ვაკეთებ? შემიძლია ჩემს გვერდით მყოფი ადამიანების ბედნიერებისათვის? თუკი ისინიც იმაში ხელავენ ბედნიერებას. რაშიც მე-მამის ეს უფალმა უნდა იჩიბოს....მე შემიძლია ვილოცო და უფალს ვთხოვო მათთვის ეს. თავს ძალიან ცუდად ვგრძობ, როცა ჩემს ირგვლივ გაჭირვებულ ადამიანებს ხედავ და მათთვის დახმარების გაწევის ძალა არ შემქნევს. თბილი სიტყვა და ფიზიკური დახმარება კი არავეისთვის დამიძალღებია, მაგრამ უბედურ ადამიანებს მარტო ეს არ ყოფნით. მათ ის დახმარება სჭირდებათ სამწუხაროდ, რისი საშუალებაც ძალიან ცოტას თუ გააჩნია... ასეთ დროს სამინლად ვკიცხავ ჩემს უძლურებას ხოლმე...

=ჩემი საყვარელი კითხვა =რა წაიღეთ საზღვარგარეთ ბავშვობიდან და ცოტათღენი თქვენი შშობლების შესახებ?

=რა წავიღე?- ჩემი საქართველოს სურნელი. ჩემი ბათუმის სილამაზე, ჩემი მეგობრობის სიყვარული. ამან გამაძღებინა. ჩემი შშობლები უკვე 18 წელია ორი ქალიშვილის და 4 შვილიშვილის ნატერთაა დაღლილი. დედა 6 წლის ასაკში გარდამეცვალა. ამან ჩემს ცხოვრებას და ხასიათს თავისებური ღალი დაასვა და დამიტოვა მელანქოლია და სედა ხასიათში. ჩვენ ორნი დავრჩით - მე და ჩემი ძამიკო ( და მეორე დედიდან მყავს. დაც აქ - საბერძნეთში ცხოვრობს) სწორედ დედის მონატრებას და სსოვნას მიუძღვენენ ჩემი მესამე ჩივნი-,- ვალი შაქვს შენი, ანუ დ ე და შ ვ ი ლ ო ბ ა :

=სამომავლო გეგმებზეც გვესაუბრეთ?

=როგორ მიჭირს ამაზე პასუხის გაცემა... ჩემი უბირველესი სამომავლო გეგმა - სამშობლოში დაბრუნება, მაგრამ შვილები თითქმის აქ გაიზარდნენ და ვერ მომყვებიან? ეს არის ჩემი ემიგრანტული შწარე ტკაიული....



=და მოგვიყვებით ერთი ყველაზე ტკივილიანი ემიგრანტული დღე?

=არ არსებობს ერთი ასეთი დღე, სამწუხაროდ ძალიან ბევრია. თითქმის 18 წელია არ დაესწრებივარ ძმის, მამის, ძმისშვილის დაბადების დღეებს, ბიძაშვილების ქორწილებს. არასდროს არ ვარ ახლობლებთან, როცა უჭირთ და როცა ულხინთ და ეს ძალიან მტკიავს. მაგრამ იცით ყველაზე ძნელი რა არის? - როცა აქედან დაღუპულების ცხედრებს ვაგზავნით საქართველოში - ეს უსასტიკესი და უძვირესი ტკივილიანი დღეა და რამდენი ყოფილა....

=რითი საზრდოობთ და რას ელოდებით მომავლისაგან?

=ვსაზრდოობ სიყვარულით ოჯახის, შვილების, მეგობრების, ნათესავების, ახლობლების და ა.შ. ვსაზრდოობ ჩემი წიგნების მკითხველების სიყვარულით - განსაკუთრებით - უცხოში მკითხველების სიყვარულით, რადგან ეს ყველაზე სუთთა და შართალი შეფასება და სიყვარულია—არაპიროვნული... ეს კი ასაზრდოებს და ზრდის ჩემს წერისუნარიანობას და ჩემს შემოქმედებასაც. მადლობა უფაღს - ეს სიყვარული რომ არ მომაკლო.

მომავლისაგან ველი საქართველოს გაერთიანებას, სიმშვიდეს და მშვიდობის დამკვიდრებას. ველი და ვნატრობ, რომ მიმოფანტულ ემიგრანტებს რაც შეიძლება მალე გაუჩნდეთ უკან დაბრუნების სურვილი. მათ შორის ჩემს შვილებსაც, რადგან ჯერ-ჯერობით ამაზე ფიქრი უჭირთ და როგორც ემიგრანტი - რას უნდა ველოდო მომავლისაგან?! მომავლის გეგმები მხოლოდ სამშობლოში მყოფს შეიძლება მქონდეს....

დიდი მადლობა ქალბატონო ნანა ასეთი საინტერესო ინტერ-ვიუსათვის.

ინგა გოგიბერიძე

ნანა ჩხაიძე

საქართველო-ბათუმი

საბერძნეთი-სალონიკი, 2014 წელი

გასაუბრება პოეტ მაყვალა დავლადესთან  
მე სიყვარულის ხიდს ავაშენებ!



=მაყვალა დავლადე - პოეტი, თბილი და სათნო ქალბატონი, სოციალური ქსელის აქტიური მომხმარებელი... რადგან ეს ინტერვიუები სოციალური ქსელისათვის იწერება პირველ კითხვას ასეთს დაგვისვამთ... რა შეგმატათ და რა დაგაკლოთ ინტერნეტ სივრცემ თქვენ, როგორც ადამიანს და არა პოეტს?

მოგესალმებით ქალბატონო ინგა. მაღლობთ გელისხმიერებისათვის, ჩემთვის დროის გამონაჩილებებისათვის... თაუმადაბალი მაღლობა თქვენს ჟურნალისტურ ჩანაწერებში, ჩემთვისაც რომ მოიძებნა თბილი ალაგა, ინტერნეტი ჩემი მეორე ოჯახია... დიდი ოჯახი, სადაც უსაზღვრო ინფორმაციებით ვიხუნძლები, სადაც ჩემები, უთბილესი საზოგადოება ყოველთვის მომეღოს, სადაც ვამზეურებ ჩემს ნათქვამს და უამრავ სიტბოთი და სიყვარულით ვარ გარემოცული. აქ ხომ ჩვენი „ინგას უბანია“, ლიტერატურული ფორუმი, სადაც შემოქმედი ადამიანები ერთმანეთს ვუზიარებთ ჩვენს რითმებსა და შთაგონებებს... დილა, ყოველი ალიონი ჩემთვის ჭაქა ყავითა და ინგას უბანით იწყება... აქ გაკმაღლეთ ფრთები რითმათა სიმფონიისა მე და ჩემმა შუამამ ბევრ დროს ვუთმობ ინტერნეტ სივრცეს, მაგრამ ამის გამო არასოდეს მინანია. როგორც პოეტი აქ შედგა ჩემი პოეზიისა და ჩემი პირიუების მკითხველთან დაახლოება. უთბილესი კომენტარებით და უსაზღვროდ შეყვარებული მკითხველის სმ გზავნილებით ვხარობ. მართლაც, რომ უამრავი მეკობარი შემძინა ინტერნეტ სივრცემ... ურთიერთობები, ჩემთვის ის ზღვის ღუბაა, რომლითაც ერთ უღამაზეს ნაპირთან დიდი ხომაღდით, ფველანი ერთად ვართ შემოკრებილნი... აქ თავს ბედნიერად ვგრძნობ...

=თქვენი ყველა ლექსი სიყვარულის შიშნია. - მე სიყვარულის ხიდს ავაშენებ-ოცნებობთ თქვენ. საიდან მოღის ეს სიყვარული და საღ მიემართება... აქეს თუ არა ამ ხიდს ბოლო?

=ყველაფერი შინც იმ ხევიღან იწყება, იმ ქუჩიღან, სადაც ვგროვდებოღით, ვთამაშობღით, ვტიროღით, ვცელქობღით, ვურავდებოღით ერთმანეთს, სადაც დიდებულად ვგრძნობღი თავს, მინდროში



ყვებოდა დილის ნამს, რომ შეეხები, ცერის უმსხვილესი წვეთები მარგალიტებივით რომ კიათობენ, ველის ყვავილები, ეს სოფლად... ჩემთვის დღემდე ის ლამაზი აისი თენდება... ის, ხიდი, რომელზეც კივილჩივლით გავდიოდით ბაგეშები... რამდენჯერ მიფიქრია, რომ ამ ხიდს, როცა გავიზრდები ავაშენებ მეთქი... ეს ის სიყვარულის ხიდია, დღემდე რომ ვაშენებ... ბაგეშობაში ბუმბერაზად წარმოვდგენილი... დრო... ოქროს ხანა, და გურიაში გატარებული ყველა არდადეგები, ჯერ კიდევ არ ვიცოდი ყველაფრის ფასი, მშვენიერი წვიმები, უზარმაზარ ფარდასავით, რომ ეშვებოდნენ ციდან... აქ ამ ლამაზი ბაგეშობიდან დაეიწყე სიყვარულის ხიდის შენება... ის უსასრულოა, ჩემო ძვირფასო ქალბატონო, რადგან მთელ მსოფლიოზე მინდა გაიდოს და კაცობრიობამ სიყვარულით, ერთმანეთისადმი პატივისცემით, თანადგომით და სიკეთით ვიაროთ მასზე! მინდა ეს ხიდი ბურთივით მრგვალი იყოს და ჩვენი ოცნებებით, ფიქრებით გრძნობებით, სულ თანხვედრაში ვიყოთ... შე სიყვარულის ხიდს, თქვენთან ერთად ვაშენებ ძვირფასებო.

=მუსიკა და პოეზია განუყოფელია ერთმანეთისაგან ალბათ ძალიან ცოტამ იცის, რომ თქვენ მუსიკასაც წერთ და თქვენს ლექსებზე სიმღერებიცაა აჟღერებული?

=მუსიკა ჩემთვის სიცოცხლის წყაროა... ლექსი... ფიქრის წყარო... ერთად კი ჩემი ჰობია ცხოვრებისა, მარად ჩემთან განუყოფელი. მუსიკას და სიმღერასაც ვქმნიდი საკუთარ ტექსტზე და მეგობრების ვიწრო წრეში ვაჟღერებდი. ეს ებიზოდები ლამაზ მოგონებად დარჩა ჩემში, რადგან მუსიკალური განათლების გაგრძელების უფლება მშობლებიდან არ მომეცა... ის მიყურდა ჩემს გრძნობებში მტკივნეულად... მრავალი წელი... შემდეგ ჩემს ცხოვრებაში გამოჩნდნენ. მუსიკოსები, მომღერლები, და ულამაზესი წყვილის, დუეტი „არტის“ შესრულებით გაჟღერდა ჩემი სიმღერა, რომელმაც საზოგადოების დიდი მოწინეა დაიმსახურა. ორი წელი ვიმუშავე დუეტთან ერთად, ეს წლები ჩემში ულამაზეს მოგონებად დარჩება... უსახსრობის გამო დროებით შევაჩერეთ ჩვენი საქმიანობა... ძნელია... ისინი, ხომ საკუთარი შეილებივით შემიყვარდა... ხოსტალჯიურად განვიცდი მათთან დამორეხას.



=რა არის თქვენთვის პოეზია და როდის დაჩერეთ პირველი ლექსი? =პოეზია ჩემთვის პლანეტის უკიდურეს სივრცეა... ეს სიყვარული მარადიული მარავანდებით ანთია ჩემს სულში, ეს ჩემი ალუბლისფერი განთიადია, უკვდავების წყარო, რომლითაც ვსულდგმულობ დღემდე... ამ წუთებამდე... ეს სამყარო ჟამთა დინებას არ ემორჩილება... ჩემი ცხოვრებისეული უსაზღვროებაა... ფუტკრებივით მოზუზუნე რითმები, ხან დაბინდული ტრამალებია, ხანაც მოძრაობა, ენერჯია მგამბოხე სულისა. პირველი ლექსი 14 წლის ასაკში დაჩერე. მახსოვს დედას მივუძღვენი. მახსოვს მისი ღიმილი, აღტაცება და სევდანარევი, საოცრად თბილი, მოპზირალე თვალები... შემდეგ... კი ვერთობოდი მხოლოდ... სერიოზულად არც მიფიქრია , თუ ოდესმე შეზა, ჩემი სულის შევებავი გასდებოდა.

=მინდა მამაზე განსაკუთრებულად მომიყვით, იმიტომ რომ ის საოცარი პიროვნებაა და დღესაც გვერდით გიდგათ და სიყვარულით გეხმარებათ.

=მადლობთ... მამა ჩემი ცხოვრების ქრონიკაა... ის ჩვენი ჯიშის გენიალოგიაა, ცოცხალი ლექსიკონი, ჩვენი წინაპრების ცხოვრების და მოღვაწეობის გადმომცემი. უთბილესი ადამიანი! ...შიყვარს მასთან საუბარი... ეხლაც მარიგებს ☺))))...მტუქსავს ...მართლაც არაჩვეულებრივი პიროვნებაა. აჭარის, ჩვენი მამულის ღირსეული ტრადიციების დამცველი... ეხლა ღრმა მოხუცი...ზის და ძელოდება აივნის ჩეროში... სულ საუბრობს წარსულზე, იმ ეპიზოდებზე როცა ოჯახი ბედნიერად ვცხოვრობდით... საუბრობს იმ ქრონიკაზე, რომელიც აუცილებლად უნდა ჩავიწერო... რეალურ ამბებზე ...ჩვენი გვარის გამოჩენილ ადამიანებზე... წარსულის კვალდაკვალ ისევ და ისევ...უყვარს მნახველები, სტუმრები, მხნედ ველოდებათ ძვირფასებო ჩემი მოხუცი! მარშან აჭარის ჩოხოსანთა საზოგადოებამ დაბადების დღე მიულოცა მამას! ...დაუფიყარი დღე ჩემს ცხოვრებაშიო, ჩურჩულით მითხრა... თვალები სულ ცრემლიანი აქვს ...განა არა მაქვს დარდიო...ეს ქვეყანა მინდოდა აწყობილი დამეგოვებინა...ის საქართველოს ნაღვლობს,მის წარსულზე და მომავალზე...ასე შითენდებ-მიღამდებაო...

=არ გადადოთ აუცილებლად ჩაჩერეთ რა...ქალისათვის უპირველესი ბედნიერება დედობაა, . ვიცი ,მავრამ ბოლო პერიოდის



ლექსებში დიდი ტკივილი მოდის თქვენგან... მაინც იმარჯვებს ხოლმე  
იმედისანი სტროფები... რა არის სიყვარული, „ვერაეინ ახსნა ამ  
ლედამიწაზე ... იქნებ თქვენ ამოხსნათ ეს ამოცანა

=ღედობა!... სინძინდისა, უძლიერესი გრძნობის ჭეშმარიტი განსა-  
ხიერება. მთელი ჩემი ცხოვრების მარადიული გრძნობის თანამგ-  
ზაერები... ჩემი შვილები! ეს შეგრძნება ის მუსიკაა, ის სიმთონიაა,  
რომელიც მარადიულად აქვრს ჩემში, რაც ბუნებამ და უფალმა ჩემი  
ვაჟკაცები მაჩუქა... მათი ღედობა დამაკისრა... და ეს გზა გეფიცებით  
უმტკივნეულო არ იყო ჩემთვის... მათი არსებობით, მათი სისხრულით,  
მათი ცხოვრებით ვცხოვრობ დღემდე... მარტოდ დარჩენილი, ოცნებებში  
და ფიქრებში ისევ მათზე ვზრუნავ... ჩემს შემოქმედებას წითელ ზოლივით  
გასდევს, ჩემი ალუბლისფერი ღრუბლების ჩამოშლილი სიერცე, ხან რუხ  
ფერებში იბლანდება... ხანაც შვის ოქროსფერი სხივების სითბოთი  
იფურებს გულის ტკივილს... მაგრამ სიყვარული ყოველთვის იმარჯვებს,  
დამიჯერეთ, როცა ერთი კარი იხურება, მეორეს გიხსნის უფალი... არ  
დანებდეთ ჯავრს... სიძულვილისგან შორს... ცხოვრების მწარე  
გაკვეთილებიც ვიგემე, დალატის ფასი... დამანგრეველი შეგრძნება  
რეალურისა... მერე კი ისევ ავირითმე, უფლის მადლით და მეგობრების,  
შვილების თანადგომით ძლიერ ქალად გადავიქციე... შეამბოხე ვარ ჩემი  
ქვეყნისა, სიყვარული ვარ სიცოცხლისა, ადამიანებო მიყვარხართ...  
სიყვარულით ერთიან ცის ქვეშ, ერთად ვიცხოვროთ... ყველას ჩენი  
სამყოფი გვეძლევა მხოლოდ და მხოლოდ... ეს კარგად გაეითავისოთ..

მადლობა ქალბატონო ინგა ჩემი ცხოვრების ეპიზოდების  
გადმოცემის საშუალება, რომ მომეცით.

=დიდი მადლობა საინტერესო საუბრისათვის.

ინგა გოგიბერძე  
მაყვალა დაუღაძე  
ბათუმი-2014 წელი.

გასაუბრება ახალგაზრდა პოეტთან ამირან ჯანჭლავასთან - „მე კი  
მაქსიმალურად ვცდილობ მოწოდების სიმაღლეზე ვიყო და საკუთარი  
საქციელით ეროვნულ სადარაჯოზე დავდგე“

=მოვესალმები ამირან, მიხარია რომ სიამოვნებით დამთანხმდი  
ინტერვიუმე... დღეს რთულია პოეტობა იმ საქართველოში, სადაც  
ბოლო ორი თვის განმავლობაში ლამის 20 მკველობა მოხდა და ამ  
მკველობების ჩამდენი ხალხი ქართველი ერია,მათ შორის  
ქართველი ახალგაზრდები ...მძიმე ტვირთია თქვენთვის პოეტობა?

=გულთბილი სალაში და პირველ რიგში მადლობას მოგახ-  
სენებთ ასეთი ლამაზი ინიციატივის წამოწყებისათვის. რაც შეეხება  
პოეტობას, მე ვიტყვოდი რომ მე უფრო პოეზიაზე უზომოდ შეყვა-  
რებული მელექსე ვარ, რომელიც ვცდილობ საკუთარი შეხედულების  
გადმოცემას მელოდიურ ტონში, სირთულეზე კი იმას მოგახსენებდით,  
რომ ჩემის აზრით პოეტი პირველ რიგში პიროვნებად უნდა შეღვეს  
და შემდეგ თუ ეწეება მის შემოქმედებას ღირებულება, ანუ ამით იმის  
თქმა მინდა, რომ პოეტი ეროვნულ კეთილდღეობას,ერის სიძ-  
ლიერესა და ისტორიული ღირებულებების დაცვას უნდა ემსახუ-  
რებოდეს... მე კი მაქსიმალურად ვცდილობ მოწოდების სიმაღლეზე  
ვიყო და საკუთარი საქციელით ეროვნულ სადარაჯოზე დავდგე ...

=როდის დაიწყეთ ჩერა და რა არის თქვენთვის ლექსი და  
ლიტერატურა?

=ასე დაახლოებით 2 წლის წინ და ალბათ სიმბოლურიცაა,რომ  
პირველი ლექსი „ტკბილო ბოროტებაე“, ქალბატონებს ეძღვნებოდა,  
რომლის დაწერისაკენ რუსი იუმორისტი შენდეროვის სახალისო  
ფრაზამ მიბიძგა: პირველად ღმერთმა შექმნა სამყარო, დაისვენა.  
შემდეგ შექმნა კაცი, დაისვენა. ბოლოს შექმნა ქალი და მას შემდეგ  
არც კაცს და არც ღმერთს აღარ გაუცინია.. ლექსი ალბათ ის  
სულიერი საზრდოა ჩემთვის,რომლითაც ყოველდღიურად ვიკვებები  
და ხშირად ფსიქო თერაპიაშიც მესმარება.

=ზოგჯერ შეიძლება ვინმეს ეგონოს, რომ ბევრი თქვენი სტატუსი პათეტიკურ ნიუნსებს შეიცავს... მე პირადად სწორედ სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულისათვის შეგიყვარეთ... რა არის შენთვის სამშობლო?

=სამშობლოა უფალივით ჩემი არსებობის ამოსავალი წერტილი, ზედირებულება, ფასეულობა, რომელსაც ვერაფერი შემცვლის მიჩიერ ყოფაში. არაერთხელ მიფიქრია: მიწა, რომელსაც ასე მარტივად ვაბიჯებთ, ვაფურთხებთ, ვყიდით და ვასხვისებთ, ასი ათასი მონამის, ცხრა ძმა ხერხეულიძის, სამასი არავევლის და კიდევ ვინ მოსთვლის რამდენი მამულიშვილისა და გმირის სისხლითაა გაჟღენთილი, გაპოხილი და როგორ მტკივა, როცა დღითი-დღე კნინდება ეს უფალივით ერთადერთი საუნჯე... ჩემი დამოკიდებულება მინდა ერთ ჩემ სტრუქტურულ გამოცხადებას: „უფალო ჩემი სამურბაყანო დღეს ისევ მტკივა, როგორც იარა ქართულო მიწავ, სად არ ნაყარო მკერდში შენ ფეთქავ გული კი არა,, (ა.ჯანჭღაია)

=შენ ( ხომ შეიძლება შენობით მოგმართო?) სულ ცოტა ხნის წინ დიდი სულიერი ტრამვა და ტკივილი გადაიტანე... მეგობარი დაკარგე... როგორ შესძელი ასე ღირსეულად მის გვერდით დგომა? ესეც ჩემთვის გმრობის ტოლფასია... თქვენ ხომ მთელი საქართველო ვიცქეროდათ?

=ყოველთვის მომხრე ვარ შენობითი ფორმის ასე ,რომ უბრალოდ და მარტივად შენობით მომართეთ. რაც შეეხება ოთოს,ჩემი აზრით ეს არის ის ტკივილხანარევი სიამაყე, მისაბაძი მაგალითი,რომელიც ჭირდებოდა ქართულ რეალობას.. ოთომ (გურგენიშვილი) თავისი პოეტობა საქციელით დაამტკიცა და მისი ყველაზე ლამაზი ლექსიც მაშინ დაიწერა, როდესაც საკუთარი სიცოცხლე სხვის სანაცვლოდ დათმო და დარჩნუნებული ვარ ამით მან დიდი პასუხისმგებლობა დაგვაკისრა, დაგვიტოვა მაგალითი და მინიშნება, თუ როგორი უნდა იყოს ღირსეული ქართველი მამულიშვილი, რომელსაც თერგვიით დაუდევარი სისხლი უჩქეფს ძარღვებში. ჩვენ ოთოს ისევ ჩვენთან მოვიანზრებთ, მისი ლექსებით, მისი ნააზრევით და მისი ეროვნული მუხტი ახლა ჩვენს გულეებში ფეთქავს.

=როგორ ვაკეთოთ ქველმოქმედება და რას ხედავთ ამ სიტყვის მიღმა ?

=ჩემი სუბიექტური მოსაზრებით ქველმოქმედების არსი უფრო ფარულია და მე ვთქვარობ რომ ყოველი დღე, როდესაც ნებისმიერი თანამოქალაქის მიმართ სიკეთით ვართ განწყობილი, ვართ მიმტვევებლები და ვცდილობთ საკუთარი ცხოვრების წესი უფალს დავეუკავებოთ ჩვენი ლოცვით და ვილოცოთ სხვებზეც მათ სულიერ მდგომარეობის გადასარჩენად ესაა ყველაზე დიდი ქველმოქმედება .

=რა არის სიყვარული და ბედნიერება თქვენთვის?

=ვფიქრობ, რომ ყველაფერი პირობითია და შესაბამისად ბედნიერების დეფინიციაც ალბათ უფრო ინდივიდუალურია, აი მაგალითად ჩემთვის ბედნიერება ასეაა წარმოდგენილი: თვლების გახელის შემდეგ, რომ ღრმად გამოვებრაე თილტვებს, სარკმლის წინ დავდგები და ჩემს ბალში მდგომ ხეს ვაეხედავ, რომელიც ბებომ დამირგო და რომელიც ასევე ჩემში სიყვარულივით ყოველდღე იზრდება, აი ამას ვეძახი მე ბედნიერებას. სიყვარული ვი ალბათ უფლის მიერ აღამიანთათვის ბოძებული ყველაზე ლამაზი ნიჭია, ნიჭი რომელსაც ვარჯიში და განუითარება ჭირდება და რომლითაც სამწუხაროდ დღითა-დღე ცოტა აღამიანი რჩება .

=თქვენი გული თავისუფალია? (ტრაფარეტული კითხვების სერაიდან)

=ჩემი გული პირდაპირ პროპორციულია სამშობლოში მიმდინარე მოვლენების მიმართ და მხოლოდ მაშინ იქნება თავისუფალი, როცა ჩემი სამშობლო ვათავისუფლდება ამჟამად არსებული უღმერთოებისაგან. რაც შეეხება იმ კონტექსტით, რა მხრივაც თქვენ მკითხეთ - თავისუფალია

=შესანიშნავია პასუხია და ამიტომაც ყველა კითხვას და პასუხს ერთად ვაგაერთიანებ და შეგვეკითხები-რას გრძნობ მაშინ, როცა ჩოხა-ახალუხი ვაცეცია?

= „ჩემი მშობლები დღესაც ისევ ჩოხებს უვლიან როგორც, ჩვერს უვლის ორმოცი დღე ჭირისუფალი რადგან სიკვდილი სიცოცხლეზეც ღირსეულია ასე ცხოვრების აღარა გაქვს მეტი უფლება“. (ა.ჯანჭღავა) როდესაც ჩოხით ვიმოსები ძალიან დიდ პასუხისმგებლობას, სულიერ სიძიერეს და უსასრულო მუხტს ვგრძნობ, ასე მგონია, რომ ჩოხაში შემოსილს ვერაფერი გამაჩერებს იმდენად დიდი და ძლიერი ვარ ხოლმე. მაგრამ ალბათ ბედის ირონიაა, ის რომ ჩემი ყველაზე დიდი ოცნება დღემდე აუსრულებელი რჩება: რამდენი ხანია უკვე მსურს და ვერ შევიძინე ჩოხა .....

= უკომენტაროდ დაეცოვებ ამ ბოლო ფრაზას.. თუ არა შენნარ ქართველს მაშ ვის უნდა ეცვეს დღეს ჩოხა? ამიტომაც კითხვას ასე შევაბრუნებ-როდესმე სიკეთის კეთება გადაგსურვილებიათ?

= ეს იგივეაა სუნთქვას გადავიწვიო ან ვინმემ მაიძულოს სამშობლო დავიფიქრო ...სანამ უფალი იცოცხლებს ჩემში ჩემის ნებითვე, მანამდე სიკეთის სურვილით იფეთქებს ყოველი მაჭისცემა და ყოველი განთიადიც ამ მიზნით დაიწყება.

= რაზე მუშაობ დღეს? და თუ გაქვს ჩიჯნები გამოცემული? რას ფიქრობ როგორ საქართველოში იცხოვრებს შენი შვილი?

= ამჟამად როგორც რიგითი სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული და ეროვნულ ტალღაზე მომართული ადამიანი, რომელსაც პირად კეთილდღეობაზე მეტად ეროვნული კეთილდღეობა ადარდებს, მეც მათსაგით უმუშევარი ... კრებულს რაც შეეხება ამჟამად ვცდილობთ, რომ „მეცამეტე თვის პოეტები,“-ს ერთობლივი კრებული გამოვცეთ სადაც თითო ავტორის 13 ლექსი იქნება შესული და რომელიც ჩვენს გმირ მეგობარს ოთარ გურვენიშვილს მიეძღვნება. რამოდენიმე კვირის წინ ასეთი სტატუსი დაქვერე: ქართული დედები ხშირად დადარდიანებულები ამბობენ ხოლმე - როგორ საქართველოს ვუტოვებთ შვილებსო, მაგრამ ის ავიწყდებათ, რომ არანაკლებ მნიშვნელოვანია - თუ როგორ შვილებს ვუტოვებთ საქართველოს... ასე, რომ მე შევეცდები პირველ რიგში კარგი შვილი დავეუტოვო სამშობლოს, რომ შეიქმნას საზოგადოება, რომელიც კარგ საქართველოს ააშენებს. ასე მგონია, რომ პრობლემის ამოსავალი

წერტილი საზოგადოების თვითშეგნების დაბალ დონესა და ინტელიგენციის დეფიციტობაშია, ასე რომ კარგი საქართველოს პერსპექტივა კარგი მოქალაქეების ხარჯზე უნდა დაეცახოთ. მადლობა ქალბატონო ინგა ყურადღებისათვის და ვისურვებდით რომ თქვენც და მთლიანად საქართველოს მოქალაქეებს ერთიან და ლამაზ საქართველოში გვეცხოვროს. უფალი შეგეწიოთ !

..... შენ გაიხარე !

ინგა ვოვიბერიძე  
ამირან ჯანჭღავა  
ბათუმი- თბილისი, 2014 წელი





=მოგესალმებით ბატონო ლაშა და პირველ შეკითხვა ცოტა უცნაური იქნება - რატომ აირჩიეთ პროფესია, რომელსაც ძალიან მწირი შემოსავალი ახლავს და მოსალოდნელი ბევრი ლანძღვა- გინება მსახიობებისაგან და რეჟისორებისაგან?

=სხვათაშორის, ჩემი პროფესიის არჩევა, რომლითაც უფრო მიცნობს ფართო საზოგადოება სრულიად დაუგეგმავად მოხდა. ბავშვობიდან მიყვარდა თეატრი და მთელი ბავშვობა „თეატრობანას“ ვთამაშობდი სადარბაზოდან დაწყებული სკოლით დამთავრებული. საშუალო სკოლა რომ დავემთავრე, მშობლებს არ სურდათ ჩემი მომავალი საქმიანობა თეატრს დაკავშირებოდა, სწორედ იმიტომ, რომ ამ პროფესიაში ანაზღაურება ყოველთვის მცირეა. ამიტომ ფილოლოგიურ ფაკულტეტზე ჩავაბარე. უნივერსიტეტში სწავლის პარალელურად, საბუთები მისაღებ გამოცდებზე ბათუმის ხელოვნების ინსტიტუტში შევიტანე. საკონსულტაციო შეხვედრებმა გადაამწყვტინა, რომ ჩემგან არტისტი არ დადგებოდა და ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტზე გადაწყვიტე სწავლა. მახსოვს ყველა გამოცდაში უმაღლესი შეფასება მივიღე და ბედნიერი ვიყავი, რომ ჩემი გამომცდელები შუშანა ფუტკარაძე, ვივი ბოლოთაშვილი, ვასილ კიკნაძე და ვიზო ფორდანიას იყვნენ. ორი წელი ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალობაზე ვსწავლობდი, ამ დროს ინსტიტუტში გაიხსნა კიდევ ერთი ახალი სპეციალობა თეატრმცოდნეობა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ქართული თეატრმცოდნეობის პატრიარქი ვასილ კიკნაძე და ამ შანს ხელიდან როგორ გავუშვებდი? გადაწყვიტე თავიდან დამეჩყო სწავლა და ამ არჩევანმა საბოლოოდ გადაწყვიტა ჩემი მომავალი, რითაც ახლაც ძალიან ბედნიერი ვარ. ბუნებრივია, მაშინ კარგად ვერ ვაცნობიერებდი, რომ რთული, უმადური და ნაკლებ შემოსავლიანი პროფესია ავირჩიე. თუმცა არჩევანით კმაყოფილი ვარ დღესაც. აგრესია თავად თეატრის მოღვაწეებისგან მაშინ, არის თუ აქტიური ხარ და კრიტიკული, მაგრამ უკვე იმუნიტეტი გამოვიშუშავე.

ვცდილობ ყურადღება არ მივაქციო აგრესიას ჩემს მიმართ და მაქსიმალურად შევძლო დავიჩყება, გავთავისუფლდე ნეგატივისგან.

=ღამა, როდის მიხვდით რომ თეატრი თქვენი ცხოვრების მთავარი შემადგენელი ნაწილი იყო?

=ბათუმში, ოპერის თეატრის პირველი დადგმები რომ ენახე სწორედ მაშინ. მანამდე ღრამატული თეატრის სხვა სპექტაკლებიც მქონდა ნახაბი, მაგრამ მათ ჩემზე გასანაკუთრებული მთაბეჭდილება არ მოუხდენია, როგორც ჯერჯერ ვერდის „აიდას“ ბათუმურმა დადგამმა. სწორედ, ამის შემდეგ დავიჩყე გაცნობიერებულად თეატრით ცხოვრება და ჩემი მომავალიც თეატრს დაეუკავშირე.

=უცებ მეც გამახსენდა ეს ემოცია, რომელიც ანტალოში განვიცადე, როცა ღია ცის ქვეს შერამდენედ ვუყურებდი ამ სპექტაკლს... ეს ისე...

ჩემი ინტერვიუების გმირებად ვარჩევ ისეთ ადამიანებს ვისაც განსაკუთრებულად უყვარს მისი საქმე და პროფესია, მიმაჩნია რომ თქვენ ასეთი ხართ. საიდან სააზრდობთ ენერჯიას, რომ თქვენი კალამი სწვდება არა მარტო საქართველოს თეატრებს, არამედ მსოფლიო თეატრალურ ხელოვნებას?

=დიდი მადლობა ასეთი შეფასებისთვის, ვცდილობ მაქსიმალურად მიუუახლოვდე სტანდარტს. არადა თანამედროვე თეატრმცოდნეობითი სტანდარტი ძალიან რთულად მისაღწევია. უამრავი კრიტერიუმია, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს თანამედროვე თეატრმცოდნე ამ ეპოქაში. ვცდილობ, მეც მიუუახლოვდე ამ სტანდარტს და არ ვიყო ჩაკეტილი, რადგან თანამედროვეობაში მასშტაბები ძალიან დიდია. თითოეული ნახაბი სპექტაკლი სწორედ საერთაშორისო კონტექსტში უნდა განვიხილოთ, ის, რომ მე წლის განმავლობაში რამდენიმე საერთაშორისო ფორუმებზე, სიმპოზიუმებზე და ფესტივალებზე მიწვევენ სხვადასხვა ქვეყანაში, მესმარება ჩემს პროფესიულ სრულყოფაში. ბუნებრივია, ენის ცოდნის გარეშე ასეთ ღონისძიებებში მონაწილეობა უბრალოდ შეუძლებელია, მე კი ჩათვალეთ არც ერთი ენა ხეირიანად არ ვიცი, მაგრამ ვცდილობ ჩემი გამოსვლებით და შეფასებებით დასამახსოვრებელი ვიყო და კვლავ გაუჩნდეთ სურვილი ჩემი მიწვევის ახლა უკვე სხვებს. ის, რომ ვაეცხო მსოფლიო თეატრს ამაში თბილისში

არსებული ორი ფესტივალის გვეხმარება, რომელსაც მე ინტენსიურად ვაშუქებ და ასე ფართოვდება თვალსაჩინო და იხვეწება ჩვენი სათეატრო გემოვნება, იცვლება შეფასების კრიტერიუმები.

=ჩვენი განყოფილების წიგნად ფონდში მხოლოდ თქვენი ორი წიგნი ინახება: „იუსუფ კობალაძე“ და „რეჟისორი ვიწრო თავართქილაძე“... დანარჩენზე გვიამბეთ და ისიც გვათხარით რაზე მუშაობთ ასლა...

=ამაზე ძალიან გული მწყდება, რომ ჩემი წიგნების უმრავლესობა თქვენს ფონდში რომ არ ინახება. ამ ვაკუუმს აუცილებლად შევავსებ უახლოეს მომავალში. გპირდებით! რაც შეეხება ჩემს წიგნებს პირველი პერიოდის წიგნები „ბათუმის ოპერისა და ბალეტის თეატრის ისტორია“, „ბათუმის ტიკინების თეატრი“, „ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრის ისტორიის საკითხები“ (ხერონ აბულაძესთან ერთად) აჭარის თეატრალურ ცხოვრებას ეძღვნება... ვფიქრობ მნიშვნელოვანი გამოცემებია ორტომეული „თანამედროვე ქართული თეატრი ვარდამეული ეკონომიკის პირობებში (ანალიტიკა, პრაგმატიკა, სტატისტიკა)“, რომელიც შთელი ქართული თეატრის ბოლო 5 წელიწადს და ყველა მნიშვნელოვან მოვლენას ქართულ თეატრში ეძღვნება და ასევე ვფიქრობ, საინტერესო გამოცემაა „საუბრები თანამედროვე ხელოვნებაზე“ (დავით ბუხრიყიძესთან ერთად), რომელიც მსოფლიო ხელოვნების დღევანდლობას და მიმდინარე პროცესების ანალიზს მოიცავს. ვფიქრობ, ამ წიგნმა ოდნავ მაინც შეაჯსო ის ინტერესი, თუნდაც სტუდენტებისთვის, რომელიც თანამედროვე ხელოვნების და მასში მიმდინარე პროცესების მიმართ არსებობს. ამ წელში გამოიცემა ჩემი სადოქტორო ნაშრომიც „მეფე ლიარის სცენური ინტერპრეტაციები მსოფლიო და ქართულ თეატრში“...

=მართლაც ბევრს მუშაობთ... მაღლობა წინასწარ რომ ამ წიგნებს მოგვაჩენდით ბიბლიოთეკისათვის... საქართველოში თითზე ჩამოსათვლელი თეატრმცოდნეები იყვნენ და არიან. ძნელია შეინარჩუნო ღირსებაც და პროფესიონალიზმიც... მე ვიცი თქვენი ტაქტის შესახებ... შენიშვნებსაც ლამაზად და კორექტულად იძლევიან როგორია თეატრის შივა სამზარეულო და ხომ არ გინანიათ არჩევანი?

=არა, არასდროს მინანია, რომ გავხდი თეატრმცოდნე. ობიექტურობის შენარჩუნება, მით უფრო, ღირსების ძალიან ძნელია. ვფიქრობ, რომ საზოგადოებაში ჩემს პერსონასთან დაკავშირებით სულაც არ არის ერთი აზრი ცალსახად. ზოგს მოვწონვარ და ზოგს არა, ეს ჩვეულებრივი ამბავია, ისე როგორც მე მომწონს, ან არ მომწონს სპექტაკლები. ვცდილობ, ყოველთვის ვთქვა სიმართლე და თქმის ფორმებს სულ ვეძებ, რომ აღრესატმა, ობიექტმა ჩემი შენიშვნა გაანალიზოს, დათქმდეს და არ მივაყენო შეურაცხყოფა. არ შეველახო პროფესიული ღირსება და თავმოყვარეობა, თუმცა არაპროფესიონალები უფრო ამბიციურები და საკუთარ თავში უფრო დარწმუნებულები არიან, ვიდრე ნამდვილი ხელოვანები. ისინი კრიტიკასაც ისე იღებენ, როგორც ის არის გამოთქმული.

=ლამა, ტრაფარეტულ შეკითხვებს ვერ გავექცევით ... ვიცი რომ თბილი მამა და კარგი მეუღლე ხართ... ძნელია სიყვარულის შენარჩუნება შორ მანძილზე... როგორ ასარხებთ ამას და ცოტაც ბედნიერებაზე?

=არ ვიცი რამდენად კარგი მამა ან მეუღლე ვარ, მგონია, რომ უბრალოდ ძალიან გამიშართლა ასეთი ოჯახი რომ მყავს. პირველ რიგში მედია ჩარკვიანი ჩემი უახლოესი, ყველაზე ერთგული მეგობარი და შესაბამისი და შერე მეუღლე. შე ალბათ არ ვიქნებოდი ამ პროფესიაში, რომ არა მედეას მხარდაჭერა და ხელმწიფობა. მას, როგორც ქალს, ალბათ ძალიან უჭირს ანგარიში გაუჩიოს ჩემს მძიმე და რთულ ხასიათს, ცხოვრების წესს თუ რიტმს, მაგრამ ის ამ მსხვერპლს იღებს, რის გამოც უზომოდ მადლიერი ვარ და ორმაგად ვაფასებ მის ამ დამოკიდებულებას. რაც შეეხება თეკლას, დანამდვილებით ვიცი, რომ თუ რამე საუკეთესო შემთხმნია ოდესმე, ეს თეკლაა. არ მიყვარს ხოლმე, როცა მშობლები მის წვილებს ჰიპერბოლიზირებულ პრეზენტაციებს უკეთებენ, მაგრამ თეკლა მართლაც უცნაური, გამორჩეული ბავშვია, დედას გავს, ლამაზია, სევდიანი და ღრმად მოაზროვნე. მგონი ორივეს გვაჯობებს. ჩემს მშობლებს ერთგვარი კომპლექსი ჰქონდათ. რაც თავად ვერ მოახერხეს, უნდადათ ჩემში რეალიზება, იგივე მინდა მეც. თეკლა გაცილებით წარმატებული იყოს, ვიდრე მისი მშობლები არიან.

=არ ვადაგტვირთავთ, მაგრამ მტკივნეული და ჩემთვის მთავარი სათქმელი ბოლოსთვის შემოვინახე... მე მიყვარს ჩემი ბათუმის თეატრი.

იქ გაეინარდე. ყოველ საღამოს მაშასთან და დასთან ერთად ვესწრებოდი შესანიშნავ სპექტაკლებს... ხომ არ თვლით, რომ ბათუმის თეატრს მაყურებელი ისე არა ჰყავს, როგორც ძველად... და თუ ეს ასეა, რას თვლით ამის მიზეზად... არა, მე შაქვს ჩემი პასუხი, მაგრამ მკითხველს ალბათ თეატრმცოდნის პროფესიული აზრი უფრო აინტერესებს. რატომღაც მგონია ქართულ თეატრს და საშკითხველო დარბაზს დაახლოებით ერთგვარი პრობლემა აქვს... რას არ ვაკეთებთ მკითხველების მოსაზიდად ...რა კეთდება ამ მხრივ თეატრალურ სივრცეში?

=ეს პრობლემაური და სისტემური საკითხია, რომელიც ყოველთვის იღვა დღის წესრიგში როგორც პრობლემა და დღესაც აქტუალური თემაა, რაზეც ცალსახა პასუხი არ არსებობს. მე სულაც არ ვთვლი, რომ დღეს თეატრს მაყურებელი აკლია, გადაჭედილია დარბაზები თბილისის თეატრებში, თუმცა არის სპექტაკლები, რომელიც მაყურებლის დაუინტერესებლობის გამო მალევე იხსნება რეპერტუარიდან... პრობლემა მაინც მხატვრულ ხარისხშია და თანამედროვეობაში. თუ სპექტაკლი არ აღვლევს რეჟისორის ვარდა არავის, ის მარცხისთვის არის განჭირული, სულაც არ არის საჭირო ეფექტები და იათუასიანი ტრიუკები, ამისგან შორს არის თემურ ჩხეიძის სპექტაკლები, მაგრამ მაყურებელი ყოველთვის ჰყავს. რეჟისორები უნდა გრძობდნენ ეპოქას და მაყურებელს. რეგიონებში კი სულ სხვა პრობლემაა, არა სტაბილურად მუშაობენ, რეგიონებში შედარებით მცირერიცხოვანია მაყურებელი, ამიტომ მათ სულ ახალი სპექტაკლი სჭირდებათ, ერთი სპექტაკლი რამდენჯერ უნდა ნახონ, ნახავენ შედეგები რომ იღვმებოდეს, მაგრამ იღვმება? არ იღვმება, სამწუხაროდ შედეგები.

=მე მიყვარს თეატრის შენობა, თარდა და საძი ზარი... მაგრამ არც ექსპერიმენტებზე ვამბობ უარს. ბათუმში გვყავს ერთი ახლაგაზრდა რეჟისორი, რომლის ყველა სპექტაკლზე მივალ - ეს გიორგი ჩხაიძეა, რას ფიქრობთ მის თეატრზე და საერთოდ ექსპერიმენტული თეატრების განვითარებაზე რა აზრის ხართ?

=მე ბავშობიდან ვიცნობ გიორგი ჩხაიძეს. მაშინ როცა ის ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე იყო. მაშინ ლიტერატურული ნაწილის გამგედ ვმუშაობდი ბათუმში, ის მოვიდა ჩემთან და თანამშრომლობა



შემომთავაზა, ვებ გვერდი გააკეთა თეატრის ყველაზე აქტიური მაყურებელი და თეატრის გულშემატკივარი იყო, მაქსიმალურად გვეხმარებოდა თეატრის პიარში, რა თქმა უნდა, როგორც მოხალისე. მას აქვს ერთი უმნიშვნელოვანესი გრძნობა - განსაკუთრებული სიყვარული თეატრისადმი, რაც ყოველთვის დაეხმარება ჩარმატების მიღწევაში. თეატრში არაუის აქვს ფინანსური ინტერესი (თუმცა გამონაკლისები არსებობენ), მხოლოდ სიყვარული გაკეთებინებს ამ საქმეს. გიორგიმ პროფესიული განათლება თბილისში მიიღო, არაჩვეულებრივი პედაგოგი ჰყავდა აეთო ვარსიმაშვილი და დაბრუნდა მშობლიურ ქალაქში და რა მოხდა? თეატრში არ შეუშვეს! მისი მიტანილი ფულით სპექტაკლი არ დაადგმევინეს, სარეპეტიციო ოთახი არ დაუთმეს, გამოაძევეს! მათ სინდისზე იყოს! ბედნიერი ვარ, რომ აჭარის კულტურის სამინისტრო - ვიკა თავაძაშვილი და ირინა სურმანიძე ამ პერსპექტულ რეჟისორს ეხმარება და მალე ბათუმში ახალი, ექსპერიმენტული სივრცე გაიხსნება მათი მხარდაჭერით. ეს მნიშვნელოვანი და ისტორიული მოვლენაა თეატრალურ ცხოვრებაში აჭარაში და მას საზოგადოების მხარდაჭერაც სჭირდება მომავალში განვითარებისთვის, მაყურებელი უნდა მივიდეს ორგანიზებულად და ნახოს ახალგაზრდების ნამუშევარი. ამ ეტაპზე მხატვრული ხარისხი ნაკლებად მნიშვნელოვანია, მთავარია სამუშაო პირობები შეიქმნას. პროვინციალიზმის როგორც სამიში და დღემდე დაუშარცხებელი სენის ნიშანია ის, რომ რაკი ბათუმელია ნაკლებ დასაფასებელია, ასე ვფიქრობო და საშინლად ცვდებით. მეერა, რომ გიორგი აუცილებლად იტყვის თავის სიტყვას, ამის გარანტს მისი მიზანდასახულობა და პრომისმოყვარეობა მაძლევს.

=ღიახ, მეც ასე ვფიქრობ გიორგიზე... ვინ არის თქვენთვის მეტრი და საყვარელი პედაგოგი, ვინც შეიტანა ჩელილი თქვენს პროფესიონალად ჩამოყალიბებაში?

=ფიქრობ, რომ ის თვისებები, რომელიც პროფესიაში გამოძევა და მეხმარება მშობლებისგან მეკვიდრეობით შერგო. დედაჩემისგან - პასუხისმგებლობა, მამაჩემისგან კი - ცნობისმოყვარეობა. ვამიშართლა, რომ ჩემი პედაგოგი, სახელოსნოს ხელმძღვანელი ვასილ კიკნაძე იყო, მამასავით მეზატრონა და თბილისში სასწავლებლად მან გადამიყვანა. სწავლის ფულს ვერ ვისდიდი და თეატრალურ უნივერსიტეტში სცენის

მუშად გამათორმა, ამას დღეს ვინმე გაგიკეთებს? დედასავით მივლიდა თბილისში მანანა კორძაია, ჩემი პედაგოგი, რომელმაც ჯერ ბინა დამითმო, შემისახლა და მერე მთელი სტუდენტობა ჩემზე ბრუნავდა. ჩემი მსოფელმხედველობის ჩამოყალიბებაში უზარმაზარი წვლილი სწორედ მანანა კორძაიას მიუძღვის, რომელმაც მთლიანად შექცევალა და სულ სხვა გზაზე დამაყენა. მისგან ბევრი რამ ვისწავლე. ასევე ლელა ოჩიაური და აწ გარდაცვლილი ოლღა თაბუკაშვილი, რომლებიც უშუალოდ ჩემი პედაგოგები არ იყვნენ მაგრამ სტუდენტობის დროს მათთან ურთიერთობამ ბევრი ღირსეული პროფესიული თვისება შემიძინა. საერთოდ, მსახიობმა თამილა მეიშვილმა „აღმომაჩინა“, მან მიბიძგა ჩაშებარებინა ხელოვნების ინსტიტუტში და მას ამ სიკეთეს ვერ დავე-ვიწყებ ვერასდროს. არ მინდა უმაღური ვიყო, ლევან ხეთაგურმაც ბევრი რამ მასწავლა, თუ კი რაღე ვიცი მსოფლიო თანამედროვე თეატრზე ეს მისი დამსახურებაა, მისგან ვისწავლე გზები საერთაშორისო ასპარეზზე გასვლის. პედაგოგების შხრივ. ნამდვილად გამიძარტლა, მათგან მხოლოდ დარგი არ შემიწავლია, ცხოვრების წესი და ჩიხში აღმოჩენის შემთხვევაში თავის დაღწევაც მათგან ვისწავლე. ჩემი ახალგაზრდული სითამეყე კი მაძლევდა იმის საშუალებას, რომ მომავალში გავიზიარო მათი გამოცდილება.

დიდი მადლობა ასეთი საინტერესო ინტერვიუსათვის... წარმა-ტებებს გისურვებთ

ინგა გოგიბერიძე  
ლაშა ჩხარციშვილი  
ბათუმი-თბილისი  
2014 წელი.



შიშველია ხელები ჩემი და მადლად ვერ ვმოსავე მათ, მაგრამ გონებით მშიერთან ვარ, მწყურვალთან, ობოლთან, ქვრივთან და ვისაც აქვს ამ შეგრძნება დიდი მადლი უდიდეს წყაროში..

=მოგესალმები ირმა, ჩემო უცნობო მეგობარო! შენი თითოეული სიტყვა ან კომენტარი სოციალურ ქსელში განსხვავდება სხვა კომენტარებისაგან... საიდან მოდის ადამიანების ასეთი სიყვარული?

=ჩემი მცირე შემოქმედება ადამიანის სიყვარულით არის გამსჭვალული. ღრმად მაქვს ვაცნობიერებული, რომ ადამიანი უდიდესი სულიერი სამყაროს მატარებელია და მისივე ღირსებების წონაში შევიდრობს, ძალზე სათუთია და მგრძობიარე. ამასთანავე ძლიერი და ნეტარი. ის არ არის აბსტრაქტი და მარტივად შესაძლებელია ის იდეალად წარმოვაჩინოდ, გავშალოდ, გავაცოცხლოდ, ვინაიდან ის იმსახურებს ყოველივე ამას. ის არ არის შობილი საგმოდ... თუნდაც ამომავალი სიტყვით, რომელიც სინატიფისათვის, სიმართლისათვის არის ენა მამოძრავებელი... ხოცბის ძალად არის ნაშობი... თუნდაც საქმით, რომელიც ცხოვრებაში შემოსულს, სიცოცხლის არსია საძიებლად არის ჩენილი და მზირალი. ჩვენ ადამიანები უსასრულო ამბებში ვიძირებით და უსასრულო სიყვარულში ვბოვებით საუკუნოვან კვალს!.. ადვილს!.. დადებითი მზერაა აუცილებელი ადამიანისადმი და შენ ხდები მისი სიყვარულის მოპასუხე შეილი, წმინდა გონებით უნდა ჩაჩვდე და თავად ეზიარები უდიდეს სიყვარულს მასში და მორჩილად ხდები სიყვარულის მოპასუხე შეილი. სუფთა გულით უნდა ეძიებოდე მასში მრავალ არსებულ სიკეთეებს, ვინაიდან თავად არის ნეტართა სიუხვის მატარებელი და მწველი ტვიფილით არ უნდა შეეხო,მელახო ფარული ზრახვითა და ქმედითი უნართით და თავად ხდები მიზიარე იმ სუფთა სიყვარულისა, რომელიც მარცვალ - მარცვალ ითესება და შემდგომ აღმოცენდება, გაიტოტება და როგორი ხეც წარმოჩინდება, ისეთივე ნაყოფს მოგვაჩარდებს



ნიადგ-გასამყარებლად. ეს ხის ნაყოფი უმთავრესი მადიებელია მთავარში. ადამიანი მარტო სიყვარულს არ უნდა ეძიებდეს, თუ მას თან არ ახლავს ჭეშმარიტი სიყვარული, ის იქნება უფერული და გაცვეთილი, აქედან გამომდინარე ავებს სულის ღირსებებს და სული დარჩება შიშველი და უმადლოდ შემოსილი. მადლით უშემოსილო კი დაინგრევ - დაიღწება ლ...რად ღირს ადამიანის ნაკვალევი უფლის სადგომ მიწაზე თუ მხოლოდ მტერის საძიებელში იქნება ფეხრთა მტვერი არც საუკუნეს დატოვებს მყარად და არც ცხოვრების წამსს მოაქცევს საუკუნოვან სიცოცხლედ... თუ ადამიანი ეძიება ადამიანს მასში ჭეშმარიტება უნდა დაინახოს ლ. შეიგრძნოს მასში უხილავობა და იყოს მადლად შეგრძნობილი და გადიდებული ქედის გარეშე. თუ კი სამშეინველით უსუნთქავთ ის სუფთა უნდა იყოს სიწმინდის ზიარით მხოლოდ... იმ არსში როგორც უფალმა ჩადო მისივე სიბრძნეში ადამიანის სახით, უდიდესი ნატურით, და სიყვარულით უსიცოცხლობისგან ძალზე შორს. ...და თუ ერთი ერთთაგან ერთის სიძულვილი სწონის მრავალ სიყვარულთაგან და არსებობს ტვინის ნეირონში შეგრძნობილად ყველას სიყვარული იმთაბთქება მტკინვეულად და ხდები კაცთმოძულე ძალის შვილი. ეს კი ამაზრზნია!.. ადამიანი უნდა გიყვარდეს და არ უნდა ჰგმო გონებით და გულისთქმით. ჩვენ ერთმანეთი უნდა გვიყვარდეს ეს იყო ემანუელის უმთავრესი მიზანი მთავარში. ვინაიდან ამის გარეშე ყველა და ყველაფერი ცარიელია... და ცარიელი ხიბლი. თუ ეს კითხვა კონკრეტულ პასუხს მოითხოვს მაშინ ვიტყვი: - რომ დაბადებიდან არის სიყვარული, ის საწყისშივე არსებობს დაეანებულად სულის საეანეში, უბრალოდ ბრძოლით უნდა განვამტკიცოთ ძალაში უნდა დაეამკვიდროთ და არ მიეცეთ უფლები ხილულ და უხილავ ძალებს დავეგმით ადამიანი. არ მიუშვათ გულამდე სადაც წმინდა სამყაროა და მხოლოდ სიყვარულის უფლები მოუცია ქრისტეს და არა სიძულვილს... არ უნდა სთქვას პირმა რომ სკოდოს პირის ზღუდე. ასეა ეს!.. ადამიანი ძვირფასია გულიც ამას მეთქმის!.. ადამიანი გონიერია, მახვილია სწორთა შორის! ადამიანი დიდებულია დიდებულთა შორის! აი ზუსტად ეს არ უნდა დავეგმოთ მასში და მიეცეთ თავად სიყვარული. ამ მრავალი სიკეთების ძალებს,

რათა მორიგად აღმოცენდეს და გზა გავიკვლიოთ ცათა სასუფევე-  
ლისკენ, სადაც საუბჯეა, სადაც საქართველოა, სადაც დიდი ზეციური  
საქართველოა თავისი უზადო დაუნგრეველი საუბჯეებით.

=როგორი იყო თქვენი კარიერა... მომიყვებით რაიმე ძალიან  
მნიშვნელოვანი თქვენი ცხოვრებიდან?

=პროფესიით იურისტი ვარ და სპეციალიზით სამართალმცოდ-  
ნე. დამეთანხმებით ქალბატონო ინგა, რომ ძალზე რთულია ოჯახი  
და პროფესიული საქმიანობა, თუმცა მოგვარებადია და გადაულახავ  
სირთულეებს არ წარმოადგენს. შვილებს, სითბო, სიყვარული და  
მეგობრული ურთიერთობა ავსებს. დიდი ნორალი და განვდილი  
სიკეთეები სჭირდებათ. ვცდილობ კარგი დედა ვიყო და ჩემი პროფე-  
სიული თვალსაზრისობა ძალიან დამეხმარა შვილებთან ურთიერ-  
ობაში, მათი უფლებების, მოვალეობის გაღრმავებაში ჩემი წილი  
ცოდნა ჩამეყარა, მინდა პიროვნული თავისუფლების გემო და ძალა  
იცოდნენ. ერისა და ქვეყნის ღრმად მოყვარულნი დანარჩენი თავად  
მოვა სიკეთის წყარონი.

=თქვენს ნაწერებში ადამიანის სული ღმერთთან ასოცირდება  
და მას უტოლდება თითქმის მნიშვნელობით... როგორ ფიქრობთ  
როგორ უნდა ვიქცეთ = „ადამიანად“?

=წარმოუდგენელია ჩემთვის ისეთი მსჯელობა, რომ ალებული  
არ ჰქონდეს სათავე ყველაფერს. ყველაფრის ნაწყისი თავად  
ღმერთია და არსებული ძალა მისი... სიტყვა ღმერთია და ღმერთი  
მისი უსასრულობა... ჩვენ მისი მორჩილი ძალები და მხოლოდ იმის  
უფლება გვაქვს რომ ვიყოთ სულიერად ძლიერები და არა ხორცად  
ქედით. ქედით მოარულნი არამედ რწმენითა და უდიდესი სიყვარუ-  
ლით, რაც ჩემმა ღირსეულმა ერმა იცის თავად. იცის და მადლდაც  
მუეცვნია, დაუნერვია და ღრმა კვალად აღმოუცვენებია ვაზისად და  
ღერწმად გაუხარებია... ცრემლად სიხარული მიუღია. თუ ერის  
შვილი არ მიატოვებს უფალს არც ადამიანებს მიატოვებს. და თუ  
უფალს მიატოვებს არც ადამიანობა მოეკითხება რა. ქრისტიანი კაცი  
ძლიერია, ვინაიდან ის ქრისტეთი ეძებს ჭეშმარიტებას. ლიტონი

სიტყვა რა საკადრისია, არ უყვარა ღმერთს ! ...და არც ერს ემატიება  
ეს მკადრი!.. მოწყალე გული სტოეებს აღამიანს აღამიანად!..

=თქვენს წიგნებზეც გვესაუბრეთ (თუ გაქვთ ) და რაზე მუშაობთ  
ეხლა?რა არის თქვენთვის სიყვარული და სამშობლო ერთად?

=ჩემი ცეროდენა წიგნი „ბევრად საპასუხო“ 2010 წელს  
გამოვიდა აფორიზმებია, რომელიც გაჭერებულა ღირსეული შთა-  
ვონებებით, სხვა რამ არ ძალუძს ამ გულს, გონებას და სულს! ამავე  
წელს მეორე წიგნი დაიბეჭდა ასევე მცირე ტირაჟით, ისტორიული  
პოემაა, სახელწოდებით =“მორეული წარსულიდან ამოძახილი ხმა.”

900 კუბლეტია და არის ქრონოლოგიურად ვადმოცემული, ზოგადად  
ჩვენი საქართველოსა და მისი ერის წარუძღვლი და ტკბილი ძალები  
გაცოცხლებული. და ჩემი სიამაყით ავსილი. მწერალთა კავშირის  
თავმჯდომარე ქალბატონი მაცყალა გონამეილი სრული სიფაქიზით  
მიუდგა ჩემი გულის სურვილებს და მითხრა: შენი გულის სითბო  
ვაუზიარე შენს გარშემომყოფთ ამ წიგნის საშუალებითო.უდიდეს  
მადლობას ვუხდი კიდევ ერთხელ ქალბატონ მაცყალა გონამეილს და  
არანაკლებ დიდი წვლილის შემტანს ჩემი შემოქმედების წარმოჩენაში  
მის პრეს მდივანს მანანა გორგიშვილს. ვისთანაც ძალზე ახლო  
ურთიერთობა მაქვს. ამჟამად ემუშაობ სასიკეთო თემებზე ეტაპ-  
ეტაპ.დროის ფაქტორების ვათვალისწინებით თემებზე: კაცთმოყ-  
ვარეობა, შემწყნარებლობა, მორჩილება და ასე შემდეგ... თემების  
რაოდენობა 40 აღემატება. მსურს წიგნის სახით გამოვიდეს, უფალი  
ინებებს ამას, ვინაიდან ის სუფთა აზრებით იქნება საესე და გამლილი.  
მინდა აღამიანი ვავშალო ისეთად, როგორც არის უფრო ღრმად  
მისივე არსებულ სიკეთებში... სად იკვებება მისი ცთომილებანი და  
უცთომილებანი სულიერებასა ერისეულ ძალებს შორის. წიგნს ა დ ა  
მ ი ა ნ ი დაერქმევა. თუმცა შესაძლებელია კარგი ტელე- პროექტიც  
გამოვიდეს. სადაც ჩვენი ღირსეული მოძღვრები, მამები, ფსიქო-  
ლოგები, ხელოვნებათმცოდნენნი პროფესიული კუთხით მოიყვანენ  
მსჯელობასა და სისრულეში. გამლიან აღამიანის სამყაროსა და ბუნე-  
ბას ჰეშმარიტების ფაზით. უნდა შევძლოთ მსჯელობა პედანტურად,  
იმიტომ რომ სიტყვით, გონებით ვეხებით აღამიანის არსს მისი

არსებობისა და გამოვლინებებია სიფაქიზიზე და კვალ - დაკვალ  
აღმოუჩინოთ გაღანტურობა...

=როგორ ვაკეთოთ ქველმოქმედება და რას ხედავთ ამ სიტყვის  
მიღმა ?

=რაც შეეხება ქველმოქმედებას ეს წმინდა საქმეა და გულით  
უნდა ვაკეთოთ და თითოეულმა ერის შვილმა უნდა მიიღოს  
მონაწილეობა რათქმა უნდა თუ ამის სურვილი და შესაძლებლობაა.  
ისე მე ვინაგრები გრანდიოზულს, ორიგინალურს ისეთი სახის  
ქველმოქმედებას, რომ მიზნად დაისახავდა სიცოცხლეში და ცხოვ-  
რებაში შემოსულ ადამიანებს უფრო მეტი სითბო და ნების  
თავისუფლებაში, იმ შეძლებული ადამიანებისაგან ვისაც შესწევთ უნა-  
რი გაახარონ მათი გულები, სხეული გრძნობადი და ღვთიური მად-  
ლით მოსილი ჰქონდეთ კერა და შნი-ლამათიანი ცხოვრება.  
როდესაც დავაბიჯებ მიწას სხეული ტირის, ტირის და განიცდის, რომ  
სადღაც არის მძიერი, ცხოვრებისგან შორს! ...და უარესია ის, რომ მის  
არსებობასაც რომ ვგმობთ ცივი გონებით და უკეთურობით. ამით  
უფალს ვგმობთ და სულით ვშორდებით მადლიან საუნჯეებს. არ უნდა  
არსებობდეს სახელმწიფოში ხელით გაწვდილი ბავშვი, ის არ არის  
მათხოვარი და ენად არ უნდა ეთქმოდეს ერის შვილს მის ბავთაგან.  
ის ისეთივე ნატურით მოვიდა ამ სოფლად, როგორც ჩვენ ან რა  
ვართ მათზე მეტი, იმიტომ რომ თანამედროვედ გვაცვია ?! არა, ჩვენ  
ერთნი სულესანი და ხორცისანი ვართ. მათ ჩვენზე მეტად აქვთ სული  
ღირსებებში რაც ჩვენ არ გვაქვს. როდის იყო სული სამოსელით  
იმოსებოდა ?! აი მათ კი საწყისშივე აქვთ მოპოვებული უფლის მადლი  
შიათ და არა აქვთ, ცივით და ვერ იცვამენ ვერ თბებიან ცრემლითა  
და ტკივილით მოწმენდილ ცას შეჰყურებენ და ნატრობენ წყალობას,  
მაგრამ ამოდ!.. ეს დაცემაა გონიერები და მარწუხში ექცევა  
სამწუხაროდ. ეს ტკივილია ჩემი. ნეტავ შემამძლებინა არცერთი  
გაწვდილი ხელი არ იქნება საქართველოს ამიერ - იმიერში. არც მათი  
დედა მშობელი ჩვილს რომ დაატარებს ცრემლად და წუხილად  
უმაღლო ლოდინში. მათი სხეულები ტანკული მადლად იწონებიან  
საუფლოში, შიშველია ხელები ჩემი და მადლად ვერ ვმოსავ მათ,



მაგრამ გონებით მშიერთან ვარ, მწყურვალთან, ობოლთან, ქვრივთან და ვისაც აქვს ამ შეგრძნება დიდი მადლია უდიდეს წყაროში... აი ეს ხელის მტევნები მისათ წილად კი არ უნდა იყოს დადლილი და დადლილობისგან ჩამოჩეული, არამედ მოწყალეების უხვ ძიებაში უნდა იყოს დამკვიდრებული და კვლავ აღმართული. ადამიანი არ უნდა კვნესოდეს. ის უნდა იღიმიდეს და ცოცხლობდეს მისივე მრწამსში! არც წყალობა უნდა იყოს ერთჯერადად, ის ღვთაებრივ წყალობასთან საესე და თესეგადგმული უნდა იყოს, რომ ვერ ამოძირკვის უხილაემა მტერმა და ქაოსად არ დაივანოს მისივე უხილაე ძალებში. ბოლომდე უნდა მიიყვანოს ერის შვილმა მადლი, ჰოდა ამ მადლს შემისილება სჭირია და არა გამიშვლება ამაო! ერთჯერადად გაჩვდილი ხელი ვნებათა ღელვანია... წყალობის მიმღები მადლობას გეტყვიან გაბრუნდებიან ისეე მის წერტილში დაბრუნდებუან მოჩმენდილი ცის ქვეშ სანამ ავიც არ ამოვარდება და სხეულში არ გაჯდება მტვრევადად ძვალსა და რბილში. და რა?! ისეე ტკივილი... ისეე შიმშილი... ისეე ცრემლი! აბა, ეს მადლია?! ხომ არის შიმშველი და უშემოსილო. ...და თუ ერის შვილი ტირის ჩვენც ვიტერთ მათთან ერთად, იქნებ გაუგო უფლის მიერ მოვლენილ ადამიანებს და გავაცნობიერთ სიცოცხლისა და ცხოვრების ყოველი წამი გამოცდაა ჩვენი უფლის წინაშე და ჩავაბართ უნდა!

რაც შეეხება ქველმოქმედების მიღმას თუ არსებობს მასში შეუარული გამოიკვეთება, საეჭვობა ეს უკვე კვლევა - ძიების საქმეა დაღვინდება მიზეზობრივი შედეგობრივი ქმედებები. ქველმოქმედების თემა სუფთა და თუ საქმით იქნება შეუარული თემის სისუფთაეე აუცილებლად გამოავლენს ყოველივეს.

=რა არის სიყვარული სამშობლოსთან ერთად და ბედნიერება თქვენთვის?

=სიყვარული უმთავრესია მთავართა შორის და ბედნიერება მოაქვს და კიდევაც, არის უხვ ძიებაში სიკეთეების სიყვარული სამშობლოსთან ერთად უდიდესი ბედნიერებაა, რომელიც სამოთხეა, სავანეა, სამშობლოს სიყვარული თუ არ მოსდგამს ერის შვილს აბა რითილა უნდა შეივსოს?! სამშობლოს სიყვარულში ძევს უდიდესი მადლი.

წმინდაა და სანუკვარი ის წმინდა ლოცვაა უფლისადმი აღუღებელი,  
ის ბაგეთა ჩურჩულია თამარისგან მოყოლილი, ის ქეთევანის სხეულია  
ტკივილად გაყოლილი, ის დაეთის ხვედრია გულით აესილი. ის  
ვაზის ცრემლია დედისაგან ტკივილით ნაჯერი. ის მართლუფალეა  
ცისა და მიწის პირს!..

ულამესი მადლობა ქალბატონო ირმა, ასეთი შინაარსიანი და  
მრავლისმთქმელი ინტერვიუსათვის..

ინგა გოგიბერიძე  
ირმა კიკლიაშვილი  
ბათუმი - თბილისი - 2014 წელი



პიესა, რომელზეც ახლა ვმუშაობ, (ვცოვებ საიდუმლოდ), თუ მეყო  
(არა გონიერება, ნიჭი, არამედ) სიცოცხლე და დავასრულე,  
დარწმუნებული ვარ, ყველა თეატრი და კინო მოისურვებს მის  
გადაღებასა და დადგმას... ინტერვიუ მწერალ მაია მახარაძესთან

=მოგესალმებით ქალბატონო მაია... თქვენ ხართ ქალბატონი რომელიც სიყვარულით ცხოვრობს... რა არის თქვენი ცხოვრების ნაპირი?

=სალაში ქალბატონო ინგა. ვფიქრობ ყოველი ჭეშმარიტი ადამიანის სურვილში მხოლოდ სიყვარულია ამოტვიფრული... დიას, მე სიყვარულით ვცხოვრობ და მას ჩემი სამშობლოს, ერის, ოჯახის სიყვარული ჰქვია... ჩემი ცხოვრების ნაპირი უნაპიროა. არც ათულის წერტილი გააჩნია, არც მრავალწეტილი, არც მძიმე, არც კითხვით - ძახითი... ჩემი ნაპირი მშის ის დაქანებაა, კელაჲ რომ ზეცისკენ ილტვის სხივებით...

=რომელი წლიდან წერთ და რა წიგნები გაქვთ გამოშვებული?

=ვწერ მეთხუ კლასიდან. ვიბეჭდები 1977 წლიდან. ვარ სამი დამოუკიდებელი წიგნის ავტორი. (პოეზია - პროზა)

გამოცემული მაქვს სამი სცენარი:

ა) გვიანი სინანული

ბ) დაუნერული პიესა

გ) არწივთა სერობა.

გ) (ვმუშაობ ახალ სცენარზე)- (დარჩეს საიდუმლოდ)

რომანები:

ა) დამსხვრეული კერპები

ბ) ცოდვილთა თეატრონი (გამოსაცემად მზად მაქვს ექვსი რომანი და მოთხრობების კრებულები)

პოეზიაში კი ჩემო ინგა, იმდენი ნამუშევარი მაქვს, მთელი ინტერნეტ სივრცე დამჭირდება რომ ჩამოეთვალო...

=კი ვიცი, ვკითხულობ და თქვენი ლექსები ძალიან მომწონს... ვიცი რომ წერასთან ერთად შესანიშნავად ხატავთ, გქონიათ თუ არა

როდესმე გამოთენა და ვაქვთ თუ არა დღეს სურვილი გააკეთოთ გამოთენა?

=დიახ, ჩემო ინგა. მე ვწერ... მე, უხატავდი... ექსოვდი... ვქარგავდი... ვძერწავდი... ხის ფესვებისა და ტოტებისგან ვაკეთებდი შანდლებს, სხვადასხვა ცხოველების გამოსახულებებს... ნიჟარებისგან სუვენირებს... ექსოვდი ჭაღებსაც კი... სამწუხაროდ, ახლა მხოლოდ ვწერ... ცხოვრება ყველას არ აძლევს საშუალებას, „ნიჭს ფართო გზა რომ მისცეს“... გამოთენა არასოდეს მქონია და არც ნაჭვს ამის პრეტენზია, მხატვრობას ვერ დავიბრალებ. უფრო ვეღარ... არადა ამქვეყნად, პირადად ჩემთვის, ყველაზე დიდი ხელოვნება სახვითი ხელოვნებაა...

=ღმერთმა ავისრულოთ სურვილები და სახვით ხელოვნებაში წარმატებებს მივალწევივით... როცა საყვარელ საქმეს აკეთებ მაშინ ძალიან ბედნიერი ხარ... რა არის ბედნიერება თქვენთვის? ჩემთვის ბედნიერება ბავშვობიდან მოდის ...თქვენ რა წამოიღეთ ბავშვობიდან?

=ბედნიერება თავისთავად ბავშვობაა, მაგრამ (ჩემის აზრით) იქამდე, ვიდრე დედის მკერდსა ხარ მიკრული და რძით სავსე ძუძუძუკრდი პარნასი გვონია... ბედნიერება შეგვრძნებულ სიხარულია, მამ რად მსჯი სულო, განა ყოფილხარ აქამომდე უსიხარულოდ? – (ვკითხე ერთხელ სულს)... რა მომაქვს ბავშვობიდან? იმედი, რწმენა, სიყვარული, მეგობრობა... და თვალები ჩემო ინგა, იგივე გულუბრყვილო მზერით...სიტყბუკე მომაქვს გულით და მიხარია, რომ „ვერ გავიზარდე“, ვერ ავითქვიფე დროსა და სივრცეში, ოქროსა და ვერცხლში...

--- ასეთი პასუხი ბედნიერებაა, როცა ადამიანი ვერ კი არა, არამედ ვერ ითქვიფება დროსა და სივრცეში, ოქროსა და ვერცხლში... ქალისთვის ყველაზე დიდი ბედნიერება დედობაა... თქვენ ბედნიერი დედა ხართ... როგორ ფიქრობთ რითი გამოირჩევა ქართველი ქალი და რას იტყვით ქართულ ტრადიციებზე?

=რათქმუნდა, მე შემიძლია ვთქვა: ბედნიერი დედა ვარ და ამისთვის მადლობა უუაღს... დედობა ღვთისმშობლის როლია.

ქართული ქალი, (ჩვენ ასე გვკონია) სხვა ეროვნების ქალთაგან განსხვავებულია და ამ „სხვაობაში“ მავანნი გულისხმობენ სინდის - ნამუსს, ტრადიციისადმი პატივისცემას, შეილისადმი თავგანწირვას, ოჯახისადმი ერთგულებას და ყველა იმ სამავალითო-საგმირო თვისებებს, (აღარ ჩამოეთვლი) რაც ჭეშმარიტ ქართველ დედას გააჩნია... მინდა ვთქვა, რომ ყველა ერს ჰყავს ჭეშმარიტი ქალები, დედები და ყველა ერს გააჩნია პატივსაცემი ტრადიციები. შე ვაფასებ ჩემი ქვეყნის („ყავლგასულ“) ტრადიციებს, მაგრამ რაც დღეს საქართველოში ხდება, ამას ტრადიციის შესაცყვისი სიცყეა არ მოეპოვება ... დღეს ქართველებს ტრადიცია არ გაგვაჩნია და რაც „ძველებმა“ შემოგვინახეს, იმასაც ყუნჩი აწყდა, პაერში ფართატებს... ტრადიცია ქართველებმა ტრადუარეტად აქციეს... სამწუხაროდ...

(მაპატიოთ გულახდილობისთვის)....

=სწორს ბრძანებეთ, რთული პერიოდი გვიდგას.. ხომ არ იცით, როგორ შევინარჩუნოთ ენა, მამული სარწმუნოება!!

=ეს ჩემი ყველაზე დიდი საფიქრალ - სატკივარია ჩემო ინგა. პო, როგორ შევინარჩუნოთ?! ნეტავი ვიცოდე ამისი პასუხი. ვერ შევინარჩუნეთ ერთმანეთის მეგობრობა, არ გავაჩნია ერთმანეთის სიყვარული, ვერ მოვიპოვეთ ერთმანეთის ნდობა, ვერ ვისწავლეთ ერთმანეთის მოსმენა და ტკივილის ვათავისება, ვერ შევძელით სხვის სულსა და ჭიბები ხელების ფათურის მოძლა, ვერ გადავლახეთ ანგარების ზღვარი, ვერ ჩავახშეთ შური და ვგოიზში, არ შეგვიძლია ერთმანეთს თვალი გავუსწოროთ... თუკი ყველაფერ ამას შევძლებთ, ენაც, მამულიც, სარწმუნოებაც იარსებებს ერისა და ქვეყნისთვის და არა მხოლოდ ცალკეული პიროვნებებისთვის...

=რა არის თქვენთვის სიყვარული და სამშობლო ერთად?

=ჩემთვის სიყვარული და სამშობლო ერთად, არის, - შვილი...

=რა გეგმები გაქვთ და ვიცი რომ დიდ რომანზე მუშაობთ,

მოგვიყვიეთ...

=გეგმები ჩემო ძვირფასო, განუხორციელებელი მიზნის განხორციელებაა თუ უფალი ინებებს. როგორც ყველა ხელოვანს,



მსურს გამოვეცე ის უამრავი ნაწარმოებები, რომლებშიც სული ჩავ-  
დე... მინდა დაიდგას ჩემი პიესა, ჩემსავე სიცოცხლეში, მაგრამ ეს  
ალბათ ოცნებად დამრჩება... ასევე მინდა გამოვეცე ნახატების აღ-  
ბომი... ჩემო ინგა, თუ გამოიგებენ, როგორც სელოფანს, მინდა  
გაებედო და ხმაძალდა ვთქვა, (იქნებ გამომართლოს სიტყვიერმა რის-  
კმა,) პიესა. რომელმაც ახლა ემუშაობ, (ვტოვებ საიდუმლოდ), თუ  
შეყო (არა ვზონიერება, ნიჭი, არამედ) სიცოცხლე და დავასრულე,  
დარწმუნებული ვარ, ყველა თეატრი და კინო მოისურვებს მის გადა-  
ღებასა და დადგმას...და ბოლოს, ქალბატონო ინგა, არ ვიცი  
რამდენად ამომწურავია ჩემი პასუხები, მაგრამ გწამდეთ, გულწრ-  
ფელად გადაგიშალეთ სული...

დიდი მადლობა ქალბატონო მაია.

ინგა გოგიბერიძე  
მაია მახარაძე – ბათუმი 2014 წელი

„მე დაგინიშნა პემანს ცაში“  
საუბარი მარი ბეზარაშვილთან

...ერთეულები თუ დადიან ქალაქში, რომელთა გარეგნული  
სილამაზე და სულიერი ისე ერწყმის ერთმანეთს, რომ ქალაქი მათ  
გარეშე ცარიელდება ...სწორედ ასეთ ქალბატონზე უნდა გესაუბროთ  
დღეს, რომლის სახელი და გვარია მარი ბეზარაშვილი

=ქალბატონო მარი... მინდა ჩვენი გაცნობის დღიდან დავიწყო,  
როცა აჭარის ჯანდაცვის სამინისტროში შეგხვდით... პირველი შეხედ-  
ვისთანავე ენერგიული ქალბატონის, მაგრამ უფრო სათნო, საყვარ-  
ელს და გულისხმიერი ექიმის შთაბეჭდილება დამიტოვეთ... ვიცი  
რომ ექიმების დინასტიის გამგრძელებელი ხართ... მოგვიყვით  
ცოტაოდენი რამ თქვენი ოჯახის ტრადიციამზე?

=დიდი სიამოვნებით მოგიყვებით ჩემს ოჯახზე, ჩემს ღირსეულ წინაპრებზე, რომლებიც ნამდვილად მეამაყებიან. დედა - შვიალეუვა გახლდათ ექიმი, პედაგოგ-ალერგოლოგი. უდიდესი ენერჯის, სიტბოს და სიყვარულის მთესველი ქალი განურჩევლად ყველასთვის. არაჩვეულებრივი დიასახლისი. ძველლე, დედა და ექიმი იყო. სამწუხაროდ 7 წელია რაც ვარდაიცვალა. მამა-დიმიტრი ბეზარაშვილი გახლავთ ალერგოლოგიის ერთ-ერთი დამაარსებელი საქართველოში, პროფესორი, ქ.თბილისის მთავარი ალერგოლოგი ათეული წლების განმავლობაში. დღესაც მოქმედი ექიმი და თავისი ჩვეული შემართებით ერთგულად ემსახურება ყველას. პაპა - (მამის მამა ვინაიდან წარმოშობით აღმოსავლეთიდან იყო, ასე უყვარდა რომ მიმემართა) ალექსანდრე ბეზარაშვილი გახლდათ ამიერკავკასიის მთავარი ექიმი. უგანათლებულესი პიროვნება, რომელსაც 3 უმაღლესი ჰქონდა დამთავრებული და არაჩვეულებრივად ფლობდა 4 უცხო ენას. ის ჩემი დიდი მეგობარი იყო, მიყვარდა, როცა მას მიყვავდი სხვადასხვა წრეზე ან ცეკვაზე, ყოველთვის ძალიან ვხალისობდით ერთად. მისი მეუღლე, ვისი მოსახელეც მე გახლავართ, მარიამ დემეტრაშვილი, გახლდათ რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი, რომელსაც ასევე განსხვავებით უყვარდი 4 მუილიში, გამორჩეულად. დედის მშობლები იყვნენ სანდრო ლეუვა, დამსახურებული ექიმი გასტროენტეროლოგი და მისი ულამაზესი მეუღლე, ექიმი, თავადის ქალი - ბარბარე თაქთაქიშვილი. ამ ხალხის ხელში ვიზრდებოდი და თუ რამ კარგი გამაჩნია, უდაოდ მათი დამსახურებაა. მე ვიზრდებოდი პლექსანოვზე, ტრადიციულ იტალიურ ეზოში, არაჩვეულებრივი მენობლების და მეგობრების გარემოცვაში. ჩენი ოჯახი იყო მუდმივად ყველას თავშეყრის ადგილი. მრგვალი მაგიდის გარშემო მაშინდელი თბილისის ელიცა განიხილავდა უამრავ საჭირობოროტო საკითხებს. ჩვენს ოჯახში მუდმივად ცხოვრობდნენ რაიონებიდან ჩამოსული სტუდენტები. მოკლედ, თუ ვინმეს რამე უჭირდა, ხომ აუცილებლად ჩემებისთვის უნდა მოემართათ და ჩემი წინაპრებიც თავს არ ზოგავდნენ არაფერში.



=მესანიშნავი ტრადიციების ოჯახი ვცოლიათ, კეთილი და განათლებული აღამიხებით. ამიტომ ვასაკვირიც არაა, რომ ბედნიერად ბავშვობა და ახალგაზრდობა გქონდათ... რა წამოიღეთ ბავშვობიდან და რა არის ის ბედნიერების ნაწილი, რომელიც სულ მუდამ თან დაგდევთ?

=ბავშვობიდან სწორედ ეგ სულის სიხალისე, მოყვასის უზომო სიყვარული წამოვიღე, ურომლისოდაც ცხოვრება არ შემძლია.

=სიყვარული ყველაფერია გეთანხმებით... ძალიან ბევრს დიდი დრო სჭირდება, რომ ქათქათა ბათუმს თავი შეაყვაროს, თქვენ კი ეს სულ რაღაც 10 წლის განმავლობაში შეძელით - ყველგან თქვენი სახელი ისმის, სადაც ქველმოქმედება და კეთილი სოფელის აღამიხები გამოჩნდებიან... ქველმოქმედება თქვენთვის თანდაყოლილი გრძნობაა თუ?

=ჩემს ქველმოქმედებებს ძალიან დიდი ხნის ისტორია აქვს. ძირითადად სტუდენტობიდან დაიწყო, ბავშვთა სახლის დასახმარებლად, რომ დავიწყე რაღაცეების შეგროვება, ლამის მთელი სახლი ვაგზიდე. შემდეგ უკვე დაეაარსე არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ქალი“, რომლის საქმიანობაც მხოლოდ ქველმოქმედება იყო. ამას მოჰყვა, ის, რომ ამირჩიეს მედიკო-ბიოლოგიური ასოციაციის დედათა კლუბის პრეზიდენტად, რომელითაც უფრო ფართო მასშტაბიანი აქციების ორგანიზებას ვახერხებდით. ვარ „საქართველოს ქალები სიცოცხლისა და მშვიდობისათვის“, აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის ხელმძღვანელი და ფონდ „კეთილსოფლის“ აპარატის უფროსი.

=რა საინტერესოდ ყუებით ...ხომ არ გახსოვთ, რომელი იყო თქვენი პირველი ქველმოქმედების აქცია? და კიდევ... წახვიდოდით თუ არა ომში, ეს რომ სამშობლოს დასჭირებოდა და ხომ არ გქონიათ შეხება 2008 წლის აგვისტოს ომთან?

=ჩემი სამშობლოს სიყვარული ისე ღრმადაა ჩემში გამჭდარი, რომ დაუფიქრებლად წავალ ყველგან, სადაც ჩემს ქვეყანას დაუჭირდება. ამისი მცდელობაც მქონდა. მინდა ორიოდე სიტყვა გითხრათ მ აპრილზე და შემდეგ 2008 წლის ომზე მოგახსენებთ

იმ აუბედით დღეს, მეც იქ უნდა ვყოფილიყავი. დედის დაჟინებული მოთხოვნით გვიან წამოვედით მე და ჩემი და რუსთაველიდან სახლში. გამოთნისას კი ყველამ შევიტყვეთ ის რაც მოხდა. მოკუმი ვიყავი, ისევე როგორც ყველა, სასწრაფოდ მივქანდი მამაჩემთან და ვთხოვე, რესპუბლიკური საავადმყოფოს რეანიმაციის განყოფილებაში გავეთორებინე სანიტრად, მაშინ სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი ვიყავი და მქონდა ამის უფლება, რათა მომეწყო დაჭრილებისათვის. მართლაც 2 მეგობართან ერთად დღე და ღამე, გარეთ გამოუსვლელად ვმუშაობდით მოხალისედ, ასევე ვაგროვებდი მოწამლული ხალხის სიებს. მინდოდა როგორმე მოვფერებოდი ჩვენს გმირებს. რაც შეეხება 2008 წლის ომს, სწორედ მაშინ შვებულებაში ვიყავი და ველოდებოდი სტუმრად შეილებს. როგორც კი ეს ამბავი შევიტყე, მაშინვე გამოვცხადდი სამსახურში, აჭარის ჯანდაცვის სამინისტროში და მაშინდელ მინისტრს, ლევან ანთაძეს ვკითხე, თუ რითი შემეძლო დახმარების გაჩევა. მანაც მიპასუხა, მარი რითიც შეგეძლება დევნილებს დაუდგეთ გვერდითო. სწორედ ჩემი ინიციატივით არაერთი კონტინენტი ტანსაცმლით, ფეხსაცმლით, საყოფაცხოვრებო ინვენტარით სავსე გადაეცათ იძულებით გადაადგილებულ პირებს, მაგრამ რაც მთავარია, სასწრაფოდ დაურეკე მაშინდელ აჭარის კომისარს, ბესო დოლიძეს და ვთხოვე, წავეყვანე გორში, უთხარი, სროლაც ვიცი და ჭრილობის დამუშავებაც შემიძლია თქო. ბესომ გაოცებულმა მიპასუხა, კი გიცნობ ამდენი ხანია, მაგრამ კარგად არ მცნობიხარო. მითხრა, რომ ესლა შენ მანდ უფრო მეტი სიკეთე შეგიძლია გააკეთო და ასე მომიძორა თავიდან. ესლაც უდიდესი სურვილი მაქვს, ჩემი ორგანიზაციის ქალებთან ერთად, თეთრი ხალათებით შევიდეთ აუტომატშიც და ოსეთშიც. მე ამას სული მოხოვს და ალბათ ავიხდენ ამ ოცნებას.

=თქვენმა პასუხებმა შემძრა ქალბატონო მარი... გარეგნულად ასეთი რომანტიული და ნაზი ქალბატონი ბრძანდებით, შინაგანად კი მუდგარი და მხნე. სწორედ ამიტომაც ჩემთვის წარმოუდგენელია რომ ლექსებს ან ჩანახატებს არ წერდეთ?

=მინდა ვითხრა, რომ პირველი ლექსი 5 წლის ასაკში დავწერე. როცა მტკივა, ან მიხარია მაშინ ვუბნობ ხოლმე ჩემს მუზას და



ჩემი განცდები, რასაც სული ვეღარ იტევს, ვარითმული სახით ვადა-  
მაქვს ფურცლებზე. ისე ჩემს ზოგიერთ ლექსზე სიძღერებიცაა  
დაწერილი. ჩემმა მეგობარმა, მარგარიტა ხვადაგიანმა 50-მდე ლექსი  
რუსულადაც თარგმნა. ერთ დროს ვაპირებდი პატარა ტირაჟითაც  
ვაშობებვას, მეგობრებისათვის, მაგრამ ჯერჯერობით მაგ საქმეს ვერ  
მოვაბი თავი.

„მე დაგინიშნავ პაემანს ცაში. რადგან იქ განახო, როგორიც  
მინდა სული უმანკო, ბავშვზე სპეცაკი, მუდამ მორჩილი, იქ ვნახო  
მინდა. მე დაგინიშნავ პაემანს ცაში, ცისფერი ფერი ორივეს გვიყვარს,  
და იმ უძირო ცის კამარაში, მარტო დაურჩებით ძალიან დიდ ხანს.  
ირველიე სიჩუმე ბატონობს ისევე, ნეტავ სულები აქ სად არიან?...  
ანგელოზები შორს ზარებს რეკენ, ცისფერ ტაძარში ჩვენ გვეძახიან.  
შენი თვალები სხვის თვალებს არ ჰგავს... შენ ხარ მოსული ნისლივით  
ციდან. მე დაგინიშნავ პაემანს ცაში, რადგან იქ ვნახო, როგორიც  
მინდა. მე დაგინიშნავ პაემანს ცაში“.

=რა არის თქვენთვის ქართული ოჯახი და მისი ტრადიცია და  
საიდან იწყება ბედნიერება?

=ქართული ოჯახი ეს არის ტრადიციებით, უფლის სიყვარუ-  
ლით, ურთიერთპატივისცემით, ერთმანეთზე ზრუნვით, ჭეშმარიტი და  
არა მოჩვენებითი სიყვარულით სავსე ბუდე. სადაც მამაკაცს უნდა  
აკაცებდნენ და ქალს აქალებდნენ. უფროსს პატივს უნდა სცემდნენ  
და ბავშვს მხოლოდ სიყვარულით და სიკეთით სავსეს უნდა ზრდილ-  
დნენ. მოკლედ ყველას თავისი ფუნქცია და ადგილი უნდა ჰქონდეს  
ოჯახში და რაც მთავარია ტყუილი არ უნდა არსებობდეს არანაირ  
ურთიერთობაში.

=ქალბატონო მარი, თქვენს ცხოვრებაში ქველმოქმედებას დიდი  
ადგილი უჭირავს ამიტომ მინდა კეთილი სოფლის საქმიანობას  
ცალკე შევხვხო, უფრო დაწვრილებით მოგვიყვიეთ ამ საქმიანობაზე?

=რაც შეეხება კეთილსოფელს მოგახსენებთ, ის, რომ  
კეთილსოფელი არსებობს აჭარაში, ეს ინიციატივა მთლიანად მე  
მეკუთვნის. ყველაფერი კი ასე დაიწყო. ერთ დალას შემთხვევით  
ვადავრთე ტელევიზორი იმედის არხზე, სადაც იმედის დილა გა-

დიოდა. სტუმრად სტუდიაში ჰყავდათ მიწვეული რომა რცხილაძე. ნიკოლ-შოუ, და კიდევ ერთი, მაშინ ჩემთვის უცნობი ახალგაზრდა ბიჭი, რომლებიც სიკეთის სოფლების ამენებაზე საუბრობდნენ და ჰქონდათ სურვილი, რომ უსახლკარო შშმ პირებისათვის აეშენებინათ მუდმივი თავშესაფარი, სადაც თბილისთან ახლოს, რომა რცხილაძე გახლავთ ჩემი უახლოესი მეგობარი და მათი სტუდიიდან გასვლისთანავე გადავრეკე რომასთან, რათა გამერკვია დეტალები, ამ პროექტის შესახებ. რომამ მითხრა, რომ ჯერ ეს ყველაფერი იდეის დონეზე იყო, პროექტის იდეის ავტორები არიან ნიკოლ-შოუ და მიშა ტყეებუჩავაძე. მე მაშინვე შევთავაზე რომას, რომ ვინაიდან ჯერ არსად არაფერი დაწყებული არ იყო, პროექტი დაგვეწყო აჭარიდან, ვინაიდან მე შეეძლებოდა აქ ამ პროექტის ხორცშესხმას. მართლაც ნახევარ საათში დამირეკეს და სიხარულით აიტაცეს ჩემი შეთავაზება. აქვე მინდა ვითხრა, რომ პროექტი ხორციელდება უწმინდესის და უნეტარესის ილია II ლოცვა-კურთხევით და მალე მოიცავს სრულიად საქართველოს. ამჟამად შეიკრა გუნდი მანანა სარიშვილი, მიშა ტყეებუჩავა, ზურაბ ცინცილაძე და მე. რომლებიც ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ კომისიურად შერჩეული წესით 20 უსახლკარო ოჯახს, რომლებიც არიან სიღარიბის ზღვარს ქვევით და არსად არანაირი საცხოვრებელი არ გააჩნიათ, ჰყავთ ოჯახში მინიმუმ 1 ჩვერი მაინც შემზღუდელი შესაზღვებლობის პირი, დაეკმაყოფილებთ მუდმივი საცხოვრებლით. იქვე იქნება სარეაბილიტაციო ცენტრი, რომელიც მოემსახურება მთელი აჭარის მასშტაბით მსგავსი კატეგორიის ხალხს. მშენებლობა დაწყებულია აბსოლიტურად შემორჩიულობებით და საქველმოქმედო აქციო-კონცერტებიდან შემოსული თანხებით. რაც შეეხება ბედნიერებას, ალბათ, ყველაფრის საწყისი მაინც სიყვარულია.

=ქალბატონო მარი, რა არის თქვენთვის სიყვარული და ბარემ სამომავლო გეგმებზეც ვისაუბროთ...

=ჩემთვის სიყვარული არის სულის საზრდო, ძალა იმისა, რომ უფრო მეტი მოვასწრო და შევძლო, ხალისი, ენერჯის წყარო. ჩემი ცხოვრების აზრია, ურომლისოდაც ვერ ვიარსებებ. მიყვარს ყველა და



ყველაფერი ვინც ან რაც სიყვარულს, სიბოძის და სიკეთეს გამოსცემს, ყველაფერი უფლის ნებაა. წინასწარ არაფერზე არ მიყვარს ლაპარაკი, მაგრამ ერთს კი ვეცხვიო, ძალიან ბევრი სიკეთე მაქვს კიდევ გასაკეთებელი. უამრავი ადამიანის გული გასახარებელი. ვცოცხლობ ჩემი ორი ვაჟაკისათვის, მამისთვის, დისთვის, მეგობრებისთვის, ნებისმიერი იმ ადამიანისთვის, ვინც მე მომმართავს დასახმარებლად. რატომუნდა მუდმივად ვმუშაობ საკუთარ თავზე, მიუხედავად ჩემი პროტესტობისა, სულ ვცდილობ არ გამოვეტოვო არაფერი ახალი არც მედიცინაში და არც დასაქმების განხრით. პირადი ცხოვრება უკვე ძალიან დიდი ხანია არ მქონია, ვნახოთ, რა იქნება ახალი ამ მიმართულებითაც ჩემს ცხოვრებაში. იმედი მაქვს, რომ უამრავი პრობლემის მიუხედავად, რაც ცხოვრებამ განსაცდელად მომიყვლინა, ჩემს ცხოვრებაშიც მოვა გაზაფხული.

=მადლობთ ქალბატონო მარი ასეთი საინტერესო საუბრისათვის და დმერთმა უმრავლეს ჩვენს საქართველოს კეთილი სოფლის ადამიანები.და ბოლოს შინდა თქვენი ეს სურვილი ახლეს-ჩემი ორგანიზაციის ქალებთან ერთად, თუთრი ხალათებით შევიდეთ აფხაზეთშიც და ოსეთშიც. მე ამას სული მთხოვს და ალბათ ავიხდენ ამ ოცნებას... ყველა ოცნებების ახლენას გისურვებთ მშვენიერო ქალბატონო!

ინგა გოვიბერიძე  
მარი ბებარაშვილი  
ბათუმი.2014 წელი

მედია კეიღია - „ხატვამდე სწორედაც, რომ იყო სიტყვა, სიტყვა,  
როგორც დასაბამი ყოველივესი...“

რომელიც შემდეგ განსხეულდა ფერად ანგელოზებად...“

=ქალბატონო მედია, სოციალურ სივრცეს ერთი კარგი თვისება აქვს, ძალიან ძალუ გამოარჩევს ადამიანებს ვინ არის ვინ!!! თქვენ ქალბატონო მედია გამორჩევეც არ გინდათ, ისე იფრქვევით უბრალოებით, სისადავით, კეთილმოსურნეობით და სიყვარულით... ჯერ თქვენი გვარის ისტორიიდან დავიწყოთ საიდან ხართ წარმოშობით და არის თქვენთვის ქართული ჭიმი?

=დიდება უფალს, რომ თქვენი(ფეისბუქის) კომპლიმენტი მხოლოდ გულში მჩრება და თავისკენ გზა გადაჭრილი მაქვს... თორემ, ვეჭვობ ერთი ადამიანი ასეთ ცდუნებას ვერ გაუძლებდა... ეს ისე, ზოგადად. გვარი- კეიღია- სამეგრელოს გულიდან-ზუგდიდიდანაა ძირითადად, თანაც მცირერიცხოვანი. თბილისში მეტწილად "ი" ვარდება და საბუთებშიც კი, ხან კეიღია წერია, ხან კელია. როგორც ვიცი სათავადო აზნაურებს ეკუთვნის, მთელი თუ არა, ნახევარი ქუჩა მაინც, მახსოვს, ბებიას ნათქვამი - ჩვენი მიწა იყო... ჩემდა გასახარად უახლოეს წინაპრებში მღვდლები, ხოლო ბაბუა -თეთრანე კეიღია, ისეთი მაზრის კომისარი მყოლია, თანად ამბროსი ხელაია გადაურჩენია - რისთვისაც მისი გულითადი დალოცვა დაუმსახურებია... მახსოვს ღვთისმშობლის ულამაზესი ხატი კარადაში შეხვეული და დამალული, რომელსაც მარტო დარჩენილი დები გამოვიტანდით და ვკოცნიდით - ისე, რომ არც კი ვიცოდით რა იყო...

=გული მწყდება რომ არ მაქვს ნანახი თქვენი ანგელოზები ცოცხლად, მხოლოდ ეკრანზე და ეკრანიდანაც უსაშველო სიკეთე და სითბო იღვრება... ...როგორ ფიქრობთ ადამიანები კეთილები იბადებიან თუ მერე ხდებიან და რატომაა სიკეთის ღეფიცობი საქართველოში?

=უფლისაგან, მხოლოდ წმიდა სული დაჰყვება ჩვილს, მხოლოდ შემდეგ დრო და თუად ადამიანის არჩევანი ხდის ადამიანს იმად, რადაც საკუთარ თავს იყალიბებს უფლის (ან სულაც ბოროტის)

შეწევნით. სიკეთე დეფიციტია საქართველოში? არ მგონია. პირიქით, ქართველებივით სიკეთით საესეს და მოყვარეს, კეთილგანწყობილს კიდევ სად ნახაეთ დელამინის ზურგზე?! ეს მხოლოდ თბილისში-მხოლოდ ტელესივრციდან წლების განმავლობაში გვემართმეოდა, მიზნობრივად იწამლება საზოგადოება - ავისმოსურნეთა მიერ, თანაც-ხომ გავიგიათ, ნაგავი ტივტივებს... და ჩანს-როგორც უტიფრობა... პატიოსნება კი, ჩამუხლულია, განახული. შრომობს და დღემდე ასე მოიგნა ეს ქვეყანა.

= თქვენი პასუხი შესანიშნავია ჩემს ალბათ უდიერ შეკითხვაზე, თბილისში თქვენი სალონი დიდი წარმატებით ფუნქციონირებს, არსებობენ კიდევ კეთილი ადამიანები... მოგვიყვით თქვენი სალონის და საქველმოქმედო საქმიანობის შესახებ?

=სალონი -კვლევიძეზე ოქტომბრიდან „გაცოცხლდება“- და ყველა ფეის-მეგობარს, ანგელოზთმოყვარე ადამიანებს თავისუფლად შეუძლიათ მობრძანება იგივე პირობით ერთი საათით ადრე დარეკვა: 599503524., ისე, რომ საქველმოქმედო გამოფენებს არ ელოდონ; ყოველი გაყიდული ნახატიდან გარკვეული თანხა ვცდილობ კეთილ საქმეს მოხმარდეს... ასე რომ, მაღლი, უკვე თანაბრად ნაწილდება თქვენზე... ვაკეთებულ საქმეებზე ლაპარაკი არ მიყვარს. მთავარია, რომ უფალი ხედავს ყველაფერს.

=რატომ არის რომ მხოლოდ ანგელოზებს ხატავთ რასთან არის ეს დაკავშირებული?

=მხოლოდ ანგელოზებს არა... მეტწილად ანგელოზებს... ისიც ევროპული ტურნეს შემდეგ. (ფლორენცია-გერმანია, საფრანგეთი)... ანგელოზებით ყველა კატეგორიის ადამიანთა ცალსახა აღფრთოვანება - ჩემს შინაგან განწყობასთან მოვიდა თანხვედრაში. რაშიც თქვენი-ფეისვლების წვლილიც დიდი... ისე, ესაზავ შორტრეტებსაც, აბსტრაქციებს, ყვავილებს... თუმცა, ფეისმა მაინც ანგელოზთმატვრად ჩამომაყალიბა... ბევრს ავატარად უყენია, ბევრიც უცხოეთში თანამემამულეების გასახარად ყიდულობს და აგზავნის. ზოგიც ნათლობისთვის, ან დაბადების დღისთვის... მხატვარს ეხატება ის, რისკენაცაა მიდრეკილი... რითაც იკვებება მისი სული... რაც

განსაზღვრავს მის ცნობიერებას. „ჩვენ“ ისე შევეთვისეთ ერთმანეთს... უერთმანეთოდ არათუ ხატვა, სუნთქვაც კი არ შეგვიძლია. გამოთენებზე როცა მიმაქვს ნახატები და სალონი ცარიელდება - გაძლება და სუნთქვა მიჭირს მათ ვარეშე... მე კი არა, ჩემს ყუის-მეგობრებს ისე უყვართ ისინი - იუთუბიში შედით და ნახეთ, რამდენი კლიპები უძღვნეს მათ - სრულიად უცნობმა ადამიანებმა - სრულიად უანგაროდ. ამ ინტერვიუს ერთი მიზეზითაც ღაღაღანებით, ინგა ძვირფასო - მათ, ვინც რამოდენიმეჯერ ამიციეკა ანგელოზები და უზომოდ გავვახარა: თამუნა თა-ს, ლანა აბაზაძეს, უკრაინულ ელიზავეტა სოვენკოს, ზურაბ ქოროლიძეშვილს, გოდერძი თარხნიშვილს, ქეთი ანთაძეს, თამუნა კაპანაძეს კიდევ ერთხელ უღრმესი მადლობა გადავუხადო ანგელოზების ასეთი სიყვარულისთვის.

=“ქრისტიანობა ჩემთვის ამ ნახატს გავს... ოღონდ არა გარედან, შიგნით. ადამიანის შიგნით, როცა ასე კამკამა და ბრძლვილადა სული-გარედან ვერანაირი ბიჭი და შშორი ვერ მიეკვრება“ - ამბობთ თქვენ, რას ფიქრობთ დღევანდელ გახშირებულ მკვლელობებზე?

=ცხოვრება არჩევანია, ქრისტიანობა, მით უფრო. საერთოდაც, რასაც ირჩევ, რისკენაც მიიღრიკები, ცხოვრების რა წესს და ფასულობებს მიჰყვები - ისა ხარ - რა ერი, რა ბერი, რა ქვეყანა. მეტი გონიერება გემართებს, წარსულის შეცდომებზე მაინც რომ ვისწავლოთ და ორმოში საკუთარი სიბეცით უკვე მერამდენჯერ არ ამოვყოთ თავი.

=საიდან მოდის შთავგონება და სად ხართ ყველაზე თავისუფლად?

=შთავგონება - (როგორც ყოველთვის ყველაფერი საუკეთესო) უმეტესად ზეციდან ვეპყრება მანანასავით. ხელოვანს მხოლოდ საკუთარი თავის მომზადება, მზაობა სჭირდება (შინაგანი ვასუთ-თაფება) ძღვენის მისაღებად და გასატარებლად. ეს პროცესი ჩემთვის თითქმის ზიარებასავითაა... თუ სწორად ეზიარები - არც სინათლე აყოვნებს შემოსვლას - და არც სასწაული...

=კი მასეა ნამდვილად, ეს ამ ბოლო დროს საკუთარ თავზეც გამოვცადე... რომელ მუსიკას უსმენთ?

=უპირატესობას, თითქმის ყველაფერში. ბავშობიდანვე - კლასიკას ვანიჭებდი... ახლა კი, შეტ-ნაკლები გარჩევის შემდეგ - ყველაფერს, სადაც ნაკლებია სიყალბე... მაინც გამოვეყოფ - ბახს და ბეთჰოვენს.

=არ შეიძლება რაიმე მხატვრულ ჩანაწერებს არ ქმნიდეს თქვენისთანა ადამიანი, ხომ არ გაქვთ რაიმე შემონახული უცნობი მკითხველისათვის?

=ხატვამდე სწორედაც, რომ იყო სიტყვა, სიტყვა, როგორც დასაბამი ყოველივესი... რომელიც შემდეგ განსხეულდა ფერად ან ველოზებდა... ერთ ციდა კრებულს „სავალობლები“ იმიტომ დავარქვი, რომ ასივე უფლისადმია მიძღვნილი. კრებულის რედაქტორი დიდი ანა კალანდაძე და ჩემი მოძღვარი-ზაქარია ძიძიაძე იყვნენ. ჩემთვის დღემდე დიდი ბედნიერებაა მათთან ურთიერთობის ის დაუეჩყარი ფაზა. მადლობა მათ ყველაფრისათვის.

=რას ამბობთ ქალბატონო მედეა, ანა კალანდაძესთან ურთიერთობა მართლაც ბედნიერებაა... მე მას ერთხელ შევხვდი ბათუმის სახელმწიფო თეატრში და დღემდე მახსოვს ის ემოცია... მოგონება კი უხლა დავწერე 20 წლის შემდეგ... და მაინც ახლა მინდა თქვენს ოჯახზე და სიყვარულის ისტორიაზე მოგვიყვით? (ტრაფარეტული კითხვების სერიიდან)

=ოცახი და სიყვარულის ისტორია... რაკი პირადულია, თანაც ტრაფარეტული, ისე გავატაროთ. ერთს დავძენ: ღვთის შეწევნით ერთი, მაგრამ წესიერი, სასახელო ქართველი-გურამ სალია ჩვენც შევიძინეთ ქვეყანას, როცა ევროპაში სწავლობდა იქაური პროფესორები გვიხდიდნენ მადლობას, აქ კი სადაც არ უშეშავია-ბანკი „რესპუბლიკა“- მხოლოდ სამადლობელი გვესმის. ერთხელ შემობელთან დავიწუნე - ერთს ვნახობ მხოლოდ - ერთადერთი რომ მყავს... შემომიტია - მხატვარი მაინც არ იყო, შენი გამკვირვება - ერთი გყავს, მაგრამ სასახელო - ათასს ვადაწონისო. ათასის „ვადამწონი“ ჩვენი პაჩუკა ანასტასია, მართლაც რომ უფლის დიდი საჩუქარია... ყველაფრისათვის ვმადლობდეთ უფალს...

„ლამაზად შვილის აღმზრდელი დედა მიცენია გმირადა“  
...ქალბატონო მედეა, სოციალური გვერდიდან თქვენი უსაზღვრო  
სულიერებისათვის შეგიყვართ, ყოველივე საუკეთესოს ვისურვებთ  
და სამომავლო გეგმებზეც მოვეყვებით?

„ჩემი წარსული, მომავალი და აწმყო ჩემი-ერთი წრეა და ამ  
წრეს ქვია ღვთის სიყვარული.“

„წყარო ხარ ჩემი... ყვავილობას არ უჩანს ბოლო“...

„ამაზე მეტი რა უნდა იყოს - ჩემში იყო და შენით ვხარობდე?“!

„სულის ყვავილებს ვახარებ ასე: რწმენა კედლად და  
სიყვარული მადგას გვირგვინად“

„არ მაქვს მიზანი, არც ოცნება, სურვილიც არ მაქვს... მამყოფე  
ასე - სიყვარულის საესე ფიალად“. მართალია, ეს საგალობელი იმ  
საუკუნეშია დაწერილი, მაგრამ, ჩემი ცხოვრებისადმი მიდგომა და  
კრედოც იმთავითვე ასეთი იყო... ჯერ კიდევ იმ დროიდან. ახლა კი,  
ამ საუკუნემ და ფეისბუქმა ისე გამათამამა (გამაზარმაცა) შინ  
გაუსვლელად, ანგელოზთმოყვარენი (არა, ვალერისტები) ანგე-  
ლოზთმოყვარენი მიკეთებენ გამოფენის ორგანიზებას. პირველი  
მერცხალი - თამარ სირია იყო - ბათუმიდან. ორკვირიანი გამოფენა  
ლამის ნახევარი წელი ვაგრძელდა ბათუმში. საქველმოქმედო.  
სამობა - საადღვომო გამოფენები სულ ფეისით... (3 პერსონალური, 4  
ჯგუფური 4 კატალოგი), წელს ფეისმეგობრების თეა წულუკიანისა და  
ქეთი დოლიძის კეთილი ნებითა და დიდი მხარდაჭერით, ლამის 2  
თვე გამოიფინა ანგელოზები იუსტიციის სამინისტროსა და თუმა-  
ნიშვილის თეატრში.სამადლობელი არ მყოფნის გერმანიაში მოღვაწე  
ქართველი მხატვრის ეკა ფერაძის მიმართ, რომლის უშუალო ინი-  
ციათივითა და ხელშეწყობით Saachi Art onlin -ზე ლამი ნახევარმა  
მსოფლიომ იხილა ჩემი ნახატები - სრულიად უანგაროდ. სწორედ  
ასეთი სიკეთე და უანგარობაა ქართველი ჯიშისა და გენის  
მახასიათებელი, ამიტომ შეამაყება ჩემი ქართველობა.

ამ გენის ნიშანი და დასტურია, ძვირფასო ინგა, თქვენი  
ინიციატივაც - სიკეთის მარცვლების მოგროვებისა და მოფერებისა....  
მრავალჭამიერ სუფევდეს სიკეთის მეუფება ჩვენს არე-მარეში, ამერ-

იმერში. მადლობა თეისბუქს - ასთი შესაძლებლობის - სამყაროში  
თავისუფალი სუნთქვისა და ურთიერთობისათვის.

P.S. ყველა ქველმოქმედს, რომელთაც არ დაიზარეს და ჩემს  
თხოვნას გამოეხმაურნენ, ნებისმიერს, რომელიც ამოდის სალონში-  
კეკელიძეზე და ანგელოზებით გულჩახუტებული მემშვიდობება, ჩემს  
ტკბილ და სათუთ თეის-მეგობრებს, რომელთა კომენტარებით ("ლაი-  
ქით") მხარდაჭერით 1 არხის გადაცემაც კი რეიტინგული გამოსულა -  
უღრმეს მადლობას ვუძღვნი... არაფერს ვამბობ უცხოელ თაყვანისმ-  
ცემლებზე და მათ კომენტარებზე... ჩემი მათდამი მადლიერების  
გამოხატვისთვის - თქვენ, ძვირფასო ინგა, მზესაუიო სიყვარულით  
ავაგსოთ უფალმა.

დიდი მადლობა ქალბატონო მედეა ასეთი საინტერესო,  
გულიანი, ემოციური ინტერვიუსათვის..

ინგა გოვაბერიძე

მედეა კვიციანი

ბათუმი- თბილისი 2014 წელი



...ერთი ტონა ბლის მურაბა ჯილდოდ –

... ფრაგმენტები საუბრიდან შწერალ გურამ პეტრიაშვილთან



= რა უცნაურად დაიწყო არა ჩვენი ურთიერთობა ბატონო გურამ? თქვენი ზარი ჩემს ტელეფონზე, პატარა საყვედური, ...რომ 2010 წელში არ ყოფილხართ საქართველოში და არც ზღაპარი წავიკითხაეთ პატარებისათვის ბათუმის ბიბლიოთეკაში კლუბ „საზღაპრეთში“... ეს მე ვიყავი, თქვენთვის უცნობი, უმცროსი მეზღაპრე..... მინდა მოგიყვებ, რომ მე უკვე ხუთი წელია ვუკითხავ პატარებს კლუბში ზღაპრებს, ლეგენდებს, მოთხრობებს... 2010 წლის 15 თებერვალსაც სწორედ თქვენი „მეჭედე“ წავიკითხეთ..... ძალიან ლამაზი და საყვარელი ზღაპარი..... და დღეს ამიტომაც გული სიხარულით მაქვს საფეხი, რომ ჩემი საყვარელი შწერალი, ჩემთვის საუკეთესო მეზღაპრე დღეს ჩემს გვერდითაა და შემძლია ჩაფხუტო, ვესაუბრო, ველაპარაკო და კითხვებიც დაუსვა კიდევ! საიდან მოდის თქვენი ზღაპრების სათავე?

=როდესაც ჩემს პირველ ქალიშვილს ოლიკოს ( ის ექვსი თვის იყო)ვეფერებოდი თბილი და სასიყვარულო სიტყვებით, სწორედ მაშინ მოვეფერე ხმამაღლა ასე- ჩემო პატარა დინოზავრო... არ ვიცოდი საიდან მოვიფიქრე ეს სიტყვები და იმ დამეს დავიწყე ფიქრი ზღაპრებზე.....

=ვიცი ,რა საყვარელი ზღაპარია. დინოზავრი შემდეგ უირათად გადაიქცევა.. მე და ჩემმა შვილიშვილმა წავიკითხეთ და პატარებთან ერთად დაეხატეთ... ამ ნახატების გამოფენაც კი მოვანწყვეთ... ბავშვებს ძალიან უყვართ ზღაპრები - ნაცარქექია, წიქარა, კოკროჭინა, მაგრამ არავინ გამიწყრება ალბათ თუ ვიტყვი, რომ ზოგჯერ, ბავშვების უჩუმრად გამოვტოვებ ხოლმე წინადადებას, რომელიც სისასტიკეს შეიცავს... თქვენი ზღაპრები გამორჩეულია ამითაც... ხუთი წლის განმავლობაში რამდენი თქვენი ზღაპარი წამიკითხავს პატარებისათვის, არცერთი აბზაცი არ გამომიტოვებია იმიტომ, რომ ისინი მხოლოდ სიკეთით და სიყვარულითაა საფეხი...

=ვიცი რომ ეს ყველაფერი ბავშვობიდან ჩამოიღეთ... ხომ არ დაგწრიათ რაიმე ისეთი, რაც ვინდოდათ კიდევ ჩამოგვეღოთ შორეული წარსულიდან ზღაპრებში?

=არა ისეთი არაფერი, მაგრამ თითქოს რაღაცეები დამრჩა ჩამოსაღები. ამიტომაც ახალ ზღაპრებს ვწერ და ყველაფერს შეიცვობთ ახალი წიგნებიდან.

=როდის მიხედით, რომ მეზღაპრე იყავით?

=ეს იყო 1961 წელს. ჩემს უბის წიგნაკში ჩავწერე ასეთი წინადადება-იქნება მე მეზღაპრე ვარ და ჩემს თავს ვერ გამოვეუტყდი ამაში....

=რომ არ ვითხრათ არ შემიძლია... ჩემმა შეილიშვილმა, ანდრიამ, ორი წერილი გამოგიზავნათ და მისი ლომის წილია ალბათ იმაში, რომ დღეს ბათუმის სტუმარი ხართ... ნახეთ როგორი თვალებით გიციქვროდათ... ეს დღე მას არასოდეს დააეწიყდება, მიხარია რომ ამდენი ხნის ემიგრაციის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდით.

= დიახ, მთელი ოჯახის სრული შემადგენლობით ჩამოვედით. დავბურდი ჩემს მიწა-წყალზე შვილებთან ერთად, რაც ჩემთვის უსამველოდ მნიშვნელოვანია.

=ჩვენთვისაც სასიამოვნოა თქვენი დაბრუნება საქართველოში, იმიტომ რომ სხვაგან ისეთ მურაბებს ვერ აკეთებენ, როგორც ჩვენთან... უბრალოდ, მურაბა გიყვართ?

=ძალიან... ძალიან და თანაც ბლის მურაბა... შემიძლია ცონობით მივირთვა ეს შესანიშნავი, ზღაპრული გემოს მქონე ნუგბარი.

=მეც დავეწერე პირველად ზღაპარი, როცა შეილიშვილი ავად გამიხდა და მოქმედი გმირი, ექიმი ჯადოსნური ხალიჩით მოთრინდა ამ ზღაპარში .... მას დღესაც სჯერა, რომ გოგი ექიმი, ჯადოსნური ხალიჩით დაფრინავს..... ბავშვი ავად რომ არის სიზმარი და სინამდვილე ერევა ხოლმე, როგორც თქვენს ზღაპარში ბეჰემოტს. ხომ არ გაიხსენებდით ბავშვობაში, როცა ავად ხდებოდით რითი ვწამლობდათ დედა?

=ჩემს ცხოვრებას სამი ქალი ანათებდა - დედა - ეკატერინე, ძალუა ელენე და მამიდა ოლღა... თითქოს პირს შეკრავდნენ ხოლმე და ყოველთვის ერთნაირად მოქმედებდნენ - ერთი სუფრის კოვზი

ძმარი პლიუს ერთი სუთრი კოვში სპირტი... ეს იყო ჩემი გამო-  
ჯანმრთელების რეცეპტი და შემდეგ ერთი ტონა ბლის მურამა  
ჯილდოდ.

=პირადად მე ასეთი დასკვნა გამოვიტანე, თქვენი ზღაპრები არ  
არის მარტო პატარებისათვის, ის ჩვენთვისაცაა, დიდებისთვის...  
თქვენც ხომ ასე ფიქრობთ?

=რათქმაუნდა, ჩემი ზღაპრები მეც მგონია უფრო დიდებისთვის  
არის... იმ ადამიანებისათვის, რომლებმაც სულში სიკეთე და ბავშვობა  
შემოინახეს... ასე მგონია არ ვარ ცუდი მეზღაპრე... ზოგჯერ ძალიან  
თავდაბლობა სითაყუბლის ნიშანიც კი არის... ჩემი ზღაპრები შეიყვარა  
დიდმაც და პატარამც... წაიკითხეთ, ხშირად წაიკითხეთ ზღაპრები.

=და ბოლოს რაზე მუშაობთ ახალა?

ეხლა ვმუშაობ მოგონებებზე და ახალ ზღაპრებზე ჩემს შვი-  
ლიშვილთან ირინესთან ერთად, რომელიც ჩამომიჭდება ხოლმე სა-  
წოლზე და ასე შეტყვის- ბაბუ, მეც ვმუშაობ!!!

დიდი მადლობა რომ არსებობთ..... რომ გული სიკეთით გაქვთ  
საფეხ... რომ გულით ისევ პატარა ბავშვი და კეთილი მეზღაპრე ხართ  
და საოცარი თბილი ადამიანი. ჯანმრთელობას ვისურვებთ.

P.S. გურამ პეტრიაშვილის ახალი გამოცემა =“პატარა ქალაქის  
ზღაპრები“ ვააფორმა ჩვენმა უსაყვარლესმა მხატვარმა ნინო  
ჩაკვეტაძემ... ჩემი მოკრძალებული ამრით ეს არის წიგნი, როცა  
ავტორის და მხატვრის სულიერი მდგომარეობა ერთმანეთს  
ემთხვევა... ან უტოლდება კიდევაც... დიდი მადლობა ქალბატონ  
ნინოს იმ დიდი ძღვენისათვის, რაც მან ჩვენს საზღაპრეთს გაუკეთა...  
სიკეთე და სიყვარული იყოს თქვენი თანმდევი მუდამ!

თქვენი უმცროსი მეზღაპრე  
ინგა გოგიბერიძე - გურამ პეტრიაშვილი  
ქალაქი ბათუმი  
2014 წელი 17 სექტემბერი



## -ინტერვიუ მწერალ გიორგი აღნიაშვილთან

=ბატონო გიორგი, შთელი საქართველო გიცნობთ როგორც პოეზიის დიდ მოყვარულს და გულშემატყვიარს... როდის მისვდით პირველად რომ ლიტერატურა გიყვარდათ?

=ლიტერატურის სიყვარულს მე ჩემს სკოლის პედაგოგებს ქალბატონ ლუბა სიამაშვილს და მერი უშვერიძეს უნდა ვუძაღლოდე. რადგან მათთვის ქართული ლიტერატურა ახალგაზრდების სულიერი და პორალური აღზრდის უმნიშველოვანეს ფუნქციებს წარმოადგენდა და ისინი ყველა მეთოდით ცდლობდნენ ჩვენთვის ნაწარმოებისადმი და საერთოდ ლიტერატურისადმი ინტერესი გაერღმავებინათ. მნიშველოვანი როლი ლიტერატურული ნაწარმოების სწორად აღთქმის, კითხვის კულტურის და წიგნთან მუშაობის უნარის - ჩვევების ჩამოყალიბებას მე ჩემს ბებიას, რესპუბლიკის დამსახურებულ პედაგოგს თამარ ქემოკლიძეს და ბაბუაჩემს, რესპუბლიკის დამსახურებულ აგრონომს, სოციალისტური შრომის გმირს და პედაგოგს იოველ ბაკურაძეს უნდა ვუძაღლოდე. მე მიმაჩნია რომ არა პედაგოგების სწორი მიდგომა ახალგაზრდებისადმი და საგნისადმი თავგანწირული სიყვარული და ღრმა ცოდნა, არა თუ ლიტერატურაში, არამედ ვერცერთი დისციპლინის სიყვარული და ინტერესი ვერ გაიღვიძებს მოსწავლის და საერთოდ ახალგაზრდის ცნობიერებაში.

=ძალიან საინტერესო გვერდი გაქვთ სოციალურ ქსელში შექმნილი - „ყველაფერი ლიტერატურის შესახებ“- მოგვიყვიეთ ამ გვერდზე?

=ეს ძალიან დიდი თემაა და შევეცდები მოკლედ გიპასუხოთ. ამ გვერდის დანიშნულებაა ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის და სახელოვანი ქართველების შესახებ ინფორმაციის მოძიება და მკითხველისთვის მიწოდება, ლიტერატურული მიმდინარეობების და საინტერესო ავტორების ნაწარმოებების მკითხველისთვის შეთავაზება. ჩვენ ქართულ ფენომენს ვემსახურებით. ეს გვერდი არ წარმოადგენს პოპულიზმის და იაფფასიანი ინფორმაციების გავრცელების წყაროს,

ამიტომაც მან უკვე ბევრი ერთგული მკითხველი დაიმკვივრდა. „აქა ვდგევართ და სხვაგვარად არ გეძალგის“...

=დღეს თანამედროვე ლიტერატურა გაივსო ველიბრით, სხვადასხვა სახის თეთრი ლექსებით... რა არის თქვენთვის მთავარი იმ ლექსში, რომელიც უნდა მოგეწონოთ?...

==ლექსი მუსიკას ჰგავს, განცდისა და გრძნობის სიმთონიას. ის ასევე უნდა აღიქვას, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, სიხარულით და ტკივილით, აღმაფრენით და სინანულით. ლექსი არ შეიძლება იყოს ყალბი და მხოლოდ გართმული სტროფების ერთობლიობა. თუ ლექსში პოეტის განცდა ყალბია ლექსები მხოლოდ სიტყვების „რახარუცია“ და მეტი არაფერი. ლექსები, რომელიც მე მომწონს ეს პოეტის სიძარტლეზა და მყარებული, შემოქმედის რეალური ღირებულებების და განცდის უტყუარობის აღთქმა, გულიდან გადმოღვრილი ჭეშმარიტი სულისკვეთების და ვნებების სიწმინდებზე და სითაქიზზე და მყარებული... „გვეროდეს პოეტის“ - ეს არის ის კრიტერიუმები, რითაც ვაფასებთ ლექსს და პოეტს.

=გეთანხმებით ბატონო გიორგი, ახლა კი შინდა თქვენი ოჯახის ისტორიაზე მომიყვით და იმ გრძნობაზე, რომელიც თქვენთვის ძვირფასია.

=დედა ქიმიკოსია, საკმაოდ დიდი ხანი იმუშავა უნივერსიტეტში ბიოქიმიის კათედრაზე. ამჟამად დიასახლისია, მამა პროფესორია, მათემატიკოსი. ეხლაც ლექციებს კითხულობს თელავის პედაგოგიურ უნივერსიტეტში, მეუღლე ბანკის თანამშრომელია, უფროსი ვაჟი საქართველოში ერთერთი ცნობილი პროგრამისტი, უმცროსი ვაჟი კი ჯერ სკოლის მოწაფეა, მყავს ძმა, რომელიც დიდი კომპანიის ხელმძღვანელია. ჩვენი ოჯახი ერთობით და ურთიერთ მხარში დგომით არის ძლიერი, „ერთობა“ ჩვენი მთავარი პრინციპია.

=რა არის თქვენთვის ქრისტიანული რელიგია და აღმსარებლობა? მახსოვს ძალიან შიდაური სტატუსი გქონდათ ამ თემაზე.

=ქრისტიანობა ჩემთვის მარტო რელიგია არ არის, ის იმედია და მომავლის რწმენაა, რელიგია ზღუდეა ღირსებასა და ზნედაცემულობას შორის. ის ერთადერთი ფუნქციაა, რასაც ქართველების და საქართველოს გაერთიანება შეუძლია.



=რა არის ბედნიერება და არიან თუ არა ქართველი მამაკაცები ბედნიერები?

=ბედნიერება ადამიანის ნიჭია დაინახოს ის განუმეორებელი და თვითმყობადი პოზიტივი, რაც შენს საყვარელ ადამიანებთან ურთიერთობას მოაქვს. ადამიანი ვერ იქნება ბედნიერი თუ მას გამზიარებული არ ჰყავს. მამაკაცის ბედნიერება მისი ოჯახია, თუ ოჯახში სიყვარული ერთგულება, ურთიერთ ბატვისცემა მეფობს, ოჯახის ყველა წევრი ბედნიერია.

=გაჩირავდით თუ არა საქართველოსთვის თავს?

=არ ვიცი. მე არც ისეთი მამაცი ვარ, რომ სიკვდილს მოურიდებლად ჩაუხელო თვალებში და არც ისეთი ქაბანი, რომ უბრძოლველად დაეხებდე.

=შესანიშნავი პასუხი გამეცით და სწორედ ამიტომაც ამ კითხვას დაგისმევთ-როგორ ფიქრობთ ამდენი მკვლელობების ფონზე ღირს კი დღეს ლექსების კითხვა?

=მეც მინდა გკითხოთ, მკრეხელთა და კატათქვევლთა ეპოქაში ღირს სიწმინდეთა და ეროვნული ღირებულებების დაცვა?

=უპასუხოდ დავტოვებ... და ჩივნივ გადავალ ისევ... თქვენ იცით, რომ ჩვენ ბევრ მეთოდებს ვიყენებთ ბიბლიოთეკაში, რომ მოზარდი ჩივნიან დაუბრუნოთ, შევაყვაროთ იგი. იქნებ რაიმეს შირჩევდით?

=თუნდაც თვეში ერთი გაკვეთილის ჩატარება ბიბლიოთეკაში, თუნდაც თვეში ერთხელ ლიტერატორებთან, პოეტებთან და მწერლებთან ერთად ქართული ლიტერატურის გაკვეთილის ჩატარება, მხატვრული კითხვის ან ლიტერატურული საღამოს მოწყობა ბ ბ ბ ლ ი ო თ ე კ ა შ ი და სკოლაში თავად მოსწავლეების მონაწილეობით. ალბათ ეს ყველაფერი ახალგაზრდებში კითხვისადმი მოთხოვნილებას გამზრდას შეუწყობს ხელს. ვცდილობთ ასე ვმუშაობთ ჩვენც. დიდი მადლობა თვენ და რაზე ვმუშაობთ დღეს? =საკმოდ მხელი თემა ავირჩიე, ისტორიული თემა და ბევრი სირთულის გადალახვა მიჩვენს. ვნახოთ რა გამოძივა.

=დიდი მადლობა ბატონო გიორგი საინტერესო საუბრისათვის და წარმატებებს გისურვებთ.

ინგა გოგაბერიძე, გიორგი აღნიაშვილი  
ბათუმი-თბილისი 2014 წელი

„მე ხომ სულიერად ავად ვარ, როცა საქმე ეხება ჩემს თეატრს „-  
გასაუბრება ბათუმის ექსპერიმენტული თეატრის რეჟისორთან  
გიორგი ჩხაიძესთან

=მოგესალმები გიორგი, რადგან ექსპერიმენტული თეატრის რეჟისორი ხარ, პირველი კითხვაც ექსპერიმენტული იყოს? შემთხვევით შენი დაბადება ხომ არ გახსოვს?

=მახსოვს რაღაც ფრაგმენტები ღრმა ბავშვობიდან. როცა დედაჩემს მოუყევი ის რაც მახსოვდა, გაგიჟდა. არ არსებობს ეს საიდან უნდა გახსოვდესო, რათქმაუნდა დაბადება არ მახსოვს. თუმცაღა ადამიანი ყველაფერს იმახსოვრებს, უბრალოდ გახსენებაა მთავარი, მე ვფიქრობ რომ ადამიანმა ყველაფერი იცის, ყველაფრის პასუხი. უბრალოდ საჭირო დროს და საჭირო მომენტში ახსენდება... პოლა მახსოვს ასეთი რამ - მაშინ ვყოფილვარ წლინახევრის, როცა დედამ ბაბუასთან წამიყვანა მოსკოვში თვითმფრინავით, ეუყვები რომ მახსოვს მამა თავზე დამადგა და ღიღი ყურსასმენები გამიკეთა თქო, გავგნდა და მითხრა რომ მართალია, იმ დროს არ იყო ისეთი ფუფუნება რომ თვითმფრინავში ფრენის დროს არსებულ ხმაურის დამხრშობი ყოფილიყო, და მამამ მისი საჩინააღმდეგო ყურსასმენები გამიკეთა, ესაა და ეს რაც მახსოვს.

=საოცარია, ასეთი მახსოვრობა. ამიტომაც ვფიქრობ აუცილებლად რაიმეს წამოიღებდი ბავშვობიდან დიღობაში?

=მგონი, თვით დიღობამ წამომიღო ღროში მე „ბავშვი“ მგონი ისევ ბავშვი ვარ და არ მინდა გავიზარდო. რაღაც მეოცნებე ბავშვი მგონია ჩემი თავი, რომლისთვისაც საზღვრები და შეუძლებელი არაფერია, რაც შეეხება ნივთებს ასეთი რამ არ გამაჩნია.

=როლის იგრძენი, რომ თეატრი შემოვიდა შენს სულში?

=მე გითხარით, რომ მახსოვს ბავშვობიდან ფრაგმენტები. ....სიმართლეს ვამბობ. მაგრამ არ მახსოვს როლის შევედი ამ კალონ-ნურ სამყაროში. მახსოვს მთელი ბავშვობა ვაკეთებდი რაღაც სპექ-

ტაკლებს. ჩემი პირველი თეატრი „სასიმიონდე გახლდათ“ სოფელში. რაც შეეხება პირველ შთაბეჭდილებებს, ეს გვიან იყო. მასსოვს 14-15 წლის ვიყავი და ძალიან მიანტერესებდა როგორია სპექტაკლი. ამას პირველად ვამბობ, რადგან მაშინ დრამატული სპექტაკლები არ იმართებოდა, მხოლოდ თოჯინების თეატრში დავდიოდი. და აი ერთ დღესაც მივედი დრამატულ თეატრში და ვუყურე გ. დოჩანაშვილის „ვატერ პოლოს“ შერაბ ლეხანიძის სპექტაკლს. ეს იყო დადგმა, რომელიც პირველად ვნახე არაფერი განსაკუთრებული. მხოლოდ ცარიელი სცენა და მსახიობები. მე მასსოვს ზედიზედ სამჯერ ცარიელ დარბაზში ვიჯექი და ამ სპექტაკლს ვუყურებდი, ვუყურებდი და სულით ვივსებოდი. რაღაც სხვა გრძნობა მეუფლებოდა, და აი იმის შემდეგ ვერ მოვცილდი თეატრის კედლებს, ჩემი ფილტვები ალბათ იმდენად სავსეა თეატრის მტვერით, ღრმა მოხუცობამდე მეყოფა შემდეგ კი ალბათ ... ისევე განვიახლებ ფილტვებს..

მე ყოველთვის მეშინია და ხშირად ვფიქრობ რა იქნება, რომ ერთ დღესაც ევლარ შეეძლო ის, რასაც ახლა ვაკეთებ. რა იქნება თუ ეს ნიჭი სწორად ვერ მოვიხმარო, ყოველი დღე არის ერთგვარი გამოცდა ჩემთვის, რადგან ვთლიდევ, ვგრძნობდევ რომ ჩემი სულის ადგილი ნამდვილად არის თეატრში და უნდა იყოს მუდამ.

=მე ვფიქრობ, რომ შენ ისე გიყვარს თეატრი რომ იქ შენი ადგილი ნამდვილად არის! როდესმე თუ განმარტოებულხარ ფურცელთან და შენი სათქმელი ვითვამს?

=მაქვს პერიოდები როდესაც, რაღაცეები იმდენად მაწუხებს რომ დეპრესია მემართება. თუმცაღა ამას არ ჰქვია მგონი დეპრესია. არ ვიკეტები. არ ვგრძნობ თავს მიტოვებულად, უბრალოდ რაღაც მაწუხებს ივსება და მინდა რომ ამოვთქვა... მინდა რომ პირდაპირ ყველანაირი ვადატანითი მნიშვნელობით ვთქვა ის, რაც მინდა, ამისათვის ფურცელი მუდამ ჩემს გვერდითაა. ხშირად დამიწერია ის, რაც შემდგომ გამინადგურებია, რადგან ეს იყო იმაზე მეტი რაც მინდოდა ვთქვა. ფიზიკური ტანჯვა არაფერი ყოფილა სულიერ ტანჯვასთან შედარებით, აქ ვერ ხვდები რა იქნება შენი ტკივილების მალამო, უბრალოდ წერა თუ განწმენდა.

ასეც ვიცოდი, რომ აუცილებლად გექნებოდა ჩანაწერები. რას აირჩევდი რომ შეგეკითხოხონ - თეატრი თუ მეგობარი? =იქნებ მაგ ჩანაწერებში არის ამ კითხვაზე პასუხი.

=ძალიან რთული კითხვაა. ეს იგივეა რაც შექსპირმა თქვა „ყოფნა არყოფნა“. ჩემთვის ორივე ძვირფასი რამ არის „მე არ შემოძლია შივატოვო, ზურგი ვაქციო თეატრს, და არ შემოძლია იგივე ვაუკუთო მეგობარს, თუმცაღა იმის გათვალისწინებით რომ ჩემი დასის თორმეტივე წევრი არის ჩემი უახლოესი მეგობარი უკვე 8 წელია, ძნელია იყო რეჟისორი და იყო მეგობარი, ხანდახან მეგობარზე მეტიც ალბათ ჩვენ ერთი დიდი ოჯახი გვაქვს, სადაც ყველაფერი ხდება თუმცა რა, უკვე დროში შემონქმებული მეგობრობა გვაქვს, მაგრამ, ვალიარებ უამრავი რამ დამიკარგავს და დამითმია. სხვა-ნაირად არ შემოძლია... მე ხომ სულიერად აეად ვარ, როცა საჭმე უხება ჩემს თეატრს. არ შემოძლია, მტკივა მტკივა ორივე, მიწევს ხოლმე არჩევანის ვაკეთება მაგრამ ბოლო ხანს ვისწავლე განსხვავება საჭმის, მეგობრობის, სცენის მიღმა ვცდილობ ყველაფერი ისე იყოს როგორც ცხოვრებაში ...უბრალო ცხოვრებაში... თუმცაღა ორივე მაინც დიდი ცხოვრებაა, ჩემთვის ხანდახან ვაურკვეველია ბევრი რამ, რადგან თეატრი ჩემს ცხოვრებაში იმაზე მეტ ადგილს იკავებს. რომ სხვა დანარჩენი ძალიან ცოტაა, მაგრამ ფასეული..

ეს არის ის თემა რომელზეც შემოძლია ვისაუბრო და მტკიოდეს ისე როგორც თეატრი, მე მიხდა და მუდამ ვცდილობ აღსარებასავეთ ვუთხრა და პატიება ვთხოვო იმ მეგობრებს ვისაც გული ვატკინე, და იმათაც ვინც ჩემს გვერდით არიან და მიტანენ. მეგობარი ეს არის ადამიანი ჩემთვის, ვინც ჩემს შობებულზე მეტად კარგად მიცნობს შეიძლება ცუდია მაგრამ მე მყავს ასეთი მეგობარი და მრავლობითში, მე ვიცი რომ ის და ისინი როგორც მე, მუდამ გვერდით დაუდგებით ერთიმეორეს, ზოგადად ვთვლი, რომ მეგობრები და ადამიანები კონკრეტული ადამიანის ცხოვრებაში მოღის შაშინ, როცა ეს შენ იმ მომენტისათვის ვჭირდება, რომ გაანალიზო და გააცნობიერო შეცდომები. ისწავლო მეტად დათუასება და შეუასება, იგივეა მისთვისაც ვინც შენთან მოღის, ცხოვრების დიდ გზაზე და ყველა კუთხეში

ვხედებით საჭირო დროს, თუმცაღა ცუდია, როცა ექახები გზაჯვარედინს და გიწვევს განძობრება ცხოვრებისეული თუ სხვა გარემო ფაქტორების ვაშო. ჩემს მეგობრებს კი ვუსურვებ იმაზე დიდ სიყვარულს რომელიც მე მაქვს მათ მიმართ ....

=ისე საუბრობდი, მთელი გულით და სულით, რომ არ შეიძლება არ შეგვეკითხო-რა არის ბედნიერება?

=ბედნიერება შეიძლება სიკვდილიც იყოს. ვააჩნია ვისთვის, ამიტომ მე ვფიქრობ ეს არის ის, რისთვისაც ვცხოვრობთ, გვაფსებს და ღრმად გვასუნთქებს, ფართოდ ვიღიმებით და ვამბობთ „ცხოვრება ხომ მშენიერია“.

=ცხოვრება მაშინ არის მშენიერი, როცა ბედნიერი ხარ, როცა გიყვარს. რა არის სიყვარული? რა ვუთხრათ ბათუმელ ლამაზმანებს დაკავებულია თუ არა გიორგის გული? (ტრაფარეტული კითხვების სერიიდან)

=არ ვიცი რა არის, ან ვინ არის სიყვარული. თუმცაღა მე ვფიქრობ თვით ეშპაკზე უარესია, მე ვთვლი, ეს არის გრძობა რომელიც შემოვირბენს ხოლმე, მაგრამ თუ დარჩა.. შერე... ჩემი გული დაკავებულია მხოლოდ იმ სიყვარულით რომელიც არის. ის რაც ამ მომენტში ჩემთვის ყველაზე მთაყარია ოჯახის, საქმის, მეგობრობის. ლამაზმანებს რაც შეეხება, არ ვიცი არსებობს რო ისეთი ვინც მე გამიძლებს, ამიტანს.. მგონი ჯერ არა, ხანდახან შექსპირის თურაზები მიტივტივდება თავში და ვსაყვედურობ ჩემს თავს:

სჯობს აღიარო, რომ არ გიყვარს ქვეყნად არაფერ,

თუ დასაღუბად საკუთარი თავიც გასწირე.

ბევრმა გაჩუქა სიყვარული დაუფარავი.

მაგრამ შენ თვითონ ტრფოზა არუის გაუნაწილე.

=შენი სიყვარული გიორგი შენ თვატრს გაუნაწილე. ამიტომაც ვთხოვ ჩამომითვალეთ ის სპექტაკლები და მიღწევები, რომლითაც გამოაცხეთ, თავი შემაყვარეთ... და როგორ მიაღწიეთ ამას?

=ამას წინათ დავითვალე და გამოვიდა რომ, ათ თითს უკვე გაცდა ჩემი სპექტაკლები, ოღონდ ეს დასაბამიდან... 16 წლის ვიყავი, როცა პირველი სპექტაკლი დავდგი ჩემივე პიესის შიხედვით. მაშინ

არც ვიცოდი, როგორ იწერებოდა პიესა თუმცაღა გამოძახელოა, ქალბატონ შედეა ჩარკვიანმა დამითმო თოჯინების თეატრი უსასყიდლოდ, აი აქ დაიბადა რეჟისორი ალბათ, სასწავლო სამოყვარულო და ამ ბოლოს გაკეთებულ სპექტაკლებს თუ შეკვრებთ 24 წლის ასაკში 14 სპექტაკლი მაქვს გაკეთებული, თუმცაღა მგონი ეს იყო სწავლის და საქმის უკეთ შეცნობის პერიოდი, ახლაც ასე გრძელდება. მაგრამ უფრო პროფესიონალურად. ჩემი ერთ ერთი გამორჩეული ნამუშევარი კი ალბათ იონესკოს "მელოტი მომღერალი ქალია". ერთ დღეს ირაკლი სამსონაძის ლექციაზე, ლექტორმა გუთხოვა, რომ ჩავსულიყავი ბიბლიოთეკაში და ამომეტანა იონესკოს პიესები... ჩავიკითხეთ და ყველას გვეტონდა შეგრძნება რა უაზრობაა... მაგრამ რატომღაც ჩამჩა გულში. რაღაც მიღრღნიდა ტვინს - ვაკეთე დადგი, ეს ხშირად მემართება, და აი, დავდგი კიდეც. შედეგები მგონი ცნობილია და მე ეს მახარებს თუმცაღა სპექტაკლი დღემდე ცოცხალია და მუდამ განახლების პროცესშია. რაც შეეხება შექსპირს. იგი შექსპირია და არ ვიცი ვინაა ჩემთვის, ალბად ყველაფერია. დაედგი და ოცნებად მქონდა გამეკეთებინა „ზაფხულის ღამის სიზმარი“, და დაიდგა კიდეც აჭარის განათლების კულტურისა და სპორტის სამინისტროს თინანსური მხარდაჭერით. ეს სტრუქტურა მუდამ მიღვას მხარში და მე მათი მადლიერი ვარ. მე მახსოვს, როცა ეს სპექტაკლი ვითამამეთ პირველად ისტორიაში, ბათუმის ბოტანიკურ ბაღში და თქვენ ქალბატონო ინგა კილომეტრები გამოიარეთ თეხით ქალაქიდან უღრან ტყეში და ნახეთ ეს სპექტაკლი. შთაბეჭდილებაც უკეთესად თქვენ დაწერეთ... ჯერ შემოქმედებითად იმდენად პატარა ვარ და ეს ალბად რეჟისურის 1 სათეხურია, მინდა რომ განვევითარდე და გავაგრძელო: ზრდა შემოქმედებითად. მე მადლობა მინდა გადაუხადო ჩემს პედაგოგოს, ავთო ვარსიმეპეილს „რომელმაც 4 წელიწადში სრულიად მომიწვია სამოყვარულო პერიოდში მოშენებული ამბიციები, ცოდნა და მომცა სარასხიანი უკეთესი პროფესიული განათლება, მადლობა მას, და ის მუდამ დიდ ადგილს დაიკავეს ჩემს ცხოვრებაში შემოქმედებაში... ეს არის პიროვნება და

საოცარი რეჟისორი რომლის ყველა სპექტაკლს აქვს ისეთი აურა, თითქოს ის სულღერა.


=რა მიზნები გაქვთ დასახული და რას ელით ბედისაგან - დახმარებას თუ თქვენი თავის იმედი გაქვთ?

=მიზნები ბევრია, ოცნებები უამრავი. მარგანი დაერწმუნდი, რომ ოცნებები ხდება. ყველა ოცნება ხდება, მიზანი ამჯერად ერთი-მინდა გავაკეთო საკუთარი თეატრი და ძალაინ კარგად მესმის ყველა არსებული სირთულე და პრობლემა, თუმცა რა მე ვერ ვიტან სიტყვა არას, ვერა ს და არ გამოვა... ყველაფერი გამოვა თუ გვინდა, აი მე კი მინდა, რომ ამ ქალაქს, კიდევ ერთი ლამაზი თეატრი ქონდეს, მართალი, ჩვენი თანამედროვეების თეატრი. ამ ქალაქში ადამიანები, ვისაც შეუძლია დახმარება და გვეხმარებიან კიდევ, უპირველესად არის ისევ და ისევ იქნება აჭარის განათლების კულტურის სამინისტრო... არა არა. უპირველესად იყო მადონა მჟავანაძე, რომელმაც სულ ქუჩიდან შეგვიყარა და ბატონი თენგიზ თავდგირიძე. მათ დამითმეს სივრცე, სადაც ვითამაშეთ იონესკოს" მელოდი მომღერალი ქალი\* და ჩავედით პარიზში. მადლობა ყველას. მადლობა იმ ადამიანებს, ვისაც ჩემს განვითარებაში დიდი წერილი მიუძღვით, რომ ჩამოვთვალო ძალიან შორს წავალთ. მადლობა თქვენ რომ დაინტერესდით ჩემით, თუმცაღა ბევრი ვერაფერი ვითხარით საინტერესო. ალბათ ერთი ამბიციური ბიჭის შთახვედილებაც დაგტოვე მაგრამ, ამბიციები მე ვთვლი კარგია თუ შეგიძლია რეალობად აქციო, ამ მომენტისათვის ვალავებთ საბალეტო სკოლის დარბაზს, რომელიც იყო საფეხ ნაგავით... ახლა უკვე სუფთაა და მაჭებს ამბიციის დროებით ეს შენობა იქცეს თანამედროვე ექსპერიმენტულ თეატრად. მადლობა ამისათვის ირმა მსხალაძეს საბალეტო სკოლის დირექტორს. მადლობა ყველას. მადლობა იმ ადამიანებსაც, ვისაც შეუძლია დახმარება და კარი ხშირად მოუხურია ჩემთვის... უფრო დიდი მადლობა, იმიტომ რომ უფრო გამაძლიერეს.

დიდი მადლობა გიორგი. შენი ხმის სიმტკიცე, იმ დღეს მაგონებს, როდესაც ქალბატონი მადონა მჟავანაძე, გატაცებით მიყე-

ბოდა ერთ ახალგაზრდა ყმაწვილზე, (მაშინ ჩემთვის უცნობზე), რომელიც ყველა ჯებირებს ანგრევს, ყმაწვილზე, რომელიც ნესტიან სარდფაში დგამს სპეტაკლებს, ყმაწვილზე, რომელიც ერთი წაში არ ისვენებს და მისი შრომით, ნიჭით და გულმოდგინეობით აღწევს წარმატებებს.. აი ასეთ ახალგაზრდებს უნდა გვერდით დგომა.. მჯერავს გიორგი, რომ შენი და ჩემი ოცნება ასრულდება და ბათუმს კიდევ ერთი ლამაზი თეატრი შეემატება. მე არათეორი შემოიძლია, გარდა იმისა, რომ ვისურვო დიდი წარმატებები და დაგპირდე, რომ ყველა შენს სპექტაკლს დავესწრები. რითაც შენს სიხარულს და ტკივილს გავიზიარებ.

ინგა გოგიბერიძე  
გიორგი ჩხაიძე  
ბათუმი 2014 წელი





„მოსხენით ციდან თოლიები,  
ეს მზეც და ღამეც, ვიპარავ ბათუმს,  
მისაღებში უნდა დავეკილო“....  
ინტერვიუ პოეტ ეკატერინე დოდნდუასთან

მოვესალმებით და დღეს მინდა წარმოვიდგინოთ ახალგაზრდა ქალბატონი, რომელიც სულიერად და გარეგნულად პოეზიის და სიყვარულის ტრფიალია... ეს გახლავთ ეკატერინე დოდნდა. ჩემო ეკა მინდა ასე მოვმართო. იმიტომ რომ შენი სიყვარული გულში მიზის მზესავით და ახლა აპირებს აელევარებას... პირველი კითხვაც ასეთია, რა არის შენთვის მზე და სიყვარული?

=ძალიან დიდი მადლობა ასეთი წარდგენისთვის, ჩემო საყვარელო ქალბატონო ინგა, პირველ რიგში, მინდა მადლობა გადაგიხადოთ ამ საინტერესო ჩამოწყებისთვის და იმისთვის, რომ დღეს მე ვარ თქვენი რუბრიკის სტუმარი. არ დავმალავ, ვდეღავ, ვდეღავ, რადგან შენი სულიერის, შინაგანის თანაზიარს ხდი საზოგადოებას... პირველივე შეკითხვაც სწორედ რომ სიმბოლურია ჩემთვის: მზე, სიყვარული, პოეზია, ღეთიერი სამებასავითაა ჩემთვის...

მზე - სიცოცხლის დასაბამია....

სიყვარული - სიცოცხლის გახანგრძლივების საშუალება...

პოეზია? - მოდიოთ აქ ჩემს პატარა ჩანაწერს მოვიშველიებ:

-მუძღლებლის შესაძლებლად წარმოადგენა პოეზია..

- განცდის ხელოვნებაა პოეზია...

-„სული ობოლის“ თავშესაფარია პოეზია...

-გიყვარდეს პოეზია ნიშნავს, გიყვარდეს საკუთარი თავი არა ისეთი, როგორიც ხარ, არამედ ისეთი, როგორიც გინდა რომ იყო...

-გიყვარდეს პოეზია ნიშნავს, გიყვარდეს სამყარო არა ისეთი, როგორიც არის, არამედ ისეთი, როგორიც ღმერთმა ჩაიფიქრა...

-გიყვარდეს პოეზია ნიშნავს, იარო მზისკენ, ზუსტი მისამართის ცოდნის გარეშე; იარო ვრძნობით სავსემ, ვრძნობადაცლილთა შორისაც...

- გიყვარდეს პოეზია, ნიშნავს ეძიო გმირი, თუნდაც უგმირო აწმყოში...ან ეცადო, თავად გახლე გმირი...

მე მიყვარს პოეზია.... შენ ჩემიანი ხარ?.. - და ზუსტად ვიცი, რომ თქვენს ლამაზ სამყაროში, ყველა ჩემიანია ანუ სრული პარმონიაა.....

=ჰოდა, მოვალე, მიწილადე მზე, ჰოდა, მოვალე, მიწილადე ცაყ, და მიმიხვდი, რაც ვერ ვითხარ, ვე-ერ, ამოხსენი, რაც დავმალე, რა-აც!!! ნეტავ, მართლა, მიწილადებ მზე-ე-ს?!ეს რომ წავეკითხე თითქოს შენი ლექსებიდან მართლაც გადმოვიდა საოცარი სიტბო... საიდან მოფრინავს შენი მუზა. მზის ქვეყნიდან?

=ყოველდღიური ცხოვრება კეთილისა და ბოროტის შეჭიდებაა, ცოდვა-მადლის ორთაბრძოლააა, მე ყოველთვის მზიან მხარეს ვცდილობ დგომას და მინდა, ჩემი მკითხველიც, უბრალოდ, ჩემს ვარშემო მყოფი ადამიანები - მეგობრები, ნაცნობები, უცნობები, დედამინის ამ მზიან მხარეს გადავიყვანო...

ჩემი სამყარო მზისფერია, მე მწამს ადამიანების, შათი სიქველის.... ჩემი ქალაქიც მზის ქალაქია, ლექსიც მაქვს ამ სათაურით „მზის ქალაქი“, იქ ვამბობ: წინ მზის ქალაქი შელოდება - მბზინავი თვალი, შელოდება და ლალისფერი დაჰკრავს დალაღებს, იქ, თურმე, აღმასს ფასი აქვსო გამხმარი ჩალის, იქ, თურმე, უყვართ უანგაროდ, კდეპით, ალაღად... და მეც გავდივარ სადგურიდან, სადგურით პროზის, მოხეულია გამცილებლის მიერ ბილეთი, ...ო, მე არ მიყვარს, ქედმაღალი, ამაყი პოზა და გამარჯვების მისაღწევად ყველა ილეთი... თქვენ მართალი ხართ, ჩემო ინგა, მუზა მზის ქვეყნიდან მოფრინავს, იქიდან, სადაც სიყვარულია და ერთგულება....

და თამამად ვიცი, როგორც თქვენ, ჩემო ქალბატონო ინგა, ადამიანებში სიტბოს ხედავთ და სიკეთის გადავივებულ თუ ვასაღვივებელ მარცვლებს ეძებთ, ადამიანებიც თუ ერთმანეთის თვალებში ასეთ მზის სხივს დაინახავენ (თუნდაც ღრუბლიან ამინდში, ეს მეტადეორულად რა თქმა უნდა) ან ყოველ შემთხვევაში ეცდებიან მის ძებნას, ყოველი დღე მზიანი გასდება ყველასთვის.... სამყარო კი - სრულყოფილი...

მზეს უსინათლო ხატიაც კი ხედავდა (ნ. დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“ ავტ.). მაშ, თვალხილულებს რაღა ემართებათ ხშირად? მზე უნდა დაინახოთ და მზისკენ საეალი გზა. ეს გზა კი სიყვარულსა და სიკეთეზე, ქველმოქმედებასა და თანადგომაზე გადის... აღმიანები ვქმით სოციალურ ჯგუფებს... ვერთიანდებით მათში დიდი მონდომებით.... რატომ? ალბათ, იმიტომ, რომ ვეძებთ ეტყობა იმ დაკარგულ სიტბოს, სიყვარულის მარცვალს, რაც უფალმა დაანათლა ადამიანს, როცა თავის ხატად და სახედ ქმნიდა; შემდეგ, ცხოვრების სხედსხეა ეტაპზე ხან არეულ გზებზე, ალბათ, პერიოდულად ვცვითეთ და ვკარგეთ... და ახლა ისევ ვეძებთ, ვისწრაფუთ ადამინებად რომ ვიქცეთ კვლავ... ეს სულიერი კათარზისია! ყველას ერთად შეგვიძლია... მე მჯერა თქვენი სიყვარულის შარფის (თქვენს ნოველას და მის ღრმა შინაარსს ვგულისხმობ...)

მეტი რაღა უნდა მინდოდეს ჩემმა მეგობრებმა და მკითხველებმა მინიატურა „სიყვარულის შარფი“ ხომ ზეპირად იცოიან...

=დიდი მადლობა ჩემო ეკა ასეთი სიტყვებისათვის..... შენ როდის დაიწყე ლექსების წერა და თუ გაქვს გამოშვებული წიგნი?

=ადრეული ასაკიდან, ძალიან ადრეული, პირველად, არც დამიჯერეს სახლში, ალბათ, ვადაიწერეო, მითხრეს... ☺

ლექსების ორი კრებულოც ადრეულ ასაკში გამოვეცი, საკმაოდ ადრეულ, მაშინ პოპულარობით ნომერ პირველ გაზეთ „შანსში“ კრებულის შესახებ ანოტაციაც დაიბეჭდა, რაც ბუნებრივია, სტუდენტი გოგონასთვის ძალიან დიდი სიხარული იქნებოდა... არ დამავიწყდება ამავდარი ადამიანების (უფროსი თაობას კარგად ახსოვს ეს ხალხი და ღმერთმა დიდხანს და კარგად ამყოფს ისინი), საქართველოს დამსახურებული მხატვარის, აკადემიკოს, იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატის ალექსანდრე (შურა) ციხელაშვილის უანგარო თანადგომა (სწორედ იგი ვახლავთ ჩემი მეორე კრებულის მხატვარი), მანვე შექმნა ჩემი ავტობიოგრაფი, რომლითაც წიგნი გაფორმდა; ცნობილი ფურნალისტისა და მეცნიერის, ჯუმბერ ჯიშკარიანის, ქართველი მწერლის, ნარო კოლხელის, იგივე ნარიმან იაშაღაშვილის შევე-



ლიანება, თანადგომა, გამხიზვევა..... ეს კრებულები ჩემი სულის ნაწი-  
ლებია, (ისე, ალბათ, როგორც ყველა ავტორისთვის), თუმცა სტუდენ-  
ტობის ასაკში გამოცემულ კრებულებს სხვა მუხტი აქვთ, მთელი  
ცხოვრება რომ მიგყვება ის სიხარული...

პირველ კრებულზე წინასიტყვაობა თავად დავეწერე, ასე ვარჩიე  
და არც შემცდარეარ, ემოციურად მიიღო მკითხველმა, მეორე კრე-  
ბულის რედაქტორი, ლიტერატორი დავით იუკერიძე გახლავთ. წიგნი  
საჩუქრად მომიზადეს იმ რედაქციის შესეუერებმა, სადაც იმხანად  
სტუდენტი გოგონა ვმუშაობდი და ეს პერიოდი არასოდეს  
დამავიწყდება.

ახლა არის მონახაზი, მესამე, სრულტანიანი წიგნის გამოსა-  
ცემად. უფლის თანადგომითა და შეწევნით, ალბათ, ესეც ახდება!

=ვიცი, რომ შენთვის განსაკუთრებულია ბათუმი და ლექსების  
გამოფენაც, რომელიც აქ ეწყობა... ამ პროექტზე და შენს მონა-  
წილეობაზე მოგვიყევი პროექტში?

მე გენაცვალე გულში. ქართულში,  
მზეში, -თაღზე რომ მოსჩანს დაირად... და ჩემს ბათუმში... და შენს  
ბათუმში, ბედნიერი ვარ რაღაცნაირად...

თუ ძალიან არ გადავლლით მკითხველს, მოდი, ერთი ახალი  
ლექსის პრემიერაც თქვენი გვერდის და ამ ინტერვიუს საშუალებით  
შედეგს: ისეუ ბათუმს!

ეს არნახული სილამაზე, სითბო ართქმული,  
როგორ იქნება არ გიყვარდეს, ცას არ სწვდებოდე,  
მე ქოლგიანი დელფინები მიყვარს ბათუმის,  
რომ შემოიყვარა, სანამ სიტყვა წამოშცდებოდა...  
ჰო, ქოლგიანი ბათუმლების ნაბიჯიც მიყვარს  
და წკაპაჩკუბიც ბათუმური წვიმის წვეთების,  
თავს რომ გველეხა,  
გულში გიკრავს,  
არასდროს გრიყავს...  
წვიმს!  
მარტო ვარ და

ბედნიერი დავეხეტები!



ჭრელი ქოლგებით მოქარგული ბათუმი მიყვარს,  
ცელქი ღრუბლების დანამული წამწამ\_ თვალები,  
ალაღის დარად, ვაჟთა გუნდის ჩამოქროლება,  
ირმისფეხება გოგონები,  
საესე ქალები!

მერე კი დარი!  
მზის სხივებს რომ აღარ ითვლიან...  
ვერდნაყრება თოლიების მშიერი მზერით...  
ზღვის მიმოქცევა...  
ცხელი გულის კვლავ არითმია  
და ფილაქნებით მოჩითული ბილიკი,  
გზები....

მაგნოლიების სურნელებით გამთბარი მთვარე,  
ქუჩების გასწვრივ პალმის ხეთა მწვანე აკიდო...  
მოხსენით ციდან თოლიები, ეს მზეც და ღამეც, —  
ვიპარავ ბათუმს,  
მისაღებში უნდა დავეიდო....

აი, ესაა ბათუმი ჩემთვის. აქ არ დაუბადებულვარ, თორემ  
მკვიდრი ქალაქელებივით, თქვენსავით მიყვარს და ვეტრფი ბათუმს,  
ჯერ კიდევ ბავშვობიდან... ახლაც, რომ აქ ვარ, ესეც ამ დიდი  
სიყვარულის გამოხატულებაა... „ლექსების გამოფენა“ - ეს ზეიშია,  
დღესასწაულია, უპირველესად კარგი ადამიანის, კარგი ბათუმელის,  
მაზა ფირცხალაძევილის მიერ სულჩაგმული და დაფრთიანებული....  
ჩემი დამოკიდებულება, ვფიქრობ ცხადად გამოვხატე პატარა  
ჩანახატში, სახელწოდებით; „375 კმ. როცა ბედნიერება ასე ახლო-  
სააა“ (ისე არ შემოძლია არ აღვნიშნო, რომ 375 კმ, ამ სათაურით  
თქვენ მონათლეთ ეს ჩანახატი და გმადლობთ ამისთვის, ჩემო  
ლაშაზო და კეთილო ქალბატონო).



ორი მონაწილეობა - ათეულში პრიზიორობა, ტელეკომპანია „იმედში“ ჩაწერილი ლექსი, მეორედ ფინალისტობა, პოეზიით და პროზაშიც (რომელიც პირველად მოვსინჯე წლევეანდელი გამოფენისთვის), ბათუმის ბიბლიოთეკის ახალგაზრდული განყოფილების რჩეულობა და შექმნილი ადამიანები. ადამიანები, რომელებიც გამოფენაზე შევიძინე, დავეგობრდით, შევსისხლხორცდით, - განა ამაზე მეტი რამ შეიძლება ისურვოს ადამიანმა?

შევისხლხორცდი სწორედ ისეთ ადამიანებთან, ზემოთ რომ აღენიშნე, ერთმანეთის გულეხსა და თვალენბში მზეს რომ ეძებენ და თუ ღრუბელს ხედავენ, ცდილობენ, გადაფანტონ, გადაყარონ და დარი აჩუქონ მოყვასს. ბედნიერი ვარ!!!

= სულ ასეთი ბედნიერი გამყოფოს ღმერთმა..

ერთხელ შენი მოსწავლის კომენტარი წავივითხე და მივხვდი, რომ ბავშვებსაც ძალიან უყვარხარ.. სად მუშაობ ახლა და რას ნიშნავს შენთვის პედაგოგობა?

=ჩემი მოსწავლეები - ჩემი საოცარი, ინტელექტუალური, ცელქი და თავგადასავლებით სავსე მეგობრები - ჩვენ ერთი ოჯახი ვართ! უერთმანეთოდ? - მოვეკვდები, ალბათ!

გულახდილად ვიტყვი-10-12 წლის თაობასთან ურთიერთობა ხშირად უფრო ბევრის მომცემია ზრდასრული ადამიანისთვის, ვიდრე შენივე ასაკის ადამიანებთან ურთიერთობა. ეს არის ახალი მივნებების მაძიებელი თაობა, სისხლსავსე, გულიანი, ერთმანეთის მხარდამხარ მდგომი (ჩემს სადამრიგებლო კლასში 28 ბავშვია და ერთმანეთს კბილებით გაიტანენ, არ ვცდები, ამას რომ ვამბობ, არც ვაჭარბებ!), ეს ცალკე, ერთი დიდი სამყაროა... სცენის მტვერს თუ ერთხელ ჩაყლაპავ, ვერასდროს დაანებენ თავს სცენასო, ხომ ამბობენ. ასეა ეს სამყაროც, - მათ შორის თუ ერთხელ ჩაჭექი, ხელეუბი მოსვიე, ერთ მთლიანობად იქეციო და ერთმანეთს გულის ფიქრი და ნააზრევი გაუზიარეთ, - ქვეყნობიერად ხედები, ერთი დიდი ჯაჭვი შეიკრა და ეს ჯაჭვი ცხოვრების მანძილზე არ გაწყდება, არ გადალაცებს!!!

ჩვენი სკოლა „ფესვები“ ასი ათასი მოწამის სახელობისაა და სკოლის მოძღვარი გახლავთ დეკანოზი მამა ლუკა (სუპაგაძევილი). ჩვენს სკოლაში პედაგოგად მუშაობდა და ყოველთვის დიდი სიყვარულით ივგონებს ამ 4-წლიან სიტბოთი სავსე პერიოდს ყველასათვის საყვარელი მამა პეტრე (კვარაცხელია).

სხვათაშორის, მე საორგანიზაციო, PR მენეჯერადაც ვმუშაობ სკოლაში და აი, ახლა თქვენი ინტერვიუს საშუალებით შეიტყობს მამა პეტრე, რომ მისი პოემის საღამოს მოწყობას ვგეგმავთ.

აქტიური შემოქმედებითი ცხოვრებაა ჩვენთან სკოლაში. სასწავლო წლის ბოლოს შეთერთმეტე კლასელთა საგამაფხულო ღონისძიებაზე „ვარდის ფურცლობის ნიშანი არი...“, დაგვაფასა და სტუმრად ქართველთათვის უსაყვარლესი პოეტი, ერისკაცი და არაჩვეულებრივად თავმდაბალი პიროვნება, ბატონი თემურ ჩალაბაძევილი გვსტუმრობდა, ამავე საღამოზე გვსტუმრობდა ასევე ძალიან ნიჭიერი პოეტი ედუარდ უგულავა. კიდევ ერთხელ მადლობას გადავუხდით მათ!

=იზიარებ თუ არა იმ აზრს, რომ პედაგოგი და ბიბლიოთეკარი ერთნაირად არის პასუხისმგებელი ახალგაზრდის განთლებებზე?

=ახალგაზრდის განათლებებზე ყველა ის პირია პასუხისმგებელი, სოციუმში ვინც კი ხვდება მოზარდს - ოჯახი, საზოგადოება, სკოლა, ბიბლიოთეკა, სასწავლებელი, უმაღლესი და ა.შ. ერთხელ, უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ბრძანა: არ არსებობს უნიჭო ბავშვი, პედაგოგის ვალაია, მოუძებნოს მას გასაღები (სიტყვებს ზუსტად ვერ ვციტირებ, შინაარსს გადმოვიცემ მხოლოდ), აღმოაჩინოს მასში ეს ნიჭიერება, გახსნას და მიეხმაროს თავისი თავის გამოვლენაში. ეს ხომ მართლაც ასეა!

მე მუდმივად ვადევნებ თვალ-ყურს თქვენი ბიბლიოთეკის საქმიანობას, ქ-ნო იხვა და ყოველგვარი ზედმეტი ფამილარობის გარეშე მინდა ვითხრათ, რომ უასდაუდებელ საქმიანობას ეწევიან — ასაკობრივი ლიტერატურის შერჩევა და მოზარდებისთვის მიწოდება, მხოლოდ მიწოდება. არა, თეატრალურ გარემოში მოწყობილი სპექტაკლები. აღფრთოვანებული ვარ თქვენი „მემლაპრის“ როლით



და ერთ ქალაქში რომ ვიყოთ, ალბათ, თქვენს ყველა „სეანს“ მეც დიდი სიამოვნებით დავესწრებოდი; მაღალმთიანი რეგიონებისთვის წიგნების მიწოდების ორგანიზება, ლიტერატურული საღამოების მოწყობა, მოსწავლე-ახალგაზრდობის ჩართვა თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებში - ეს ფასდაუდებელი საქმეა და შედეგიანი, რაც ყველაზე მთავარია. აი, ახლა, ბათუმში ჩემი ვიზიტისას, იღვანე დაძვინდებოდა და სურვილი გამიჩნდა, თბილისელი მოსწავლეები ბათუმელ მოსწავლეებს დაეხმებოდნენ, ალბათ, ამ შემთხვევაშიც მედიატორის როლს ითამაშებთ, დარწმუნებული ვარ და რაღაც კარგ პროექტს ამ მიმართულებითაც მოითქვით, ქალბატონო ინგა და მე თქვენ გვერდით ვარ. „მე თუ არ დავიწვი, შენ თუ არ დავიწვი, მამ, ვინ განათებს ბნელს?“ - ეს ხომ მხოლოდ საკვლეველი ფრაზა არ არის და განა, რეალურად ასე არ ხდება ცხოვრებაში?!

=მაღლობა ეკა, მოდი როცა გინდა, სიამოვნებით მიგიღებთ მეც და ჩემი პატარებიც... შენ ხომ თავგადასავლები გიყვარს, ახლახან დაბრუნდი ფშავიდან, მოკლედ იქ ნახულის შესახებაც მოგვიყვი?

=„ფშავი - სამყაროს გამოდარება“, დავიწყებ პოეტ მარიამ ხეცურაულის სიტყვებით, რომელიც ზუსტად აღწერს, ჩემი აზრით, ვაჟას სამშობლოს. მე მაინც მგონია, რომ ფშავის, ამ ისტორიული კუთხის მხოლოდ ბუნების სილამაზით როდია განპიროვნებული, მგონია, რომ ამჟამადაც ჰაერი ვაჟას ლექსებითაა გაჟღენთილი, მათი არომატი იგრძნობა; მიწაზე ვაჟას ნატურალს მიჰყვება ცოდვილი ადამიანი და თავისდაუნებურად იწმინდება.... ფშავს ჰყავს საამაყო მე-18 საუკუნის პოეტი ქალბატონიც, ხვარამზე მინდოლაური, რომლის „ვერცხლის თასადამც მაქცია“-ს, მგონი, უკვე მთელი საქართველო მღერის ან ლექსად ამბობს ან გულში მაინც დუღუნებს.

ფშავში, ყოველწლიურად იმართება პოეტ ქალთა კონკურსი „ხვარამზეობა“, რომლის ფინალისტიც გახლავართ და ძალიან ვამაყობ ამით. წელს, სამწუხაროდ, ობიექტურ მიზეზთა გამო, ლიტერატურული კონკურსი ჯერ არ გამოცხადებულა, იქნებ მოესწროს კიდევ... თუმცა აქაც გამიმართლა და წელს მაინც ვეწვიე ფშავს -

ხვარამზეს სამშობლოს, სოფელ არტანს.... ჩემმა მაიკო მიქაიამ, არაჩვეულებრივმა პოეტმა და ლამაზმა ქალბატონმა მიმიწვია არტანში. მაიკო, კოლხის ქალია და არტნელების რძალია. სხვათაშორის, მე და მაიკო „ლექსების გამოფენიდან“ დავმეგობრდით და ჩემი სულის ნაწილია. საოცარი მადლიერებით ვარ სავესე და დიდი მადლობა მას. დაუფიქარი მასპინძლობისთვის. როცა 24 საათის განმთავლობაში ივრის ხმა გესმის, კადაჩლის მთა თავზე დაგცქერის, ვაშლის, ქლიავის, კოჩახურის, ღოღნომხოს, თხილის, კაკლის ხეები და დაბაბცეთ, თივის ბუბლულები ვიზიარებენ სიყვარულს, როგორ შეიძლება სავესე არ ჩამოხვიდე? ფშავში რამდენიმე ლექსიც დაიწერა და ეს ავტორისთვის, დამეთანხმებით, ყველაზე დიდი საჩუქარია.

== ბევრე სურათი გადაიღე იქ ალბათ და ლექსებიც დაწერე... პირველად ,რომ ვნახე შენი სურათი თივის ზეინთან , გავვიჟღი ისე მომეწონა...მინდოდა მიმეწერა-ალბათ ესეც არის სამშობლოს სიყვარული მეთქი და ახლა შენგან მინდა მოვისმინო-რა არის სამშობლოს სიყვარული და როგორ ვიყვარს შენ?

=საერთოდ, მკონია, რომ საქართველო, ერთი დიდი გაბმული სიმღერაა, ან იქნებ, კენესაც (თავისი წარსულიდან გამომდინარეც)... ეს არის კახური „მრავალჟამიერი“ და სვანური „ლილე“, „შენ ხარ ვენახი“ და „კრიმანჭელი“, აჭარული „ვანდაგანა“ და რაჭული „რა-შოვდა“, მეგრული „ნანა“ თუ ფშავეური „დატირება“... ეს არის დავით - გარეჯის ლავრადან დაწყებული, მეორე იერუსალიმით, მცხეთით გაგრძელებული, მთაში, ხევში მთიდან ლოცვასავით ამოზრდილი მაშათა მონასტრით, მყინვარწვერით გაძლიერებული... არხოტი, დიკლო, შენაქო, შატილი, მუცო, უშგული, შხარა და შაორი, ბარაკონი და ნიკორწმინდა, ბეშუმი, ხულო და შუახევი, ანდრია პირველწოდებულის ნატურთალებიანი ზღვისპირეთი, ბავრატი და გელათი, მარტვილის, ხობის, ზუგდიდის მონასტრები, \_ ეს არის საქართველო... ეს არის ტკივილიანი ტაო-კლარჯეთი, საინგილო, აფხაზეთი, სამაჩაბლო... შესაძლოა კენესაა, მეგრამ „ოთარაანთ ქვრივის“ არჩილისა არ იყოს, როცა კესოს ესაუბრება: „აბა, იმათს სიმღერას უყურე, ერთი გაბმული კენესაა და მაინც სიმღერას ეძახიან, ჩვენი სიმღერა

კენესა არ არის და მაინც ლხენა ვერ დაგვირქმევია... ისინი გვირისტით არიან შეკერილნი, იმ გვირისტით, რომელიც მარტო ბუნებამ იცის და ბუნება ხომ იცი - რა ოსტატია!..” მე ღრმად მჭერა, რომ საქართველოც უფლის გვირისტით ნაქსოვია. ის ლეგენდაც მხოლბაჲს, რატომ შეხვდათ ქართველებს ასე მცირე ზომის მიწა, როცა უფალი ყველასთვის არიგებდა ტერიტორიებს. „ჩაკრულოც“ თართოლვით მავსებს, როცა წარმოვიდგენ, რომ კოსმოსიდან სხვა გალაქტიკებს ქართულად ვუგზავნი სიყვარულის ჰიმნს, ზეზვა და მზიანა საქართველო და ეს ამაყს მხდის... მსოფლიოში უძველესი ღვინის აუვანია საქართველო, რომელიც მართობს ნამდვილად... და არამარტო უშგული, მცხეთა ან გელათია მუზეუმი ღია ცის ქვეშ, რომელთაც იუნესკომ სამართლიანად მიანიჭა სტატუსი, არამედ მთელი საქართველოა მუზეუმი ღია ცის ქვეშ!

ჩვენ ხშირად ვმასპინძლობთ სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ სტუმრებს და ეს მათი განწყობაცაა, მათი შეფასებაცაა და იშვიათად მინახავს ადამიანი, უცხო ქვეყნის მოქალაქე, ცრემლის გარეშე ტოვებდეს ჩვენს სამოთხეს!

=ტრადიციულ კითხვას ვერ ავცდებით-რა არის სიყვარული და თავისუფალია თუ დაკავებული ასეთი ღამაში, ჭკვიანი პოეტის და კარგი ახალგაზრდა ქალბატონის გული?

=სიყვარული? - „როცა უღელი ადვილია და ტვირთი „მსუბუქი“... ამაზე ნაწილობრივ პირველი შეკითხვის პასუხის დროს ვისაუბრე - სიყვარული სიცოცხლის მამოძრავებელი ძალაა, დერიტაა, რაზეც „იზრდება“ სამყარო... ჩემთვის ის ბათუმის შავი ზღვა-სავით უკიდევანოა, ბათუმის წვიმასავით გადაუღებელი... © თუმაგის მშესავით მწველი, იორივით ანკარა, სევანეთის წყაროებით წმინდა, მეგრული „ნანასავით“ ნაზი და თერგივით წამლეკავი..... ჩემთან? - თავისუფალია, თუმცა მზადაა, მოიხიბლოს...“

ულრმესი მადლობა, ჩემო ღამაშო ქალბატონო. მზისფერი ცხოვრება მისურვებია, თუმცა თუ არის შესაძლებელი, ერთ შეკითხვას დაეამატებ. ჩვენ ბათუმზე ვისაუბრეთ. ახლა ვკითხავდი ჩემს თავს, რა არის აჭარა შენთვის? 2001 წელს სამსახურებრივი მივლინებით

ვიყავი ჩამოსული ბათუმში, მაღალმთიანი აჭარიდან საგაზეთო რეპორტაჟები უნდა მომემზადებინა, მაშინ მოვიარე მაღალმთიანი აჭარა პირველად ნაბიჯ-ნაბიჯ და მტკაველ-მტკაველ გავეცანი ამ საოცარ შხარეს და მის მკვიდრთ. ხელუაჩაური, შუახევი, ქედა, ხელო, ბეშუმში... კირნათი, ხიხაძირი, მარადიდი, რომელი ერთი ჩამოვთვალო... ყველაფერი მოვიარეთ. ერთ დღეს, ამ ვიზიტის თარგვლებში, საქართველოს სახელოვანმა პოეტმა, აჭარის ღირსეულმა მკვიდრმა, ბატონმა ფრიდონ ხალუაშმა გვიმასპინძლა. დიდი სუფრა გაიმალა მის ძირ ოჯახში, ქედის რაიონ, სოფელ გვევლიძეებში..... მაშინ პოეტის შეუღლეც ცოცხალი იყო და ქართული სიტყვის, ლექსის ერთი დიდი, დაუეიწყარი ზეიმი სწორედ ამ დიდი ტრადიციებით საესე ოჯახში, აჭარის მთებით შემოგვირისტებულ კარმიდამოში გაიმართა. ასეთი დღეები აცოცხლებს ადამიანს, ასეთი დღეები ზრდის, აკეთილშობილებს და რწმენას უღრმავეს, რომ სიკეთე გარდაუვლად იმარტეებს ბოროტებაზე!

დიდი მაღლობა ეკა...წინსვლას და წარმატებებს გისურვებ.

ინგა გოგიბერიძე  
გვატერიჩე ღონდუა  
ბათუმი - თბილისი-2014 წელი

გასაუბრება მხატვართან სოფო მუშუკელიანთან  
"განემარტოვდები და ვაკეთებ იმას რაც დიდ სიამოვნებას მანიჭებს"



=მოგესალმები სოფო. მიხარია რომ სოციალურ გვერდზე აღმოვაჩინე... ჩვენ ხომ ბავშვობა ერთად ვაეატარეთ მშობლიურ ქალაქ ბათუმში... შემდეგ ჩვენი გზები გაიყო და დიდი ხანია არაფერი მსმენია შენზე... ამიტომაც მეც ისეთივე ინტერესით ველოდები შენგან პასუხებს, როგორც ჩვენი მკითხველი დაელოდება ამ ინტერვიუს.

=რა წამოიღე დიდობაში ჩვენი საყვარელი ბავშვობიდან?

=ბავშვობიდან რაც სულ მომყვება, გარდა მოგონებებისა, სუფთა ურთიერთობები, სილალე და სიყვარულია, არაფრის გამო, რომ გვიყვარდა და გვიხაროდა ერთმანეთის ნახვა და გულწრფელი სიცილი....

=სწორედ ეს გულწრფელი სიცილია ყველაფერი ჩემთვისაც..... ვიცი რომ ბათუმი უსაზღვროდ ვიყვარს, რათქმუნდა თბილისიც ასე გვიყვარება, იმიტომ რომ ეს საქართველოა და ჩვენ ქართველები ვართ... მაგრამ ხომ არ გაქვს ხანდახან განცდა რომ სხვაგან ხარ და არა შენს ქალაქში? როგორია ეს შენი სიყვარული?

=ბათუმს არაფერი შეედრება ჩემთვის.. ბათუმში სხვანაირად ვსუნთქავ, უფრო თავისუფალი ვარ, ბათუმი უფრო გულწრფელია და ბავშვივით სუფთა... მე ასეთი დავტოვე, და ყოველ ჩასვლაზე ასეთი მხედება მგონია... მაგრამ თბილისიც ჩემია, არაჩვეულებრივად კარგი შექმნილი ახლობლებით და მეგობრებით... მგონია რომ თბილისმაც მიმიღო ტკბილად, თორე, მე თბილ ბათუმს მიჩვეული ადამიანი ვერ გავძლებდი...( ისე, უფრო აღრე, ხშირად მციაოდა სულში...და ბათუმში მინდოდა ამ დროს..)

=გავათხო სიყვარულმა ჩემო სოფო, მიხარია ასე რომაა... იცი? ჩვენნარი ბედნიერი ბავშვობა არავის ჰქონდა მგონია... მე არაფერი ვიცი შენს სტუდენტობაზე... მოგვიყვი სად სწავლობდი რა დაამთავრე... რატომ აირჩიე მხატვრობა შენი ცხოვრების თანამშვავრად?

=ბავშვობაში სულ ვხატავდი, ვჭლახნხდი... მერე ღმერთით გამიმართლა და ვთქვრობ არა მარტო საქართველოში... და ძალიან

მავარ მხატვართან მიმიყვანა მამამ...ბესო ბესელიასთან.. სახე-  
ლოსნოში... აი იმ პერიოდს არათუერი შეედრება ...ბესო მასის (მე-  
დღესაც ასე ვეძახი) სახელოსნოს, ზეთის საღებავების სუნი დღესაც  
და მთელი ცხოვრება მემასსოვრება... და საერთოდ ბედნიერება იყო  
ამ ადამიანთან ურთიერთობა, ბევრი რამე ვისწავლე მისგან... ხატვის  
ვარდა... დიდი მხატვარი და საოცრად თავმდაბალი ადამიანი... მერე  
ჩამოვედი თბილისში, სამხატვრო აკადემიაში...მოვხვდი ძალიან კარგ  
ჯგუფში, ექვსნი ვიყავით, ძალიან დაემეგობრდით და დღესაც ერთად  
ვართ. თითქმის სულ ვხატავ მას შემდეგ... თუ არ ვხატავ შემოქ-  
მედების ვაკეთებ რაღაცას მაინც, და ხშირად ვუეხნები ჩემს შვილს-  
მე ბედნიერი ვარ ამით, განვმარტოვდები და ვაკეთებ იმას რაც დიდ  
სიამოვნებას მანიჭებს, მა ვიწყდება ყოველდღიური პრობლემები, არ  
მახსენდება ცუდი და უარყოფითი... ხომ მე ბედნიერი ვარ ჩემი  
საქმიანობით... და მადლობელი - ღმერთის. მამაჩემის და ბესო მასის

= სოფო, ამას რომ მწერდი, თვალწინ შენი ნაზღამილიანი სახე  
წარმომიდგა.. სულ ბედნიერი გამყოფოს უფალმა... ახლა ყოველ-  
დღიური ცხოვრებაც გავიხსენოთ? როგორ იწყება შენი დილა?

=ხოოო... რაც დრო გადის უფრო და უფრო დეფიციტი გამიჩნ-  
და დროის... ბევრი რამე მინდა მოვასწრო დღის განმავლობაში, სულ  
უკმაყოფილო ვარ თავის... ბევრი რამის ვაკეთება მინდა...ზოგჯერ  
მგონია არ მყოფნის ჩემი წილი სიცოცხლე თქო. აქტიური ვარ, (ზოგ-  
ჯერპიპერ... აქტიური) დილით ოჯახური ზრუნვა - ურთიერთობები ყო-  
ფითი საქმიანობები... მერე სიცოცხლით საესე და ხმაურიან ქალაქში  
საქმეები (ჩემს საქმიანობასთან და ნამუშევრებთან დაკავშირებული)  
მშობლების ნახვა და თითქმის ყოველდღიური ახლო ურთიერ-  
ობები... ანის (შვილი) მოკითხვა მიცილება... უფრო საღამოობით  
მუშაობა გვიანობამდე... შეძლების და გვარად მეგობრებთან  
დაბადების დღეებზე, გამოფენა წვეულებები...უპ ...აი თურმე რატომ  
ვარ ხშირად დაქანცული საღამოს...ჰაჰაა...ეს დილას ვავეყვი და  
მთელი დღე მოვიყვით..

=ჩემნაიროოოოოოო, გამიხარდა ჰიპერ აქტური რომ ხარ..  
ალბათ ეს ჩვენ ბავშვობიდან მოგვეყვება. და მაინც, ვინ შევაყვარა

მხატვრობა და დამისახელები შენი ყველაზე უსაყვარლესი მხატვრი? (გახსოვს ჩვენი პერიოდის დღიურები? ეს კითხვა იმ დღიურებიდანაა)

=მხატვრობა დედამ შემაყვარა. ხატავს ლამაზად... ნამდვილი შემოქმედი ჩემთვის, კი ვითხარი, ბესო ბესელია და ნინო ნიჟარაძე იყო... გავიდა დრო, ბევრი გავიცანი, ბევრ სახელოსნოში და შემოქმედ ადამიანთან მქონდა ურთიერთობა „და ამ გადასახედიდანაც, ნამდვილი მხატვარი დიდი მაესტრო ბესო ბესელიაა. ჩემთვის... ისე მიქელანჯელო; ბერნინი; რემბრანდტი; იმპრესიონისტები მიყვარს ძალიან.. ეან გოგი.. მოდილიანი...

=ქალბატონი ნინო და ბატონი ბესო მართლაც დიდი ადამიანები დაა საოცარი პიროვნებები არიან... თავმდაბლები.. შენც ძალიან თბილი, საყვარელი, უშუალო, თავმდაბალი ადამიანი ხარ.. ასეთი იყავი და დარწმუნებული ვარ არ შეიცვლებოდი.. რა არის შენთვის სიყვარული?

=რაც არ უნდა ბანალურად ვდერდეს ჩემთვის ყველაფერი სიყვარულია, ყველაფერს სიყვარულით ვაკეთებ, სიყვარულით განვიცდი და სიყვარული მამოძრავებს... უგულოდ და უსიყვარულოდ არაფერი გამოძღის ხარისხიანი... დიდობაში ჩაეჭვდი არსს ჩვენი რწმენის და რელიგიის, რომ დმერთია სიყვარული... ამიტომ მიხარია დილა და გაღვიძება ...ვიდრე პირიქით.

=ყოველი დღის ამოსუნთქვა სიცოცხლის გავრძელებაა, სიყვარულია, ოჯახის, შვილების, ახლობლების კიდევ ერთხელ ნახვისა და სასიამოვნო წუთების მოლოდინია... ამიტომაც მომიყვებ შენი ოჯახის განსაკუთრებულ რაიმე ტრადიციებზე და შენი გვარის ისტორიაზე?

=ჩემს გვარზე?... ჩვენი ფესვები ლეჩხუმიდანაა, სამწუხაროდ იქ არა გვაქვს სახლი, და გვარი სვანური წარმოშობის არის... ფუდზე - მუშკედ ყოფილა სვანურად - მჭედელი... ქართულად-მჭედლიშვილი რუსულად- კუზნეცოვ; გერმანულად - შმიდტ ...თურმე ამ ტიპის გვარი ყოფილა სვანური - მუშკედიანი; ჩემი ოჯახი ტრადიციულია ვიდრე პირიქით. განსაკუთრებული არაფერი მახსენდება, გარდა- სტუმრია- ნობისა, ძეგობრობისა და სიყვარულისა ურთიერთობებში...

= „გარდა სტუმრიანობისა, მეგობრობისა და სიყვარულისა ურთიერთობებში...“ ჰოდა ესაა მთავარი ჩემო სოფო... იმიტომაც ჩამოყალიბდი პიროვნებად და შენში სიკეთე და სიყვარული სახლობს. ამიტომაცა შენი ყველა ნახატი ჰაერივანი და ძალიან თერადი... გიყვარს სიცოცხლე... შე ასე ვხედავ... რას ფიქრობ, როგორ უნდა იცხოვროს ადამიანმა, რომ კეთილი კვალი დატოვოს ცხოვრებაში?

= არ ვიცი კვალი როგორ დატოვო, ან საერთოდ თუ უნდა ითქვას ამაზე, მაგრამ ანის. (შვილს) ასე ვეუბნები... არ მოიტყუო, გულწრფელი იყავი, რასაც არ უნდა აკეთებდე და აპატიე და გიყვარდეს ადამიანები...

= მეც მიყვარს ადამიანები ...მიყვარს ურთიერთობები... მითხარი, შენი ყველაზე საყვარელი სიტყვა რომელია? ჩემი მაგალითად არის ძვირფასი, ამა ვამბობ თუ რაიმე ძალიან მომწონს თუ უბრალოდ მომწონს მაშინ არ ვამბობ და უკვე შემისწავლეს კოლეგებმა..... ჰოდა შენთვის რომელია ეს სიტყვა?

= ყველაფერი კარგად იქნება... დარწმუნებული ვარ - ყველაფერი კარგად იქნება;

= მინდა შენი სახუკეარი სურვილი განმიცხადო იმიტომ რომ მეზღაპრეს ესაუბრები და ყველა სურვილი მინდა ავიხდეს.....

= ოჰ ...კარგად მინდა ყველა ჩემს ირგვლივ იყოს...და მშობლები დიდხანს იყვნენ....

= ძვირფასი ნატვრაააა...-ყველაფერი კარგად იქნება.....

= და ბოლოს რამდენ გამოთენაში გაქვს მონაწილეობა მიღებული და რა გეგმები გაქვს?

= პერსონალური გამოთენა სტუდენტობისას მქონდა ორი. და გამოთენებში აქტიურად ემონაწილეობ... ხშირად, საქართველოშიც და უცხოეთშიც. ეხლაც - სამობაო გამოთენისთვის ვემზადები... გამათხულებიც პრალიდან მოწვევა მივიღე ფესტივალში „გამათხულო პრალაში“ ...-ენახოთ. ღმერთის წყალობით როგორც იქნება..... მადლობა შენ იხვა.

= სოფო მიხარია რომ ისევე ერთად ვართ, მიხარია რომ ისევე ისეთი ლაღი, მზიანი და ჭკვიანი ხარ როგორც ბავშვობაში... აუარე-

ბელ წარმატებას ვისურვებ და მიგულე ყოველთვის შენი სხივარული  
გამზიარებლად.



ინგა გოგიბერიძე  
სოფო მუშკელიანი  
ბათუმი ბათუმი და კიდევ ბათუმი. 2014 წელი.



ინტერვიუ ნამდვილ ქართველ ჩოხოსანთან,  
მწერალთან და კარგ ადამიანთან ფრიდონ მალრაძესთან



=მოგესალმებით ბატონო ფრიდონ... ჩვენ ერთმანეთი ცოტა ხნის წინ, ხარაგაულში ლიტერატურულ კონკურსზე გავიცანით..... მაშინვე, შევიცანით ნამდვილ ქართველ ვაჟკაცად ...რას ნიშნავს თქვენთვის სამშობლო და ხარაგაულის მიწა?

=სამშობლო ჩემთვისაც იმას ნიშნავს, რასაც სხვისთვის: ესაა ჩემი ეროვნების ხალხის ქვეყანა. არ ვამბობ, სადაც დავიბადე მეთქი, რადგან საქართველოში რომც არ დავბადებულყავი (როგორც ჩემი ძმიშვილი 1 წლის დემეტრე, რომელიც აშშ-ში დაიბადა), ჩემი სამშობლო მაინც საქართველო იქნებოდა; არ ვამბობ, სადაც ჩემი ერის ხალხი ცხოვრობენ-მეთქი... ებრაელებს სამშობლო ფიზიკურად აღარც კი ჰქონდათ, მაგრამ მისი სიყვარული

26 საუკუნის განმავლობაში უსამშობლოდაც შეინარჩუნეს... ამისგან ჩვენ ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ სადაც ვიქნებით და როგორც ვიქნებით, ჩვენი სამშობლო საქართველოა და ჩვენ მისი ერთგული ჯარისკაცები უნდა ვიყოთ. ჩვენი სული ღმერთს ეკუთვნის, გული - სამშობლოს, სხეული კი მისთვის გავვარჩნია, რომ სამშობლოს ვანაცვალოთ, თუკი ამის საჭიროება იქნება...

ცოტა ზედმეტი მომივიდა... თავის გაწირვისგან ისევ ღმერთმა დაგვიფაროს, - ოცდამეერთე საუკუნეა და ხელისუფლებამ ისე უნდა წარმართოს სამინაო თუ საგარეო პოლიტიკა (ამ პოლიტიკას მაინც ვერ ავცდი)... ხელისუფლებამ ისეთი პოლიტიკა უნდა აწარმოოს, რომ მომავალ თაობებს თავის გაწირვა აღარ დასჭირდეთ, ომები როგორმე თავიდან უნდა იქნეს აცილებული... სამშობლო ჩვენ ჩვენი შთამომავლობის ბედნიერი მომავლისთვის გვჭირდება და არა ომის პოლიგონად... ისევ ებრაელების მაგალითს გავიხსენებ: როდესაც რომაელებმა ისრაელი დაიპყრეს, ციხე-სიმაგრე მასადას ვერაფერი მოუხერხეს... ერთი პატარა ციხე-სიმაგრე წილობით უჩვენდა შეუპოვარ წინააღმდეგობას მსოფლიოს დამპყრობ სამხედრო მანქანას... მრავალი გმირობა გამოაუღინეს და ბევრი იერიში მოიგერიეს,



მაგრამ საბრძოლო რესურსი ამოეწურათ და... როდესაც დამპყრობლებმა ციხე-სიმაგრეში შეაღწიეს, შიგნით ცოცხალი აღარავინ დახვედრიათ... არა მარტო ციხის დამცველები, რიგითი ადამიანებიც კი დიდიან-პატარაიანად ყელგამოღადრულები დაუხედნენ, - თავისუფლების დაკარგვას სიკვდილი არჩიეს... ეს, რა თქმა უნდა, გმობის მაგალითია, მაგრამ ყველა ებრაელი რომ ასე მოქცეულაყო, ესლა აღარც ებრაელები იქნებოდნენ და მათ - სამშობლო ისრაელსაც ვეღარავინ აღადგენდა... კიდევ ერთხელ დავაზუსტებ: სამშობლო - ესაა ჩემი თანამემამულეებით დასახლებული ჩემი ქვეყანა. საქართველო ქართველებით არის ლამაზი, ქართველების მიერ შექმნილი კულტურული ღირებულებებით, ქართული ადათ-ჩესებითა და ზნე-ჩვეულებებით... ამ ადათ-ჩესებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სტუმართმოყვარეობას და უცხოსადმი არათუ ტოლერანტულ, არამედ საკუთარზე მომეტებულ პატივისცემასაც კი. ჩვენ პატივისცემით უნდა ვიყოთ განწყობილი ყველა უცხოელის მიმართ, იმის მიუხედავად, მათ სახელმწიფოს როდის რა დაუშავებია ჩვენთვის... ჩვენთან მცხოვრები უცხოური წარმოშობის მოქალაქეები კი, რომლებიც თავს ქართველებად მიიჩნევენ, ისედაც ჩვენები არ არიან?!... თუკი ასე არ მიიჩნევენ, ყველას აქვთ თავიანთი ქვეყანა და შიბრძანდნენ... არ შეიძლება გარედან მოსულები გვისაზღვრავდნენ, როგორ მოვაწყობთ ჩვენი ქვეყანა... უბრუნდები ნათქვამს: თავის განჩირვის საჭიროებისგან ღმერთმა დაგვიფაროს. ისე კი ყველაფერი უნდა გავილოთ სამშობლოსათვის... სანამ იმ ყველაფერს... ან, სულაც, რაიმეს გავიღებდე, უნდა გავიაზროთ, უნდა დავინჯუნდეთ, რომ ეს რაღაცა (ან ყველაფერი) ნამდვილად სჭირდება და წაადგება ჩემს სამშობლოს. ამ გააზრების გარეშე კაპიკია შენაჩირის ფასი, რადგან ადვილი შესაძლებელია, სამშობლოს მტრებმა ეს ბრმა თავგანჩირვა ბრმა იარაღად გამოიყენონ ჩვენივე ქვეყნის წინააღმდეგ... ორიოდე სატყვა სამშობლოში ცხოვრებასთან დაკავშირებითაც: ნორმალური ადამიანი მიიღტვის სულაერი და ფაზიკური კომფორტისაკენ... ეს ბუნებრივია... ასე რომ არ ყოფილიყო, ცხოვრება არ განვითარდებოდა და ეხლაც გამოქვაბულებში ვიქნებოდით... ან იმას იქითაც კი... მაგრამ როგორ

აკობებს: გადავსახლდეთ იქ, სადაც უფრო მეტი კომფორტია თუ პირიქით, ჩვენს სამშობლოშივე შევიქმნათ ეს კომფორტი... მე უპირატესობას მეორეს ვანიჭებ... შესაძლოა, ეს კომფორტი ჩამოუვარდებოდეს კიდევ მსოფლიოს ზოგიერთ მაღალგანვითარებულ ქვეყნის კომფორტს, მაგრამ ჩვენი ქვეყნის სალი კლდეები ხომ უნდა გვერჩინოს სხვა ქვეყნის სამოთხეს?!... თუკი ასე არაა, ე.ი. თუ მაინც სხვა ქვეყნისკენ უფრო მიგვიჩნევს გული, მაშინ სწორად არ გვიცხოვრია, სრულად ვერ შეგვიგრძენია ჩვენი ქვეყნის სიყვარული... ჩვენის შეყვარება თუ ვერ მოგვიხერხებია, სხვისას მით უმეტეს ვერ შევიყვარებთ... ვიცხოვრებთ მძღვრად, მაგრამ უსიყვარულოდ... რა თქმა უნდა, მხედველობაში არ მყავს გარკვეული მიზნით სამშობლოდან წასული ადამიანები... გადახვეწილებიც კი, რომელთაც სხვა არჩევანი არ ჰქონდათ. სამშობლოდან შეიძლება წავიდეთ, თუ ეს ჩვენს სამშობლოს ასე სჭირდება... თუნდაც ოჯახის გასაძლიერებლად, - ესეც სათუძვლიანი მიზეზია... სხვა შემთხვევაში, თუკი ქვეყნის გარეთ თავს ღალად ვგრძნობთ და სამშობლოში დაბრუნების სურვილი აღარ გვაჩუხებს, ე.ი. რაღაც ისე ვერა გვაქვს, როგორც უნდა გვექონდეს... იქნება ვცდები, მაგრამ მე მაინც ასე მეჩვენება... სხუამ თავისი იცის... ცოტა ვრცელი პასუხი გამომივიდა, მაგრამ რახან თემას შევხე, უნდა შეთქვა ეს მინიმუმი... ეხლა ჩემი მშობლიური რაიონი, - ჩემი სოფელი... მე ზედმივე საცხოვრებლად დედაქალაქი ამოვირჩიე... რა თქმა უნდა, ეს ჩემი მინუსია... დიდი მინუსია... მე გავაცოვე კერია, სადაც ჩემამდე ზედმივად ერთი იჯა... პატრონობდნენ... უფროხილდებოდნენ... იქნებ მათ ჩემზე მეტადაც უჭირდათ კიდევ (ასეც იყო), იქნებ ჩემზე მეტადაც მიუჩვენდათ გული კომფორტისკენ, მაგრამ მამა-პაპისეულ კერიას ვერ უღალატეს და შესწირეს ყველაფერი პირადული... მე ვერ შევწირე... ერთი „მე“ მანუგეშებს გულის კუნჭულიდან, - „შენ მაშინ პატარა იყავი და ასე სიღრმისეულად არ გქონდა ვააზრებული კერიის გაცოცების მთელი ტრავიზიმია“... შეიძლება ასეც იყოს... „ეხლა ხომ დიდი ხარო“ - არ მშოგავს მეორე „მე“... ისიც მართალია... ამიტომ არ მტოვებს დანაშაულის განცდა... მე უღალატე თანასოფლელებს, მივატოვე და



თავი ქალაქის კომფორტულ ცხოვრებას შეეფარე... მათ გვერდით რომ ვყოფილიყავი, ჩემი სოფელი, ალბათ, კიდევ უფრო ძლიერი და ლამაზი იქნებოდა... ამიტომ ჩემს ქმედებას გამართლება არ აქვს...ოცნებებში ვცდილობ, რაიმე სასიკეთო კვალი შევმატო ჩემს სოფელს...

ცხადმაც, რა თქმა უნდა... მთლად წყალწაღებული კი არ ვარ, მაგრამ ძირითადი ცვირთი მაინც იმ ხალხს აწევს მხრებზე, ვინც სოფლის ერთგული დარჩა ბოლომდე... ისღა დამრჩენია, აქედან მაინც შეუუწყო ხელი, რითაც შემძლია... შევეცდები... ეხლა რაიონი, - ჩემი ხარაგაული... მესამე კლასში ვიყავი, მარტო რომ ჩავედი ხარაგაულში ბურთულიანი ავტოკალმის საყიდლად (დიდი ტექნიკური სიახლე იყო იმ დროისათვის)... მას შემდეგაც ძალიან მიყვარდა ხარაგაულის წიგნების მაღაზიაში სტუმრობა, მოპირდაპირე მხარეს სათამაშოების მაღაზიის თვალიერება, კინოთეატრთან ტირი იყო და იქაც მოვინჯავდი ხოლმე ძალებს... მიყვარდა, როგორ არ მიყვარდა, მაგრამ რაიმე გამორჩეულ სიამაყეს, რომ ხარაგაულები ვარ, მაინცდამაინც ვერ ვგრძობდი... თითქოს არ მქონდა ამის საფუძველი... როგორც ქალაქი, არქიტექტურითა და კულტურული დაწესებულებებით ჩვენი მეზობელი ზესტაფონი ან ხაშური უფრო იყო ქალაქური...ეს ეხლა ვხვდები, რომ ხარაგაული ადგილობრივებს უნდა გვექცია იმად, რადაც გვინდოდა, რომ ყოფილიყო... მადლობა ღმერთს, თანამედროვე ხარაგაულებმა ეს შეძლეს! მათმა პატრიოტულმა შემართებამ ხარაგაულის კულტურული პოტენციალი ასწიეს მეზობელი რაიონების დონეზე! მე ეს მახარებს, სიამაყეს მგერის და აღმიძრავს დაუოკებელ სურვილს, მათთან ერთად მეც რადაც შევმატო ჩვენს ხარაგაულს... რომ იქაურ ახალგაზრდებს აღარ პქონდეთ იმის თქმის საფუძველი, რაც მე ვაღიარე ამ ცოტა ხნის წინ... მადლობა ამ კითხვისთვისაც... ეს იყო ბიძგი, დაფიქრებულიყავი რადაც-რადაცეებზე... გამეანალიზებინა განუღილი და მომავალი...

= ვფიქრობ, სპირიდონი ფსევდონიმი არ უნდა იყოს... ეს ალბათ წმინდანის სპირიდონ ტრიმიფუნტელის საპატივცემულო ნათლობის სახელია... რას ნიშნავს თქვენთვის იყოთ მართმადიდებელი?

= რამდენადაც ჩემი ოფიციალური სახელი და გვარი სხვაა, გარკვეულწილად ფსევდონიმადაც შეიძლება ჩაითვალოს... უფრო მეტიც...

მის საფარქვეშ ყოფნა გარკვეული მიზეზებით იყო განპირობებული: საჩარმოს, რომელიც ჩემს განკარგულებაშია და საიდანაც ბევრი ჩენი თანამემამულე ხალხური ოსტატი ღებულობს შემოსავალს, ერქვა ჩემი სახელი და გვარი - ინდსაჩარმო „ფრიდონ მალრაძე“. არსებობს პრაქტიკა: როდესაც დარეგისტრირდება საჩარმო და მას კონკრეტულ სახელს არ დაარქმევენ, ავტომატურად ფიქსირდება დამფუძნებელის სახელით. ე.წ. „ვარდების“ ხელისუფლების მიმართ თავიდანვე უარყოფითად ვიყავი განწყობილი. როცა ხელისუფალთა თავხედობამ პიკს მიაღწია, როცა ღიად შეუტიეს მათდამი არალოიარად განწყობილ ბიზნესს და მე კი არა, პატარაკაციშვილს გაუხეთქეს სამშობლო საქართველოზე მძვერალი გული, ვიცოდი რა, რომ მათი კრიტიკისგან თავს ვერ შევიკავებდი, ჩემი სახელი, რომლითაც საჩარმო იყო დარეგისტრირებული, ზედმეტად თვალში რომ არავის შეჩხიროდა, ფეისბუკზე ფსევდონიმი შევცვალე: სახელად ნათლობის სახელი სპირიდონი (ღიდი ბაბუის სახელი, რომელიც თავისთავად წმინდან სპირიდონ ტრიმიფუნტელს უკავშირდება) ავირჩიე და გვარად - მამის სახელი. სულ ეს იყო. ის მთავრობა კი ჩამოვიცილეთ. როგორც იქნა და კონსპირაცია კი აღარაფერში მჭირდება, მაგრამ „სპირიდონს“ ისე შევეჩვიე, ჯერჯერობით ფეისბუკზე ისევ დავიტოვე... აწი ვნახოთ, რა იქნება... მართმადიდებლობა ჩემი ქვეყნის აღმსარებლობაა, ჩენი კულტურისა და ტრადიციების საფუძველი, ჩენი სულიერების, ჩენი ზნეობისა და მორალის განმსაზღვრელი. დედა ეკლესია და ჩენი სასულიერო პირები ღირსეულად ასრულებენ თავის ფუნქციას, წარმატებით ახორციელებენ მოსახლეობის სულიერად გაძლიერებას და საეკლესიო აღმშენებლობას, ამიტომ შეგნებულად თუ შეუგნებლად მე



ჩემი ერის რწმენის ერთგული ვარ და ყოველგვარი გადახვევა ერის ერთიანობაში ბზარის შეტანად მიმაჩნია, ბზარი და ერის გახლეჩა რომ ქვეყანას ავნებს, ამაზე არც ღირს ლაპარაკი. მე მესმის წარსულში იძულებით გამაჰმადიანებული ჩვენი თანამემამულეებისა, რომლებიც სიბერეში თავს იკავებენ რწმენის შეცვლისგან, მაგრამ ოჯახის ახალგაზრდა წევრებს არ უძლიან, გაერთიანდნენ დედა-სამშობლოს ერთიანი რელიგიის ქვეშ. ჩვენ პატივი უნდა ვცეთ ერთმანეთის რწმენას და, საერთოდ, მსოფლიოს ყველა ხალხების რწმენის მიმართ უნდა გამოვიჩინოთ პატივისცემა. შეურაცხყოფაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. როდესაც ჩვენს ქვეყანაში უცხო ქვეყნიდან დათინანსებული არამართმადიდებლური რელიგიური ცენტრების გახსნას ვუწევთ წინააღმდეგობას, იმ რელიგიის მიმართ კი არ ვვაქვს რაიმე საწინააღმდეგო, არამედ ჩვენსას ვიცავთ, არ ვვინდა, რომ ჩვენი ერის წარმომადგენლები იმ რელიგიურმა ცენტრებმა მოწყვიტონ დედა-სამშობლოს, ჩაუნერგონ არაქართული რწმენა და დაგვიპირისპირონ ჩვენ - თავიანთ სამშობლოს. როგორ ვვიპირისპირდებიან და როგორ შეურაცხყოფენ ჩვენს რწმენას, ამის მაგალითები შრავლად არსებობს სოციალურ ქსელებში.

=პირად საუბარში მითხარით, რომ აჭარა თქვენთვის საყვარელი რეგიონია და თქვენი ძმაც აქ მოღვაწეობს - მამა პეტრე - ცოტაოდენი რამ მის მოღვაწეობაზე გვითხარით?

=ჩემი ძმა სრულიად ახალგაზრდა შეეჭიდა საზოგადოებრივ პრობლემებს. სამხედრო სამსახურიდან ახალდაბრუნებულმა შეკრიბა ჩვენი სოფლის ახალგაზრდობა და დაიწყეს სოფლის ძველი ეკლესიის ნანგრევების გაწმენდა-აღორძინება. როდესაც ახალგაზრდების ასეთი ერთობაშია დაიწახეს, საქმეში ჩაერთნენ უფროსებიც და საერთო ძალით ეამთეითარებით ნანგრევებადქცეული სოფლის უძველესი კულტურულ-ისტორიული ძეგლი აღდგენილ იქნა. აღდგენის პროცესში ჩემ ძმას ერთიერთობა უხდებოდა რაიონის აქტიურ ადამიანებთან, სასულიერო პირებთან. 90-იან წლებში ქვეყანაში არსებული არაჯანსაღი სამოქალაქო ერთიერთობის გამო ბევრ ხარაგაულელ ინტელექტუალს მოუწია რაიონის მიტოვება. უმრავ-

ლესობამ აჭარაში მოიყარა თავი, აჭარამაც მზრუნველად მიიღო უსიამოვნებებს გამორიდებული თავისი თანამოძმეები, უანგაროდ გაუნაწილა კერიის სითბო და ღვთითბობებული პური არსობისა... ხარაგაულელი „ემიგრანტები“ ენთუზიანზმით ჩაებხენ აჭარაში განვითარებულ აღმშენებლობით პროცესში და თავიანთი წვლილი შეიტანეს მასში... მათ უშუალო მონაწილეობით და ძალიანსმევიით ამენდა ეკლესია ხულოში და მრავალი სხვა...

მათ შორის იყო ხარაგაულის მაშინდელი მოძღვარი მამა ზაქარია (ფერაძე), ძალიან ძლიერი სასულიერო პირი, რომელმაც მოახერხა და ხარაგაულში შექმნა გარკვეული სასულიერო ცენტრი, შემოიკრიბა ახალგაზრდები, ვადიოდა მოსახლეობაში, ახლიდან მოაქცია და სულიერად გააძლიერა ისინი... ბარემ აქვე აღვნიშნავ, - ხარაგაულიდან მისი წასვლის შემდეგ იქ ეს სულიერება წინამძღოლის გარეშე დარჩა, მიხაელდა და ჩაიფერებულა კიდევ... ამის ბრალი მგონია, რომ დღემდე ხარაგაულში ეკლესია არ იყო... ჩემს სოფელში სამია: ერთი ძველი და ორი ახალი, ხარაგაულში კი - არცერთი... იქნებ მე ყველაფერი არ ვიცი და საქმე სულ სხვაგვარადაა, მაგრამ ჩემი გადასახედიდან ასე ჩანს.მადლობა ღმერთს, დღეს რეგიონში მოვიდა ახალი მეუფე, - მეუფე დიმიტრი (კაპანაძე), ხარაგაულელი, იმ მამა ზაქარიას ერთ-ერთი პირველი მრევლი... თავისი სოფლიდან ფეხით მიუყვებოდა ხოლმე ხარაგაულის „ტაძრისკენ“ მიმავალ გზას, პატარა ძმა კისერზე ესვა, დისათვის ხელი პუნდა ჩაკიდული და მიმდებარე სოფლებიდან მასავით გულანთებულ ახალგაზრდებს მიუძღოდა და ზამთარ-ზაფხულ გზას მიუკვლევდა. მეუფე დიმიტრიმ მოსვლისთანავე აქტიურად შეუდგა მასზე დაკისრებული ტვირთის ღირსეულად ტარებას, ბევრი მასიური ღონისძიებები ჩაატარა, ბევრ სასიკეთო ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა.

მალე დასრულდება ხარაგაულის საკათედრო ტაძრის მშენებლობაც და ხარაგაულის სასულიერო ცხოვრებაც კიდევ უფრო სრულყოფილი გახდება ...ეუბრუნდები აჭარას: მამა ზაქარიას აჭარაში გაჰყვა ჩემი ძმაც... მაშინ ის ჯერ კიდევ სამოქალაქო პირი იყო,



მაგრამ ორიენტაცია სასულიერო ცხოვრებაზე ოჯახის წინააღმდეგობის მიუხედავად უკვე გაკეთებული ჰქონდა. აქვე აჭარამი მეუღლე იობის ხელდასმით აკურთხეს მღვდლად... მანამდე ცოცხალი ხნით ადრე გადაწყვიტა დაოჯახების პრობლემაც: ცოლად შეირთო ხარაგაულელი (სოფ. ლაშქვანი) მასავით ღვთისმოსავი ლელა შევლიძე, ღმერთმაც უხვად დააჩილდოვათ ღირსეული შვილებით (მერვე დიმიტრი ერთი წლის წინ შეეძინა ამერიკაში) და ცხოვრობენ ტკბილად და ბედნიერად...

სანამ მღვდელი გახდებოდა, მამა პეტრე მანამ ატარებდა საეკლესიო სამოსს, კეთილი აღამიანების მხარდაჭერით მოახერხა და ქუთაისის ავტოქარხნიდან გამოიყვანა სატვირთო ავტომობილი, რითაც ეკლესიის ასაშენებელ მასალებს ეზიდებოდა ხოლმე. უძძიძეს პირობებში უხდებოდა საქმიანობა: სმირად ჩამოდიოდა ხოლმე რუსთავის ცემენტის წასაღებად. დღისით ლოცვისათვის დრო რომ არ დაეკარგა, ღამე მოდიოდა ბათუმიდან, დღისით მანქანას დატვირთავდა და ისევ ღამე ბრუნდებოდა უკან. ერთხელ ისეთი დაღლილი და უძილარი იყო, მარტო არ გავუშვი და გავყევი... მაგრამ მასზე ადრე ჩამეძინა და სადღაც ძირულასთან გადაებრუნლით... გადაერჩით!

სხვაც ბევრი ფათერაკი გადახდომია, მაგრამ, ვთიქრობ, ღმერთი იყარავდა გარდაუვალი უბედურებისგან... რამდენჯერმე ვიყავი მის გვერდით და ბარემ აქვე გამოვთქევა ჩემს შთაბეჭდილებებს მაშინდელ ბათუმზე; დანარჩენი საქართველოსგან განსხვავებით აჭარის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ (ასლან აბაშიძე მყაუც მხედველობაში) მოახერხა და რეგიონში შეინარჩუნა შვილობა, სტაბილურობა, სამუშაო ადგილები (რითაც მთელი საქართველო სარგებლობდა) და, რაც მთავარია, დიდი შემედ აბაშიძის მსგავსად, ქართული სული და ქართული ორიენტაცია... მას მერე უფრო იოლად თმობდნენ ქართულ ინტერესებს, მას მერე უფრო მეტ სიმამხინჯეს დაედო საფუძველი ამ რეგიონში... ამიტომ მე ასლან აბაშიძის როლს ქართულ ისტორიაში დადებითად მივიჩნევ... რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მის განსვენებულ მეუღლესაც ბევრი სიკეთე და

ქველმოქმედება აქვს ნაკეთები... მამა პეტრეს სხედასხვა დროს მოღვაწეობა უხდებოდა ფერიისმიმდებარე სასაფლაოსთან მდებარე ეკლესიაში (სახელწოდება აღარ მახსოვს), ბათუმის წმინდა სამების ეკლესიაში, ბათუმის საკათედრო ტაძარში, ჩაქვის ეკლესიაში, იქვე დააარსა სასულიერო ბაღი. იმ საშინელ წლებში, როცა დანარჩენ საქართველოში ძლიერი ოჯახებიც კი გასაჭირში იყვნენ, ბათუმში მეუფე დიმიტრის ინიციატივით (მამინ მეუფე არ იყო, იყო ბათუმის სასულიერო სასწავლებლის რექტორი მამა დავითი) ფერიაში გაიხსნა მოხუცებულთა სახლი. მოძღვრად დაინიშნა მამა პეტრე. მეც მომიწია რამდენჯერმე იქ ყოფნამ და განსაკუთრებით დამამახსოვრდა... დამამახსოვრდა სასულიერო სასწავლებლის სტუდენტთა სულიერი წრთობა, რომლებიც პერიოდულად ემსახურებოდნენ ხოლმე იქ მყოფ მოხუცებს... სიტყვაშეუბრუნებლად უსრულებდნენ ყველა კაპრიზს... თუნდაც ასეთი ფაქტი: სიგარეტს მომიკიდევ, - ავალებდა ხოლმე ერთი ხელფეხპარალიმებული... არამწვევლი ახალგაზრდა მომვლელი უნდა გასულიყო შენობის გარეთ, მოეძებნა ვინმე მწვევლი (არ იყო იოლი საქმე), მოეკიდებინა და გამოქცეულიყო მოხუცთან, გზაში სიგარეტი რომ არ ჩაქრობოდა... დამეთანხმებით ალბათ, მართლაც უდიდესი მორჩილების გამოვლინებაა. მახსენდება აგრეთვე მასური ნათლობები ჩაქვში მდინარეში ხილთან ღია ცის ქვეშ... ასეთმა ღონისძიებებმა ძალიან შეუწყო ხელი აჭარის ახალგაზრდების შემობრუნებას მართმადიდებლობისკენ... ამ რამდენიმე წლის წინ უწმინდესის ნამდვილად ბრძნული გადაწყვეტილებით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მიავლინეს ქართველი სასულიერო პირები. ამით იქ გადახეწილ ჩვენს თანამემამულეებს საშუალება მიეცემოდათ კვლავ დაბრუნებულიყვნენ ქართული ეკლესიის წიაღში. მჭიდრო კავშირი დაემყარებინათ ერთმანეთთან და დედა-სამშობლოსთან. სულიერი მხარდაჭერა და გაძლიერება სამშობლოდან მოწყვეტილ ადამიანებს არანაკლებ (თუ მეტად არა) სჭირდებათ... ამერიკა და კანადა ბათუმისა და სხალთის ეპისკოპოსს მეუფე დიმიტრის (მიოლაშვილს) მიაკუთვნეს. მეუფემ თავის მხრივ ერთ-ერთ მოძღვრად იქ მამა პეტრე

გაავიწყდება. აქედან ყურადღებას არ აკლებს, იქაც ხშირად ჩაბრძანდება ხოლმე და საერთო საქმე წინ მიდის.

=ბატონო ფრიდონ, ძალიან საყვარელი წიგნები გაქვთ პატარებისათვის, ჩემს საზღაპრეთში უკვე წაუკითხე, ლამაზად და საინტერესოდ ვართმული ცნობილი ზღაპრები.. როდიდან წერთ და რამდენი წიგნი გაქვთ გამოშვებული?

=ზღაპრების წერამდე იყო ზღაპრების მოყოლა... ბავშვობიდანვე კარგი ურთიერთობა ჩამომიყალიბდა პატარებთან, - ჩემებთანაც და სხვისებთანაც... ხშირად ვუყვებოდი ხოლმე ზღაპრებს... ზოგჯერ იმაზე აღრეც კი, ვიდრე ბავშვი ლაპარაკს ისწავლიდა... რისთვისაც არცთუ უსაფუძვლოდ დამცინობდნენ ხოლმე შინაურები: ბავშმა დაიძინა და რაღას უყვები, აწი რაღა უნდა გაივოსო... მე ისტობარს არ ვიტყვდი, ეხლა დაძინება როგორ იქნება, ფინალია მთავარი მეთქი, მაგრამ ჩაძინებულ ბავშვს აღარავინ მიღვიძებდა...

სამაგიეროდ ბავშვებს კი უთქვამთ ერთი-ორჯერ: შენ როცა გვიყვები, თითქოს ვხედავთ კიდევ ზღაპრის პერსონაჟებს და იქ დატრიალებულ ამბებსო... მოყოლისას არცთუ იშვიათად ვუკეთებდი ამ ზღაპრებს ჩემეულ ინტერპრეტაციას, - რაღაცას შევმატებდი, რაღაცას გამოვაკლებდი... ამ „შემოქმედებითი“ მიღვომის შედეგად გამიჩნდა რაღაც პრეტენზიები, რაღაც ამბიციები, რომ თითქოს რაღაც ისე არ იყო და უკეთესადაც შეიძლებოდა... დავიწყე უკვე არსებული ზღაპრების ვალექსვა-გადაკეთება, - ჩემი მიზანი სულაც არ იყო რაღაც ახლის შექმნა, უბრალოდ, მინდოდა, რომ საბავშვო მასალა ყოფილიყო რაც შეიძლება იმაზე უკეთესი, ვიდრე იყო... ამ გადაკეთება-შელამაზებაში შეიქმნა ის, რაც არის... რამდენად მიუახლოვდი მიზანს, -ეს მკითხველმა განსაჯოს... ჩემს ნაცოდ-ვილარში (ძალიან მიყვარს ეს სიტყვა) გარკვეული ადგილი უჭირავს პერსონალურ ზღაპრებს, - კონკრეტული ბავშვისადმი მიძღვნილს... ბავშვის ხასიათისა და იმ გარემოს გათვალისწინებით, სადაც მას უხდება ცხოვრება. ვწერ ხოლმე ბავშვობისდროინდელ ამბებს, მიგადაშიგ სხვა რამე-რუმეებსაც გამოვურევ... სულ ეს არის...

ვიღაცეები კითხულობენ და ამბობენ, მოგვეწონსო, - არაა გამო-  
რიცხული. ვცდილობ, ისე შევათურადო, ისე გავასაინტერესო, იმე  
გაეაზნებორივო და შიგადაშიგ გულის სათუთ ადგილებსაც შევებო ისე  
მტკივნეულად, რომ შეიძლება ვიღაცას მართლაც მოეწონოს...  
ამას წინათ, ასე ვთქვათ, ერთმა ჩემმა პერსონალურმა მკითხველმა  
ასეთი რამ მიაბო: სოფელში ვიყავიო ჩასული მოხუცი დედის  
მოსანახულებლად. ერთხელაც სიმინდის დათუშვა დაიწყო დედა-  
ჩემმა, - ამას ჩემს ნაპონას ვაჭმევო.

- ნაპონა ვინ არის-მეთქი, - ვიკითხე მეო.

- „ნაპონა“ ჩემ ქათამს დავარქვი, ამას წინათ დამეკარგა და სამი  
დღის მერე ვიპოვეო. ერთი მასავით ბებერი ქათამი ჰყავს  
დედაჩემს... დიდი ხანია კვარცხსაც აღარ დებს... სხვა რაღა  
სარგებელი უნდა იყოს მისგან, მაგრამ დედაჩემი მაინც ვერ ელევა...  
ოჯახის წევრივით ელაპარაკება ხოლმე...

- ჯერ ერთი, ქათამის სახელის დარქმევა ვინ გაიგონა და მერე  
მეორეც, თუ მაინცდამაინც სახელი გინდოდა დავერქმია, რაღა  
„ნაპონას“ არქმევდი, სხვა ვერაფერი მოივონე უფრო რომენტიკული-  
მეთქი?!

- შენ რა, ის წიგნი არ წავიკითხავს, მე რომ ჩამომიტანო?

-ჰოო, ბოლომდე არ წამიკითხავს, მტარებელში მიხლოდა წამე-  
კითხა, მაგრამ აქ დამრჩა...

- ჰოდა, იქ არის სწორედ ნაპონა, რომ წაიკითხავ, მერე  
მიხედები, რატომაც დავარქვიო, - დაასრულა ამბის მოყოლა ჩემმა  
ახლობელმა.

ესიამოვნა... „ნაპონა“ ჩემი მოგონებების ერთ-ერთი პერსო-  
ნაჟია... რამდენად უნდა მოსწონებოდა იგი მოხუცებულ ადამიანს, თა-  
ვისი საყვარელი ქათამისათვის ეს სახელი სიბერეში რომ დაერქმია...  
წერის პარალელურად მევე მიხდება ჩემი ტექსტის დაკაბადონება,  
ამობეჭდვა და წიგნად აკინძვაც კი... ძალიან საინტერესო პროცესი  
მგონია და ისეთივე ენთუზიამითაც ვასრულებ, როგორც წერას.

=ახლახან ჩატარდა ქართული საბრძოლო ხელოვნების ფეს-  
ტივალი და ქართული სამოსის დღე- დავათვალიერეს სურათები...



რომელიმე საზოგადოების წევრი ხომ არ ბრძანდებით და რას იტყვით ქართულ სამოსზე საერთოდ... მოგწონთ თუ არა ამ ბოლო პერიოდში ხშირად რომ იმოსებიან ახალგაზრდები ჩოხით?

=დავიწყებ შორიდან:საზოგადოებრივი ცხოვრების ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე სხვადასხვა ქვეყნის ხალხებს მსოფლიო ისტორიის საგანძურში გარკვეული წვლილი აქვთ შეტანილი. ზოგიერთის წვლილი იმდენად დიდია, რომ მის გარეშე დღევანდელი ცხოვრება წარმოუდგენელიც კია, ზოგიერთს კი ცივილიზაციის ვარიანტმა პირდაპირ ბალახნაფარებელს მოუსწრო, - საცვლებიც კი არ ჰქონდა გამოგონილი... როგორია ამ საგანძურში ჩვენი - ქართველების წვლილი. შეუქმნიათ კი ჩვენს წინაპრებს რაიმე ისეთი, რისთვისაც მადლიერი უნდა ვიყოთ მათი და რასაც ამჟამად გადავცემთ ჩვენს შთამომავლობას?! შეუქმნიათ და არა ერთი და ორი... ამ ქმნილებებიდან ერთ-ერთია უნიკალური ქართული სამოსი. ეს სამოსი კიდევ ერთი შტრიხია ქართველის ბუნებისა. რახან ასეა, რატომ უნდა დარჩეს ეს შტრიხი მხოლოდ სამუზეუმო ექსპონატად?! უმჭობესი არ იქნება, ჩვენივე შევავარაოთ ჩვენს შთამომავლობას?! მადლობა დმერთს, ბევრი ღირსეული მამულიშვილი თიქრობს ასე... არა მარტო თიქრობს, ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ეს კეთილშობილური ჩანათიქრი საქმედ აქციოს... ასეთი განწყობით, ღვთის ნებითა და უწმინდესის ხელდასმით შეიქმნა ჩოხოსან რაინდთა დასი, დასს ხელმძღვანელობს ღირსეული მამულიშვილი გოგი დოლიძე. არ ყოფილა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ეროვნული ღონისძიება, სადაც ჩოხოსნებს მონაწილეობა არ მიეღოთ, თავიანთი წვლილი არ შეეტანათ... მოვლილი აქვთ საქართველოს შთა და ბარი, ყველა ქალაქი და სოფელი და ახალგაზრდებს ეროვნული ღირებულებების დასაცავად რაზმავენ. აღადგინეს და დააარსეს ბევრი ეროვნული ღონისძიება, ბევრ ღირსეულ ტრადიციას დაუდეს სათავე, შემოიღეს ბევრი გმირი წინაპრისადმი მიძღვნილი დღესასწაული... მეც მხვდა წილად პატავი, ვმდგარიყავი მათ გვერდით. ვამაყობ ამით, ვალმოსხდილი გავცქერა წარსულს და იმედიანად შეეყურებ მომავალს.გვეზრდება მართლაც ღირსეული მომავალი, ახალ-

გაზრდები სიამაყით ატარებენ ეროვნულ სამოსს, შესაბამისად, იცავენ წინაპართა ადრათ-ჩესებს ისე, როგორც ეს ჩოხოსნებს ეკადრებათ. განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ ისეთი მნიშვნელოვანი რიტუალი, როგორცაა ჯვრისწერა, იშვიათად ჩაივლის ჩოხის გარეშე.

=სამშობლო და სიყვარული განუყოფელია... თავისუფალ სიტყვას და საყვარელ საქმეს მოაქვს მამაკაცისათვის ბედნიერება... მწერლობა ადამიანისათვის ბედნიერება, მე ასე ვუთქრობ... კიდევ რა დროს ხართ ბედნიერი? (შინდა ოჯახზეც მომიყვებ)

=ბედნიერი ვარ იმდენად, რამდენადაც ჩემს გარშემო ყველა ბედნიერია. რადგან ოდესღაც სადღაც ვიღაცას რაღაც პრობლემა მაინც ექნება, ბედნიერებაც ვერ იქნება სრულყოფილი... ილიაკოს სიტყვები მახსენდება: „ქვეყანა თუ ინგრევა, შენ რა გიხარია, შე აბდალო, სიხარულის კურცხალი მდის თვალებიდანო, რო იძახი“... სხვა მხრივ პირადი პრობლემები ასე თუ ისე მოგვარებული მაქვს. მყავდნენ ღირსეული მშობლები და წინაპრები, რომლებიც დღეს ცოცხლები აღარ არიან, მაგრამ ღირსეულად იცხოვრეს და ლამაზი კვალი დატოვეს ამქვეყნად. მყავს ერთგული შეუღლე და ორი შვილი. ქალიშვილი გათხოვილია, ცხოვრობს ტკბილად და ბედნიერად თავის საყვარელ შეუღლესთან და როცა იქნება, მეც გავხდები ბაბუა... ვაჟიშვილი ჯერ არ დაქორწინებულა. დამოუკიდებლად იკვლევს გზას მომავლისკენ, მუშაობს საკუთარი პროტესით, - არქიტექტორია. მრავლად მყავს დედამამიშვილები, მათი შვილები, ნათესაუები, მეგობრები, მეზობლები... ყველანი ღირსეული ადამიანები არიან... შეიძლება ბევრს არათერს ნიშნავდეს, მაგრამ სიგარეტსაც კი არაფერს ეწევა ჩემს საახლობლოში, - ყველანი ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრობენ... ამ ბოლო სიტყვებისთვის ნუ დამძრახავთ... ამით ჯანსაღი ცხოვრების წესის ავიტაცია ვერევი მხოლოდ, თორემ სიგარეტს ისეთი ადამიანებიც კი ეწევიან, რომელთა თუხის მტვრადაც არ ვღირდე იქნება...

= ქველმოქმედება და სიკეთე ადამიანის სულს წარმოაჩენს., ცოტა ხნის წინ თქვენ, ოდიონელებს საუკეთესო საჩუქარი გავგიკეთეთ

- კრებული დაგვიფინანსეთ და გაჩუქეთ, ამისთვის კიდევ ერთხელ ვიხდით მადლობას..

=ადამიანები ზოგჯერ ისე ჩავეფლობით ხოლმე ყოველდღიურ პრობლემებში, ისე მივეჩაჭვებით საკუთარ ლუკმას, ისე ტრაგიკულად აღვიქვამთ ყოველ აგურს, რომელიც სახლამდე ვერ მიგვიტანია, რომ გვერდზე გახედვას ვეღარ ვახერხებთ... მერე აღმოჩნდება, რომ თითქოს ყველაფრით ვართ უზრუნველყოფილი, მაგრამ სრულყოფილებას მაინც აკლიარაღაც, აკლია მთავარი - სულიერი კომფორტი...

ამ დროს ვიღაც დონკიხოტური სიჭოტით უშედეგოდ ეჭიდება ქარის წისქვილებს, - ვამჩნევთ და გველიძება... კვლავ უხედავთ შეუპოვარ ბრძოლას საერთო საქმისათვის, - უკვე აღარ გველიძება, დისკომფორტს განვიცდით, - ვიღაც ჩვენი გულისთვის ოფლს ღვრის, მადლიერება მაინც გამოვხატოთ, ხელი შევაშველოთ, ოფლი მაინც მოეწმინდოთ...

ის მაინც იბრძვის, თუნდაც მარტოა, თუნდაც უშედეგოდ... საკუთარ ნაჭუქში თაფარგულებს გვახსენდება, რომ ყველა გზა როდი მიდის სამოვარზე... ზოგი ტაძრისკენ მიემართება, საიდანაც მატერიალურს ვერ მივიღებთ, - პირიქით, შეიძლება გაცემამაც მოგვიჩიოს, შეიძლება კი არა, ვალდებულებიც კი ვართ, იქაც მივიტანოთ ჩვენი წილი აგური...ეს გაცემაა, სულს და გულს მაღამოდ რომ ედება... „რასაცა ვასცემ შენია, რაც არა - დაკარგულია“ - ცყვილად ხომ არ უთქვამს ჩვენს დიდ წინაპარს...კაცი მაშინ ვართ, - ადამიანი... რაღაცას მაშინ წარმოვადგენთ, თუკი გაცემას ვახერხებთ... თუ ვერა, მაშინ არარაობა ვართ, არც ვარსებობთ... ბევრის გაცემაა საჭირო?! - სულაც არა, იმაზე ცოტათი მეტის, ვიდრე შეგვიძლია... რაც მეტი გავაცნობიერებთ ამ ფილოსოფიას, მით მეტი კაცები იქნებიან ამ ქვეყანაზე, მით მეტი აგური დაიდება აგურზე და მით მალე ამუნდება ტაძარი... ბუნებრივია, მეც მაქვს კაცობაზე პრეტენზია, ამიტომ ვცდილობ, რაღაც გავცე, გავცე მათთვის, ვინც ამას იმსახურებს... თუნდაც აენასად,- იმათთვის, ვინც რაღაცად ღირს... „ვინც რაღაცად ღირს“ - ეს აუცილებელ პირობად მიმაჩნია,

რადგან დაწერილ არს: ნუ დაუყრით ღორებს მარგალიტს... ამისთვის არც მე ვარ მზად... ქველმოქმედებაზე და საზოგადოებრივ საქმიანობებზე როცა ვლაპარაკობ, გვერდი როგორ აუეარო ჩვენი მასპინძლის (გვარს არ დავასახელებ) მუხლიაღხრელ შრომას ინვას უბანში, რომელიც ფეისბუქიდანაც კი ნათლად ჩანს და იქ რაღა იქნება... ეს აქტივობა ჯაჭურ რეაქციისავეით გადაედება იმ ახალგაზრდა თაობას, რომლებიც სულიერ საზრდოს იქ, იმ უბანში ღებულობენ... მადლობა მას ამისათვის! ეს ინტერვიუც ხომ ამ საზოგადოებრივი აქტივობის შედეგია?!

=ღმერთმა მოგცეთ სიკეთის კეთების სურვილი და შესაძლებლობა... პოდა, რა შეგმატათ ხარაგულში, ჩვენთან ერთად გატარებულმა ორმა დღემ?

=რა შემმატა ოდენზე გატარებულმა ორმა დღემ: ის გაცემის ფილოსოფია, რომელზეც ზემოთ მოგახსენებდით და რომელიც ყველა ქართველს გულის ფიცარზე აქვს ამოტვიფრული, იქ შევიგრძენი ყველაზე ცხადად: მე-9 წელია იმა ვეფხეაძე და მისი გუნდი შიშველი ენთუზიანზმით უანგაროდ ატარებს ლიტერატურულ კონკურსებს. გულუხვად გასცემს სიკეთის უპრეტ წყაროს... სანაცვლოდ რა მიიღეს? შამინდელ ხელისუფლებასთან დაპირისპირება, უსამართლო სასამართლო დავები... წინა კონკურსის ჩატარება ლამის იატაკქვეშ, კონსპირაციულად მოუხდათ თურმე... ფარ-ხმალი მაინც არ დაუყრიათ, კიდევ უფრო მეტი შემართებით, კიდევ უფრო მეტი თავგანწირვით, კიდევ უფრო მეტი გულუხვობით შეეჭიდენ უანგარო სიკეთის კეთებას... ძნელი იყო, მისი ეს სიკეთე არ შეუმჩნიათ და შეამჩნიეს კიდევ: მის გვერდით ჩვენ ენახეთ დიდი და პატარა, სუსტი და ძლიერი, შეძლებული და უპოვარი... ყველა სიკეთით შეპყრობილი და სიკეთის მატარებელი... ყველამ მოიტანა თავისი წილი აგური და ტაძარიც აშენდა! აშენდა სიკეთის ტაძარი! ე.ი. შესაძლებელი ყოფილა... ე.ი. კიდევ ბევრი ასეთი ტაძრები აშენდება!

=სიხარულს და წინსვლას ვისურვებთ... დიდი მადლობა... ეს არის ძალიან, ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი ინტერვიუ. უღრმესი მადლობა, ქალბატონო ინგა, ამ ინტერვიუსათვის, იმის მიუხედავად, გამოიყენებთ თუ არ გამოიყენებთ... უფრო სწორად, გამოგადგებათ თუ არ გამოგადგებათ... მე კმაყოფილი ვარ... ისეთ თემებზე მომინია შეჭიდება და ჩაღრმავება, რასაც, ალბათ, საკუთარი ინიციატივით არ შეგეხებოდა...

ინგა გოგიბერიძე, ფრიდონ მალრაძე  
ბათუმი- თბილისი, 2014 წელი 24 ოქტომბერი

სულით" - ინტერვიუ მწერალ როზა ადამიასთან.

=მოვესალმებით ქალბატონო როზა, არა როზა მასწავლებლო... იმიტომ მასწავლებლო, რომ კარგა ხანია არ მინახავს ასეთი სიყვარული შედაგოვსა და მოსწავლეებს შორის რაც თქვენი წიგნის პრემიენტაციაზე ვიხილე... მოყოლებული მაგ დღიდან, კიდევ მეტს თქვენს სოციალურ ვებრდზე ვხედავ... რატომ აირჩიეთ პროფესიად შედაგოვობა?

=გამარჯობა, ინგა საყვარელო! მივესალმები შენს ძვირფას მეთხველეხსაც... დიდი მადლობა თბილი შეფასებისთვის... სიყვარული შობს სიყვარულს... მე შედაგოვობა არ ამირჩევია... პროფესიით ჟურნალისტი ვარ... თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტი დავამთავრე... ბატონი ნოდარ ტაბიძე ვახლდათ ჩემი დეკანი, რომლისგანაც ვისწავლე ცხოვრების ესთეტიზმი...ეს კი ძალიან მთავარი და თითქმის ყველაფერია ცხოვრებაში....

=ნამდვილად შეგონა რომ მოწოდებით შედაგოვი იყავი. თუმცა ვხედავ რომ ყველაფერს, რასაც აკეთებ ძალიან დიდი პასუხისმგებლობით და სიყვარულით აკეთებ... სწორედ ესაა ჩემთვის მთავარი ცხოვრებაში... სწორედ ამიტომ ამოვირჩიე რესპოდენტად, სწორედ ამიტომ ჩამოვედი ფოთში შენი წიგნის პრემიენტაციაზე... ფოთი ხომ შენ და ირაკლი შამათავამ შემაყვარეთ... ეს წიგნი კი შენი გრძნობიერი ცხოვრების შეჯამებაა. ასე თვლი შენ... მაინტერესებს როდის დაიწყე წერა ?

=წიგნი დიდი ხანი იწერებოდა ცხოვრების სახით... მერე შეჯამდა და ქალაქდზე გადმოტანა ტექნიკის ამბავია... ტექნიკა კი დღეს ძალიან იოლად გვარდება.

=იმდღევანდელ ჩანაწერს ვაფიხსენებ-როზა ადამიას!მადლობთ მეგობარო წიგნისათვის. "...შენ ნიღბიანი ადამი ხარ, მე კი შიშველი, ღარიბი ევა და ჩემს შიშველ, ღარიბ ადამს ვეძახი"-წერს როზა ადამია. შეულამაზებელი ჭეშმარიტება, ღრმა ფილოსოფიური და გუ-

ლიდან ამოსული ნააზრევი... ჭრილობაზე დაყრილი მარილივით რომ გტკივა სიყვარული, სამართებლივით რომ ვისურავს გულს მეგობრის განცდა, უიმედო გულისთქმასრომ გინდა მიწაში ჩამარხო, მაგრამ ამ მიწიდანვე სიცოცხლის მარცველებს ეძებ... ეს არის როზა ადამიას - აბსტრაქცია, ანუ მე - მასწავლებელი. დიახ ასე აღვიქვი მე შინი პირველი წიგნი - აბსტრაქცია, ანუ მე -მასწავლებელი სიყვარულის სადიდებელი წიგნი... მკითხველს აქ ბევრი ფიქრი და გონების დაძაბვა სჭირდება, ფილოსოფიური აზრებით გაჯერებულია... პირადად მე ძალიან მომეწონა... წიგნის გარეყდაზე კი მინიშნებაა, რომ მეორე წიგნი პოეზიას დაეთმობა-- პროზაშიც და პოეზიაშიც სკადე კალამი... რომელ ტექსტზე უფრო ადვილად მუშაობ და რა გზიბლავს ან არ მოგწონს თანამედროვე პოეზიაში?

=მე იმპულსურად და ემოციურად ვმუშაობ... არათური არა მაქვს გათვლილი ცხოვრებაში... როცა ვანეციდი რაღაცას... ვადის დრო... იხარება გონების ქურაში და ამგვარად ვადმოდის ქალადზე... თანამედროვე ლიტერატურაში მომწონს რაც ნაღდია, რაც გრძობ, რომ ჭვარციმთაა დაწერილი... დანარჩენი მაკულატურაა და წლები წალეკავს... ასე იყო... ასეა და ასე იქნება..

=როგორ ფიქრობ, პოეტი ამბიციური უნდა იყოს? ასეთი აზრიც კი დადის სოციალურ გვერდზე, რომ ყველას გენიოსად მოაქვს თავი ვფიქრობ მწერალი დროს უნდა ეხმიანებოდეს და არა საკუთარი თავის გამოჩენაზე ფიქრობდეს.

=მე არ ვიცი რას ნიშნავს ამბიციურობა...როცა გაქვს სურვილი წარმოაჩინო საკუთარი ცოდნა? სასაცილოა... ცოდნას რომც გინდოდეს ვერ დამალავ... გააჩნია როდის რას წარმოაჩენ... მე რომ ჩემი წიგნი ათი წლის უკან გამომეცა, არ მომეწონებოდა ჩემი თავი... სათქმელი და პიროვნება დახვეწილად უნდა წარსდგეს საზოგადოების წინაშე... ვფიქრობ, მწერალს უპასუხო კითხვები არ უნდა ჰქონდეს... პასუხები კი ცხოვრებას მოაქვს...

=ზუსტად ეს ცხოვრებაა რთული, ძნელია ფეხის აწყობა . ვფიქრობ გულის აწყობა უფრო ადვილა ვიდრე ფეხის..... ჰოდა, თქვენი სტატუსები სიყვარულზე უფრო მამაკაცის სიძლიერეზეა, რაც

ასე უნდა იყოს... როგორ ფიქრობ, ნამდვილ სიყვარულში მამაკაცის გრძნობა უნდა დომინირებდეს თუ არა, თუ ორივეს ერთნაირად უნდა უყვარდეს?

=გრძნობა თანაბრად უნდა ჰქონდეს ქალსაც და კაცსაც... ფუნქციები და როლებია სხვადასხვა...მამაკაცი მომპოვებელია... ქალი მიმღები და შემნახველი... ისტორიულად ასეა...ოღონდ მოპოვებაც და მიღებაც დღევანდელ ქალსაც და მამაკაცსაც მხოლოდ მაგერიილურად ესმის.ძალიან ხორციელი გაგვიხდა სმენა და ხედვა....

=რა არის თქვენთვის სიყვარული - იგი იღუმალებაში გადაღის თუ რელაურს ერწყმის?

=სიყვარული ცხოვრების სტიმულია.....უსიყვარულოდ ყველაფერი უღიმღამოა, უფერული,უსიცოცხლო...

=მართლაც მასეა კი...მაშინ სამშობლოზე გადავიდეთ... როდის მოდის შენთან სამშობლოსათვის მთავარი სათმელი?

=სამშობლო მუდამ თან დამყავს სულით...

=ასეც ვიცოდი, იმიტომ, რომ ძალიან რთული თემა გაქვს არჩეული მესამე წიგნისათვის - „ვეფხისტყაოსანი“ -ოცდამეერთე საუკუნის ქრისტიანული აზროვნების ანბანი. ვეფხისტყაოსანი ხომ სიყვარულის ოდაა, ჩვენი პირველი საგანძურიაააა... ალბათ ამიტომაც დაგაქვს გულით სამშობლო... რა სტადიში ხარ ეხლა და რა არის შენი მთავარი სათქმელი ამ წიგნით მომავალი თაობისათვის?

=„ვეფხისტყაოსანი“მე არ ამირჩევია... თავად ამირჩია..წიგნი დაწერილია და სმონსორს ელოდება.. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ წაიკითხონ ჟურნალშიც"იღუმალების სამყარო" ...ეს ჩვენი სულია...უკვდავი და ჩვენთვისაც უცნობი სული,რომელსაც შევებე პირველად, შემეძინდა კიდევ.....

=უბროლოდ მეგობრობაზე?.....

=მეგობრობა ერთნაირი სულების ერთიანობაა ჭირსა და ლხინში...

=მე ვფიქრობ უფრო ლხინში...მინდა ბედნიერს გხედავდე მუდამ!!დიდი მადლობა და წარმტებები.

=მადლობა თქვენ!

P.S. არ ვიქნები მართალი, რომ მწერალთან ინტერვიუ დღეს ისე დავასრულო, ჩვენს ქვეყანაში გახშირებულ მკვლევლობებზე არ შევეკითხო..... რას თქვობთ ამაზე?

=დღევანდელი გახშირებული მკვლევლობები ჩვენი უმწიფარი სულის გამოძახილია... როცა ვიყვარს, არ კლაფ...ეს აქსიომაა!თავიც ხომ მოიკლავ, ვაჟკაცი ყოფილაო.... არა ჩემო კარგებო...ეს რომ გვეონია ვაჟკაცობა, იმიტომაა ჩვენი საქმე კარგად...' ,საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისგანო..." ეს ჩვენი ბრძენი წინაპარია და უფრო ხშირად რომ ვუსმენდეთ მას და ცხოვრებაშიც ვხელმძღვანელობდეთ მისი სიბრძნით,ასეთ დღეში არ ვიქნებით... ემოცია და ვნება გვეონია სიყვარული....არადა,მთელი ფილოსოფიაა... ვერ მოკლავ შავ ღროს ვერც შენს თავს და ვერც-სხვას...

მადლობა ქალბატონო როზა, მომავალ შეხვედრამდე!!

ინგა ვოგიბერიძე

როზა აღამია

ბათუმი ფოთი, 2014 წელი

“მერე გავუშვით მოგონება, თავისით უნთოს”.....

=მოვესალმებით ქალბატონო ლანა....

„ორი სევდის ცბა შენს შოლოდინში ლანდად რომ იქცა“-ეს თქვენი ლექსიდანაა... თქვენი თვალუბიც ასეთივე სევდას ასხივებს... გარეგნობაც... შგონი ამიტომაც ხართ ასეთი ნატიფი და იდუმალი... მე ასე ვხედავთ, მე ასე ვფიქრობ... სწორედ ამიტომ გამიჩნდა სურვილი ჩამეხედა თქვენს თვალუბებში... ინტერესი ხომ მეტი არაფერია, სულის გამომხეურება... პოდა, ჯერ თქვენი გვარის ისტორიაზე ვისაუბროთ, საიდან მოდიხართ?

=მოვესალმებით ქ-ნო ინგა. შევეცდები ისეთივე გულახდილი ვიყო თქვენთან, როგორც ჩემს პოეზიაში ვარ. ჩემი წინაპრები მესხეთიდან, კერძოდ ახალციხიდან თელავში მეცხრაშეტე საუკუნეში გადასახლებულან. მიზეზი არ ვიცი, შეიძლება ოსმალოების ბატონობას გაერიდნენ. გადმოცემით ვიცი, რომ ისინი კათოლიკურ ეკლესიას ეკუთვნოდნენ და თავიანთ თავებს ფრანგებს უწოდებდნენ. ეს ერთგვარი თავდაცვითი ტაქტიკა ვახლდათ,რათა გამუსულმანება აეცილებინათ. თუმცა, მაინც მოუწიათ მშობლიური ადგილების მიტოვება.

=მესმის ქალბატონო ლანა, თუ არა მე, აჭარის მკვიდრი, ჩემზე მეტად ვინ გაგიგებთ ამ ისტორიის სიმძიმეს... სიმძიმეს, რომელიც ამ თაობას დღემდე შემორჩა... შემორჩა და სათუთად ინახავს წარსულს

...ბავშვობის თემას გავაგრძელებ თუ გავახსენებთ, რომ პატარა სურათი გაქვთ თქვენს სოციალურ გვერდზე. ველის მედალიონში მოთავსებულია ორი პატარა გოგონა რომლებსაც სიცოცხლე უხარიათ... ხარობთ... ეს თქვენი ბავშვობაა, როგორც მივხვდი. ველის მედალიონში შენახული ბავშვობა.. ვაგვიჩინდათ დილობაში გადასვლა? ამაში პოეზია დავგეხმართ?

=მაგ ფოტოში მხოლოდ მე ვარ გოგონა,მეორე ბავშვი ბიჭია,დღეაჩემის მეგობრის შვილი. მე ბავშვობაშივე ვამიჭირდა

დიდობა, მაშინ როდესაც ჩემი მშობლები ერთმანეთს დაშორდნენ. იქიდან შეიცვალა ჩემთვის სამყარო. დარდიანი და მოცხენებ გაეხდნენ. თუმცა შეიძლება თავიდანვე რალაც ღობით მაინც შქონდა მარტოსულობა და სევდა ხასიათში, ამ ამბავმა კი ნაადრევად გამოკვეთა. დედა და მამა თელავის თეატრის მსახიობები იყვნენ. მუც ძალიან მიყვარდა თეატრი. ოცნებითაც სულ თეატრზე ვოცნებობდი, მსახიობობა მინდოდა.

=ქალბატონო ლანა. ისეთი ნატიფი გარეგნობა გაქვთ ნამდვილად ულამაზესი მსახიობი დადგებოდა თქვენგან, მაგრამ მგონი მწერლობაც არ არის ცუდი არჩევანი... როდის მოფრინდა თქვენთან შუბა, რამდენი წიგნის ავტორი ხართ და სხვებივით თქვენც შვილებივით გიყვართ ეს წიგნები?

=შუბა ჩემთან ბავშვობაშივე მოფრინდა, წერა-კითხვა ახალი ნასწავლი მქონდა, თუმცა იმდროინდელი ალარაფერი მაქვს. ახლა ხუთი წიგნის ავტორი ვარ. გავაცნობთ, ესენია - ლექსების კრებული „ამ გზას არ მიყვარს საქართველოში“, მოთხრობები „აილინი“, ნარკვევი „თურქული კინოს ისტორია 1914-1988წწ.“ ლექსები, თარგმანები „ჩემი სულის ანაბეჭდი“, ინტერნეტ ისტორიები „ვირტუალური ურთიერთობები“. შეექვსე წიგნად დაუასახელებდი თურქი კლასიკოსი მწერლის რემათ ნური გუნთეჟინის რომანის „ნარჩიტას“ ჩემეულ თარგმანს, რომელიც შარმან გამოსცა ერთერთმა გამომცემლობამ. რა თქმა უნდა მიყვარს ჩემი წიგნები, მათაც შვილებივით სჭირდებათ მოელაპატრონობა.

=ნამდვილად არ ვიცოდი, რომ წიგნს, რომელიც თავის დროზე მგონი მთელ საქართველოს შქონდა წაკითხული ახალი თარგმანი შქონდა და ეს მთარგმნელი თქვენ იყავით. მოვძებნე ჩვენს ფონდში და გამიხარდა რომ ვიპოვე კიდევაც..... ბენიერებაა არა თავისუფალი სიტყვის ქონა, სიყვარულის არსებობა შენში, სამშობლოს სიყვარულის შეგრძნება ძვალსა და რბილში - ეს იგრძნობა თქვენს ლექსებსიც და პროზაშიც... რა არის თქვენთვის რეალური სიყვარული?

=რეალური სიყვარული მთლად რეალურიც არაა ჩემთვის - ეს არის რეალურის და ირეალურის შერწყმა ჩემში, ჩემს ოცნებებში, ფიქრებში...

=ასეც ვგრძნობდი, რომ თქვენი სამყარო რეალურის და ირეალურის შერწყმა იყო... უბრალოდ მაინტერესებს, უმძღვროდით თუ არა იავენანას თქვენს ულამაზეს ქალიშვილშვილებს და რას ფიქრობთ ქართულ ტრადიციებზე?

=სამი გოგონას დედა ვარ. სამივეს უმძღვროდი იავენანას, როგორც შემქმლო ჩვილობაში მათთან ძალიან სათუთი ურთიერთობა მქონდა. რაც შეეხება ქართულ ტრადიციებს - ხშირად ტრადიცია ძველდება და თანამედროვეობა ვეღარ უწყობს თებს. ხდება მათი გაუფასურება და უარეს შემთხვევაში გაქრობაც კი. ამისთვის ნურავის გაკვიცხავთ. მთავარია ეროვნული სული და ფასეულობები შევინარჩუნოთ.

=შესანიშნავი პასუხია.. მაღლობთ.

=ლიტერატურული თარგმანი ვფიქრობ ძალიან რთულია.. თქვენ კი კარგად აუღეთ ალღო... რა თარგმნეთ ამ ბოლო პერიოდში და როცა თარგმნით, ცხოვრობთ თუ არა იმ მწერლის წარმოსახვაში, რომელსაც თარგმნით?

=სულ ბოლოს თანამედროვე თურქი მწერლის ჯებში ერსოზის ორი ნოველა „მონატრება“ და „ნღობა“ ვთარგმნე. ამ მწერალთან ქართველი მკითხველის შეხვედრა ცნობილი ლიტერატურული ფურნალის საშუალებით მოხდა. სათარგმნად ყოველთვის ისეთ ნაწარმოებს ვირჩევ, რომლის პრობლემატიკაც ახლოსაა ჩემს სულთან, სხვანაირად გულს ვერ დაუღებ და ეს თარგმანსაც შეეჭყობა.

=ძალიან კარგად მესმის თქვენი, ამიტომაც ასეთ შეკითხვას მოგცემთ- მოწყდებოდით თუ არა როდესმე საქართველოს მიწას?

= წლების წინ დიდხანს მომიწია საქართველოდან შორს ცხოვრება, რაც რთულად გადავიტანე.

=ჩემს ცხოვრებაშიც იყო ასეთი რთული პერიოდი და არცერთ ქართველს არ ვუსურვებდი ამ განცდას!!! დაუბრუნდეთ ჩვენს

საყვარელ საქართველოს და აქ არსებულ ლიტერატურულ ცხოვრებას. რომელ ლიტერატურულ კონკურსებში გაქვთ მიღებული მონაწილეობა? როგორ ფიქროთ კონკურსებში გამარჯვება ან დამარცხება მოქმედებს შემოქმედის ისტორიაზე, სასიათზე, მის შემდგომ განვითარებაზე თუ არა?

=მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატურულ ფესტივალებში მიყვარს მონაწილეობის მიღება, კონკურსებს თვალს არ ვადევნებდი ხოლმე. ამ ბოლო დროს დაეინტერესდი და ორ ლიტერატურულ კონკურსში ვიღებ მონაწილეობას. კონკურსში გამარჯვება ერთგვარი სტიმულია შემოქმედი ადამიანისთვის.

=უამრავ გამარჯვებას ვისურვებთ ქალბატონო ლანა, სიხარული და სიყვარული არ მოგაკლოთ ღმერთმა... იქნებ ერთი ყველაზე ლამაზი დღის ისტორია მოგვიყვებო...

=ყველაზე ლამაზ დღეს ჯერ კიდევ ველოდები...

= ელოდებით, რა სასიამოვნო განცდაა კარგის მოლოდინი... მაშინ კითხვას შევიბრუნებთ

=აუხდენელი ოცნება თუ გაქვთ და რას ისურვებდით ყველაზე ძალიან.. არ დაგაეინწყდეთ, თქვენ, მებღაპრეს აძლევეთ ინტერვიუს და ვფიქრობ რომ ყველა სურვილი ავისრულდებათ.

=ოცნებები ? ოცნებები არ ამხდენია, თუმცა ისეე მჭერა მათი ახდენის... სურვილით კი გაერთიანებულ, განთავისუფლებულ და ძლიერ საქართველოს ვისურვებდი!

=მადლობა ქალბატონო ლანა, ახლა კი ცისკენ გაიხედეთ- შეხედეთ, ციდან შენი ვარსკვლავი მოსწყდა, ზუსტად ის დრო დადგა, სურვილები რომ უნდა ჩაიფიქრო და ავისრულდება... განა პატარაობიდან არ მოგწონდა ცისკენ ყურება. რა სახელებს არ მოიფიქრებდი და დაარქმევდი იმ ვარსკვლავებს, მთვარიან ცაზე რომ დაბორილობდნენ. იმ ღამეს, თუ კი ვარსკვლავები ვერცხლისფრად ანათებდნენ, ყოველთვის სასწაული ხდებოდა შენთვის.. მთვარეს, რომელსაც მუდმივად გზა ებნეოდა შინისკენ მიმავალი, და რომელსაც შენ ეგულბოდი მეგზურად, უცებ სიმღერა მოუნდებოდა. როგორც კი სიმღერას დაიწყებდა მისი ნაკვალევი იშლებოდა და



მხოლოდ ხმა ისმოდა ტკბილი და მიუჩვენებელი. მთვარე ზოგჯერ ბურთივით მრგვალი ხდებოდა, გადაგორდებოდა თვალუჩვდენელ ცის უსასრულობაში და ასე ტრიალებდა ცის ტატნობზე. ვარსკვლავები ამ დროს მის გვერდით ყოფნას ერიდებოდნენ, ძალიან მრგვალი იყო და ღრუკადაი. ეშინოდათ, თავიანთი ჩვეტიანი ქიმებით უეცრად არ შეხებოდნენ მის ზედაპირს და რაიმე არ დაეზიანებინათ. მხოლოდ ნახევარ მთვარედ რომ იწყებდა გადაქცევას, მაშინ უახლოვდებოდნენ და ბედავენ თვალეში ჩაეხედათ... .. მაშინ კი მთვარე სიმღერას იწყებდა და გაუჩინარდებოდა. ასე, ვერავენ ხედავდა მის მკრთალ ნათებას და ნაკვალევს. შენ კი ხმით აგნებდი. რადგანაც, ცის ტატნობის ბატონ-პატრონი იყავი. არასოდროს შეგშლია არცერთი ბილიკი და გზა, სადაც მთვარე სახლობდა. იმ კიბეზე, რომელზეც ყოველ ღამე ადიოდა და ჩამოდიოდა მუდამ თავისუფლება იყო, თუხი რომ არ დაცურებოდა. შეხედე, რამდენი ვარსკვლავია ცაში ამას ვინ დათვლის! შეხედე, რამდენი სურვილი სრულდება! ამასაც ვინ მოთვლის. შენ ითვლიდი მხოლოდ იმ ბილიკებს, ნაკვალევს და კიბეების რაოდენობას, სადაც მთვარე ზოგჯერ ვერცხლისფერი, ზოგჯერ თეთრი და ზოგჯერ უფერო ნათეხურებით დადიოდა. ამიტომაც შენთვის მუდმივად ის დრო იღვა, ციდან ვარსკვლავი რომ მოსწყდება, სურვილი რომ უნდა ჩაითქრო და აუცილებლად აგისრულდება. შეხედე ციდან შენი ვარსკვლავი მოსწყდა.

ოცნების ახდენას გისურვებთ.

დიდი მადლობა ქალბატონო ლანა თქვენც მადლობას გიხდით ყურადღებისათვის  
ინგა გოვიბერიძე  
ლანა მანველი  
ბათუმი-თბილისი 2014 წელი

გასაუბრება პოეტ გიორგი კეკელიძესთან ბათუმში „გურული დღიურების“ წარდგენის წინ - შინაურულ ლაპარაკში „რაფერ“, „რაცხა“ და „რეიზა“ მიყვარს.

მოგესალმებით ბატონო გიორგი... მიხარია, „გურული დღიურების“ გზამ ასე სწარფად ბათუმში რომ შემოუხვია...

= „ძენც გურული, მეც გურული, ორივე ვართ მოდღურული“ ხომ გაგიგონიათ ეს გამოთქმა... ჰოდა, მაინტერესებს, რა განსხვავებას ხელაფთ ქალაქში გაზრდილ გურულსა და სოფელში გაზრდილს შორის?

= ზოგადად - განსხვავება დიდია. ადამიანს გარემო, სოციალური აყალიბებს დიდწილად. მაგრამ არის ნიუანსები. რომელსაც ძალიან ხშირად ვგრძნობ ხოლმე - გურული ალბათ ყველაზე ძნელად „იცილებს“ გურულობას. მისი იმპულსურობა, სისხარტე, აქცენტები კი, დიდხანს ნარჩუნდება. ეგ კი არა, ლევილში მცხოვრები ქრისტიან ფაღაფა დღემდე გამართული „გურულით“ ლაპარაკობს და რაც მთავარია ცყემალი და ღვებელი არასდროს ავიწყდება.

= კი ნამდვილად ასეა. ეს გურული იმპულსურობა ვერც მე მოვიცილე... საუბრის ლექსიკონიდან ვერ ამოვაგდე სიტყვა „ბაღანა“ და „გაგაშარშვალე“.. რომელი გურული სიტყვა დარჩა სამუდამოდ თქვენს ლექსიკონში?

= ჩემს საჭარო საქმიანობიდან გამომდინარე დიალექტიზმებს ცხადია ვერიდები. მაგრამ შინაურულ ლაპარაკში „რაფერ“, „რაცხა“ და „რეიზა“ მიყვარს.

= შეკთხვაც არ უნდა, რომ „გურული დღიურები“ გურიის უსაზღვრო სიყვარულმა დაგაჩერინათ, მაგრამ რამ მოგვათ მთავარი ბიძგი ამ საოცარი ისტორიის დასაჩერად? ის „რაცხა“ რა იყო?

= გურიის სიყვარულმა და გურიის ცოდნამაც. ჩემი ბავშობის ტკივილებმა და სიხარულებმა. ასევე ვარკვეულმა ვალმა იმ ადამიანთა მიმართ, რომელთა შორისაც ვიზრდებოდი.

= თქვენი „გურული დღიურების“ კითხვის დროს „ტკივილი უფრო მეტი იგრძნობა... იქნებ თბილისში თავს როგორც „ემიგრაციაში“

ისე ვგრძნობთ და ამან უფრო გიბიძგათ „გურული დღიურების“ დასაწერად?

=არა, თბილისში თავს ემიგრანტად არ ვგრძნობ. ეს ქალაქი ჩემი მნიშვნელოვანი ნაწილია. (გურულები თავს ემიგრანტად ჩვენს დედაქალაქში კი არა, ჩიკაგოში არ გრძნობდნენ:)

=მართლაც, პირველი „ამერიკელი გურულები“ არ გამხსენებია... როგორც თქვენ ამბობთ „გურული დღიურები“ თქვენი პრობაში გადასვლის დასაწყისია, რა არის შემდგომი, მომავალი

=როგორც ამბობენ, მომავალს, მომავალი გეიჩვენებს. პოეზიას არ ვტოვებ. მინიატურების მიმართულებით ვმუშაობ, მაგრამ ახლა რამდენიმე პროზაული პროექტიც მაქვს და ვნახოთ. მადლობთ ბატონო გიორგი... ბათუმი მოუთმენლად ელის თქვენთან და „გურულ დღიურებთან“ შეხვედრას'


ქ. ბათუმი. 1 დეკემბერი..

2014 წელი.

ინგა გოგიბერიძე

გიორგი კეკელიძე

ბათუმი და მსოფლიო ბათუმი.



=მოვესალმებით ბატონო გია... მოხარული ვარ რომ მალე აჭარას ვწვევით და ბათუმელ მკითხველს გაახარებთ... როდის დაიწყებ წერა და რა არის თქვენთვის პოეტობა?

=მიხარია, რომ მალე ვეწვევი ჩემს საყვარელ აჭარას. ენახავ ძვირფას ბათუმელებს. პატარა საქართველოს ყველა კუთხე ხომ ერთმანეთზე ლამაზია და ხალხიც ერთმანეთზე უკეთესი, სტუმართმოყვარე და თბილი. ამიტომაც არასოდეს გამომიცალკავებია ერთმანეთისგან თუ რომელი კუთხე უფრო მიყვარს. ეს სიტყვა, პატარაც, სიყვარულმა ათქმევინა ჩვენს წინაპარს, პატარა ხომ ყოველთვის საყვარელია, ტკბილი და მოსაფერებელი. რაც თავი მახსოვს ლექსს ვწერ, ასე მგონია ლექსის სიყვარული დაბადებასთან ერთად მოვიდა ჩემში, რადგანაც, გენეტიკამაც ალბათ დიდი როლი ითამაშა ყოველივე ამასში. ულამაზეს ლექსებს წერდა თურმე ბიძაჩემი, ისტორიის ფაკულტეტის მეოთხე კურსის წარჩინებული სტუდენტი, რომელიც მეორე მსოფლიო ომში მიღებული ჭრილობებისგან ოცდაოთხი წლისა გარდაიცვალა. ლექსზე უზომოდ იყო შეყვარებული მამაჩემი, რომელიც პედაგოგი გახლდათ და წერდა თვითონაც. მან ვეფხისტყაოსანი და ვაჟას შემოქმედება თითქმის ზეპირად იცოდა. ლექსის სიყვარულით ცხოვრობს ჩემი უფროსი და. ასევე ახალგაზრდობაში წერდა ჩემი ძმაც და ასე... პოეტური კრებულის ავტორია მეთერთმეტე კლასელი ჩემი ქალიშვილი, ახლა მისი ორენოვანი მეორე წიგნი მზადდება გამოსაცემად, ასე, რომ ლექსის წერა ჩვენთვის ოჯახური ტრადიციაა. მამამ დიდი როლი ითამაშა ჩემს პიროვნულად ჩამოყალიბებაში. ახლა, რომ ვფიქრობ ასე მგონია და ალბათ ასეც იყო, რომ ძვირფასი მამა მთელი ცხოვრება სიბრძნეს აგროვებდა, რომ მერე იგი ჩვენთვის, შვილებისთვის ვადმოეცა. ვვასწავლიდა, რომ მოთმენა დიდი ნიჭია და ასევე მოსმენა უფრო დიდი ნიჭი. რომ საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა უქკუობის ნიშანია



ყოველთვის და რაც ადამიანს ყველაზე მეტად ამშვენებს, ეს თავმდაბლობაა. რომ ბრძოლა არის ერთადერთი გამოსავალი, ამ ცხოვრების სირთულის გასამკლავებლად, ამიგომაც ბრძოლა არასოდეს უნდა შეწყვიტო, თუ არ ვინდა რომ დამარცხდე. რომ, რაც უფრო რთულია ცხოვრება, უფრო მეტად უნდა იბრძოლო... გვექონდა საოჯახო ლიტერატურული გაზეთი, რომლის რედაქტორიც თავიდან ჩემი და გახლდათ, შემდეგ კი მე. ებოში, ბალში ან ვალუღუნებულ ბუხართან ვაწყობდით ახალი ნომრის პრეზენტაციას, რაც მორიგი მიზეზი გახლდათ პოემიასთან ზიარებისა. სტუმრები ძირითადად მამიკოს მეგობრები იყვნენ და ასევე ჩვენი. ასე შემოვიდა ჩემში ლექსის სიყვარული.

=როგორი დიდი პოეტური ტრადიციების ოჯახი გქონიათ, რა საინტერესოა... მაშინ გასაკვირიც არ არის ამდენი წიგნი რომ გაქვთ გამოშვებული... თუ შეიძლება ჩამოთვალეთ ეს წიგნები და რომელი წიგნებით წარსდგებით ბათუმელი მკითხველების წინაშე?

=გამოცემულია ჩემი რვა წიგნი. პირველი პოეტური კრებული „მსურდა ღოცვა“ ოცდაერთი წლისამ გამოვეცი გამომცემლობა „მერანში“ 1990 წელს. მოგვიანებით დაიბეჭდა სონეტების კრებული „სიყვარულის სონეტი“ უფრო გვიან ასევე სონეტები ქერილები ბედნიერებას“ და ლექსი პროზად „მოვარის აბაზანები“. წელს გამოვიდა ჩემი ხუთტომეული, რომელსაც დეარჩევი „ადამიანური ყოფის გულსაკლავი სანახაობის აღწერა“ პირველში შევიდა სონეტები, ლექსი პროზად, მეორეში, ოცდამეერთე საუკუნის ქალთა ილუზიები, რაც ქალთა ცხოვრების ქრონიკაა), მესამე-მოთხრობები, ნოველები, ლიტერატურული ზღაპრები. მეოთხე - ლირიკული დრამა - „ოქროს ხანა“ მეხუთე - „ჩემი ხეტიალის თანამგზავრი აზრები“ და ლექსი პროზა „ერთხელ წმინდა სამების კოლეჯში“, რომელიც ჯორჯ ბაირონს ეძღვნება. ახლა ვმუშაობ რომანზე „ობიუმი“, რომელიც ეძღვნება იმ ოქროს ახალგაზრდების ხსოვნას, რომლებმაც ობიუმის სიყვარულს შესწირეს თავიანთი ცხოვრება, ასევე ვწერ სონეტების წიგნს „ცხოვრების ანატომია“ და ვამზადებ საბავშვო ლექსების კრებულს „ენის გასატეხი პატარებისთვის“ ოღონდ ვწერ ძალაან

ნელა და თან ერთ თანრში მიჭირს მუშაობა, ზოგჯერ სონეტს ვწერ, იქედან რომანს მივუბრუნდები, შემდეგ ლექს პროზად და ასე...

=თურმე ყველა თანრში მუშაობთ... ძალიან პრომატეველია და საინტერესო, მაშინ იმაზე რას ფიქრობთ ყველა მეორე რომ წერს დღეს საქართველოში?

=ქართველები ნიჭიერი ხალხი ვართ, როცა ვწერება და წერ, განა მაგას რა სჯობია, მითუმეტეს, როცა შეყვარებული ხარ, როცა ჩვეულებრივი ვოგონა შენდა დაუკითხავად შენს გულში დაიდებს ბინას და ჩვეულებრივი შენთვის უკვე არაჩვეულებრივი ხდება... მახსენდება ჩემი შეყვარებულობის ლამაზი დღეები, როცა მე და ჩემი მეუღლე ერთმანეთს ლექსებს ვუძვნიდით, იქედან უამრავი სონეტი შევიდა ჩემს მეოთხე ტომში.

=მოგწონთ თუ არა ამ ბოლო პერიოდში სშირად რომ იმოსებიან ახალგაზრდები ჩოხით? არის თუ არა ეს ქართული ტრადიციების შენარჩუნების მცდელობა?

=რა თქმაუნდა ძალიან მიყვარს ქართული ტრადიციული სამოსი და როცა ქართველები ჩოხით დადიან, ეს ხომ ჩვენი ტრადიციის ლამაზი გაგრძელებაა. ბავშვობიდანვე მქონდა მასთან შეხების ბუნდოვნება. შუათანა ძმა ცეკვავდა და მისთვის სხვადასხვაგვარ ჩოხებს აკერავინებდნენ, უამრავი სურათი და ლამაზი მოგონება შემომჩა იმ დღეთაგან.

=რას ნიშნავს თქვენთვის იყოთ მართმადიდებელი?

=პირდაპირ ვეტყვი, არ მიყვარს ურწმუნო ადამიანი. მორწმუნე ოჯახში ვიზრდებოდი, დედა ისე არ დაგვაძინებდა, რომ ლოცვა არ გვეთქვა, ეს იყო ბავშვობის ლამაზ წლებში, ბავშვებს ხომ ლამაზი სული აქვთ, სადაც უცნობია შური, სიხარბე და ყოველგვარი სიყალბე. ფიზიკური სილამაზე წამიყრია, რომელიც სულ მალე სადღაც მიდის და უკან არ ბრუნდება, ლამაზი სული კი ასაკთან ერთად უფრო მშვენივრდება და არსად მიდის. როგორც ეშმაკი ნელ-ნელა გითრევს ხოლმე, ერთ შეცდომას მეორე მოყვება, შემდეგ კი კისერზე ჩამოგვეკიდება, რათა არ მოგვეშვას. ეშმაკი შორს იყოს, როცა შეგნებული ადამიანის ცველაზე მთავარი მისია საკუთარი სულის

გალამაზებაა, ამაში კი ჩვენი რწმენა გვეხმარება, - მართლმადიდებლობა.

=ასეთი მაღალი რწმენის ადამიანი რომ ბრძანდებით კიდევ იგრძნობა თქვენი ნაწერებიდან... ცოტაოდენი რამ თქვენი ოჯახისა და მეგობრების შესახებ გვიამბეთ?

=მყავს მეუღლე თამარ ჯინორია, რომელიც პროტესიით ბიოლოგი ვახლავთ, მე მას „ჩემი ცხოვრების მშვიდი თანამგზავრი“ დავარქვი. ის ყოველთვის ჩემს გვერდითაა, განსაკუთრებით როცა მიჭირს და ბევრჯერ სიკვდილსაც კი გადამარჩინა. მყავს ქალ-ვაჟი, ნინო და გიორგი. ნინო შეთერთმეტე კლასშია, თავისუფლად ფლობს რამოდენიმე ენას და ორიგინალში მიკითხავს შარლ ბოდლერს და ინგლისელ ავტორებს. პატარა გიო ხუთი წლის ხდება მალე და მიმოტკიცებს, მამიკოს ზღაპარი ვარო, ვნახოთ მისგან როგორი კაცი დადგება.

ჩემი მეგობრები კი ჩემი ზურგის ქარია ამ ბობოქარ ოკეანეში, რომელსაც ცხოვრება ქვია. მყავს სამი-ოთხი ახლო მეგობარი, რომელიც მთელი ცხოვრება მომყვება.

=საიდან ხართ წარმოშობით და არის თქვენთვის ქართული ქიმი?

=როგორც გენიოსმა თქვა წვეთი სისხლი არ არის ჩემში არაქართული. ჩემი გვარი ჯიჭონიდან მოდის, რაც ლაზურად ტირიფს ნიშნავს. ჩემი გვარის ხალხი ოდიშში ცხოვრობს, ზუგდიდთან ახლოს, ასე, რომ ოდიშელი ვარ. რაც შეეხება ქართველობას, ეს ხომ დიდი ტვირთია და პასუხისმგებლობა, ჩვენ ხომ ის ვართ, რომლისთვისაც ყველაფერი სულერთია არაა. ბიძაშვილობაც ვიცით, მეგობრობაც და განსაკუთრებული სტუმართ-მასპინძლობაც. პატარა მარგალიტია ჩვენი სალოცავი სამშობლო და ამიტომაცაა ასე ღუფობრეული რომ იბრძვიან მის დასაუფლებლად, მაგრამ, როგორც ნათქვამია, არა აქვს მნიშვნელობა თუ რამდენი მტერი გყავს, როცა იცი, რომ ღმერთი შენთანააო. უფალი გადაარჩენს ღვთისმშობლის რჩეულ საქართველოს.

=რა არის თქვენთვის პოეზია და რას ნიშნავს თავისუფალი სიტყვა!!!

=პოეზია ჩემთვის ყველაფერია,მე მას მთელი ცხოვრება შევწირე.

=შეცვლულიდით თუ არა, რაიმეს ცხოვრებაში დღევანდელი გადასახედიდან?

=რომ ვითხრათ წმინდანი ვარ მეთქი. მკრეხელობაა და თან ტყუილიც გამოძივა, მაგრამ ისევ თავიდან რომ დაუიწყო, ალბათ ცოტა კორექტურის გარდა ძირითადად მინც არაფერს შევცვლიდი, თუმცა კი ძალიან დამღლელია ეს ყველაფერი, რასაც „ადამიანური ყოფის გულსაკლავი სანახაობა“ ქვია. დიდი მადლობა. წარმატებები ბატონო გია.

ინგა გოგიბერიძე

გია ჭიჭონაია.

15 გიორგობისთვე ბათუმი-ზუგდიდი

...გასაუბრება მწერალთან, ნამდვილ თბილისელთან, მაესტრო თამაზ ექეთიმიშვილთან!!



დაბადების ადგილი: ქ. თბილისი. დაამთავრა ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი 1977 წელს. მუშაობდა ქიმიის ინსტიტუტში. იბეჭდებოდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველო“-ში, გაზეთ „პარნას“-ში, ჟურნალ „მნათობ“-სა და „ცისკარ“-ში. 1985 წელს დაწერა პირველი ნაწარმოები, მოთხრობა „ამპუტაცია“ „მწერლის ნოველა „ერთხელ დაკვალი მამალი“ ნ-ჭერ დაიბეჭდა, მათ შორის რუსულად და ბოლოს ბრაილის შრიფტით. 2004 წელს ეს ნოველა შევიდა კრებულში "15 საუკეთესო ქართული მოთხრობა". ჟილდოები, პრემიები და პრიზები 2011 - ლიტერატურული პრემია „საბა“, წლის საუკეთესო პიესა „პუნტები“- ეს მცირე ავტობიოგრაფიული ცნობებია კაცზე, რომელსაც ძალიან უყვარს თბილისი და რომელიც ძალიან უყვარს თბილისელებს.

=მოგესალმებით ბატონო თამაზ... შარშან ზაფხულში, როცა სოფელში მივდიოდი დასასვენებლად, რამდენიმე ქართული წიგნი შევარჩიე და წავიღე... მათ შორის აღმოჩნდა თქვენი წიგნიც - „აქ, იმ ქალაქში“ ...იმდენად იმოქმედა ამ წიგნმა, რომ ჩამოსვლითანავე დაუწერე პატარა ემოციური ჩანახატი, მოგძებნეთ ინტერნეტში და დაგიმეგობრდით... მას შემდეგ ჩემი წერილების პატარა ფანჯარას ინტერნეტში, ძალიან ხშირად თქვენი ნოველები და მოთხრობები მოაქვს ჩემთან... მაინტერესებს, რითი იწყება თქვენი დილა?

=ჩემი დილა მაგარი, უშაქრო ჩაით და ნახევარი კოლოფი სიგარეტით იწყება. ხანდახან ამ ორს არაფი ემატება.

= ჩემი დილა იწყება უშაქრო ყავით, ოღონდ არაფს და სიგარეტს გამოვაკლებ და საოჯახო ფუსფუსს დავიმატებ... თანაც იმის სიხარული მიმატება, რომ საქართველოში ვცხოვრობ და ქართველი ვარ.

საიდან ხართ წარმოშობით და არის თქვენთვის ქართული ჭიმი და გენი?

=ჩემი გვარი კახეთიდან არის. კერძოდ, როგორც დავადგინე, კაკაბეთიდან. ქართული ჭიმი და გენი კი განსაკუთრებულია.

=გვარის ექვთიმოშვილის შემადგენელი სახელია - ექვთიმე, რომელიც ბერძნულია და უბოროტოს და კეთილს ნიშნავს... მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამ გვარის მატარებელი ხალხიც ასეთივე კეთილები არიან და სიყვარული მოაქვთ... სამშობლო და სიყვარული ხომ განუყოფელია... თავისუფალ სიტყვას და საყვარელ საქმეს მოაქვს მამაკაცისათვის ბედნიერება... მწერლობა ადამიანისათვის ბედნიერებაა, მე ასე ვფიქრობ... ამ არჩევანით ხართ ბედნიერი ?

=მწერლობა ტვირთია და არა ბედნიერება. მე მწერალს ვგულისხმობ და არა გრაფომანს და ავანტურისტს.

=ჰოდა, ნამდვილი მწერალი რომ ხართ, იმიტომაც, ვირტუოზი მცოდნეების საპატიო სახელწოდებით, მაესტროთი, მოგმართავე ყველა... სიყვარულით ხართ გარემოცული, მე ამას სოციალური გვერდიდან ვგრძნობ. ჩემი აზრით, ეს სიყვარული პიროვნული თვისებების დამსახურებაცაა... როგორი შეგობარი ხართ და რა არის თქვენთვის შეგობრობა?

=არ ვიცი როგორი შეგობარი ვარ. ჩემს შეგობრებს ეცოდინებათ. ერთი კია. შეგობრის საიღუმლო არასდროს გამომჟღავნებია.

=ნამდვილი შეგობარი ყოფილხართ მაესტრო! იმიტომაც თქვენს ერთ-ერთ შეგობარს, მწერალ ლიკა ყიფშიძეს შევეკითხე, როგორი შეგობარია ბატონი თამაზი თქო? და აი რა მიპასუხა-თამაზი? რას ამბობ იხგა? შესანიშნავი... არასოდეს არაფერი შეუძლებია, იცის ადამიანობის თუასი და პიროვნებაში წვდომის უნარი აქვს, შესანიშნავი ადამიანია, ნაღდი თბილისელი, ჩვენი ქალაქის კოლორიტი... მწერლობა მისი ჰომა კი არა, სულიერი მდგომარეობაა! არც „საბა“ ავარდნია თავში, რომელიც დამსახურებლად მიიღო და არც „ნობელი“ აუვარდება დარწმუნებული ვარ!!!

=დრო დადგა შევეკითხოთ, როდიდან წერთ და რამდენი წიგნი გაქვთ გამოშვებული?

=პირველი მოთხრობა „ამპუტაცია“ 1986 წელს დაწერე. არ გამოძიქვეყნებია. დამუშავებას ვაპირებდი. მიზნითა გამო ეს 1995 წლამდე გადაიღო. მას შემდეგ 4 წიგნი მაქვს გამოცემული.

=ჩვენი ბიბლიოთეკის ფონდში, ჯერჯერობით ერთი წიგნია... იმედია შეიფხება თქვენი სხვა გამოცემებითაც... ჰოდა, ამ წიგნებისათვის საიდან შოლის თქვენთან შთაგონება?

=შთაგონებას საიდან მოეპრიანება იქიდან მოვა.

=მართლა მასკა... ვიცი რომ უსაზღვროდ გიყვართ თქვენი ქალქი... ამიტომაც, ყოველ დღით, თბილისის ძველი უბნების შესანიშნავ ფოტოებს დებთ, სიყვარულით ესალმებით მეგობრებს და ქალაქს, რომელიც თქვენთვის ასე ძვირფასია... რა არის სიყვარული?

=სიყვარული ბევრნაირად შეიძლება გეწვიოს. გარეგნობით, მეგობრობით, ურთიერთგაგებით, ხშირი შეხვედრებით. მაგრამ ვერაფერი შეედრება აღტაცებით მოსულ სიყვარულს.

=სიყვარულს სევდა მოაქვს... სურათებზეც სევდიანი ჩანხარათ....

=სევდა შეიძლება პოეტის მუზა იყოს. პროზას ვერ გაეკარები სევდიანი. დღიურის ჩანაწერივით გამოგივა. ამას სხვისას ვერ ვერ ვიტან.

=ვიცი რომ ძალიან გიყვართ მხატვრობა და მუსიკა... რომელ მუსიკას უსმენთ და რაში გეხმარებათ მუსიკა?

=ვუსმენ Led zeppelin ს. მიყვარს კლასიკა, თუმცა მის ხასიათზე იშვიათად ვარ. არ ვუშვებ მომენტს მოუესმინო ნებისმიერი ერის ფოლკლორს—ის საუკუნეების განმავლობაში იხვეწება.

=თქვენი ნოველების გმირები მგონი ყველანი ღარიბები, მაგრამ სულით მდიდრები - არის თუ არა ფული მთავარი ცხოვრებაში?

=არ არის ყველა ჩემი მოთხრობის გმირი ღარიბი. მაგრამ მდიდარიც არაფინაა, ერთის გარდა. რაც შეეხება ფულს, ის უბრალოდ აუცილებელია, რომ გქონდეს. ბევრი რამაა მასზე დამოკიდებული. შემოქმედების ხარისხიც კი. როცა მთელ დროს ფულის ძებნაში ატარებ, მერე უკვე ძნელია დრო თუნდაც უკვე დაწერილი ტექსტის დასამუშავებლად გამოპყო.

=გეთანხმებით, ნამდვილად აუცილებელია... და ბოლოს რას ფიქრობთ - როგორ ვიქცეთ ადამიანად?

=ჩვენ ადამიანებად კაენის ცოდვის შემდეგ ვიქცით. და ვეღარ ვიპორებთ ამ ადამიანობას.

ბატონო თამაზ ჯანშრთელიობას გისურვებთ... ვიტყვით თქვენ მოთხრობაზე, რომელიც გოდერძი ჩოხელის სახელობის კონკურსზე გააგზავნეთ...

ინგა გოვიბერიძე  
თამაზ ექვთიმიშვილი  
ბათუმი-თბილისი-2014 წელი

### ერთ მრუდ ხაზს ჩემი სახელიც პქვია ინტერვიუ მწერალ მარინა თევთუმანიძესთან

საკუთარ ცრემლზე როცა თავად მისხლტება ფეხი,  
შენ რა მოგთხოვო, მამულო ჩემო...

არხეინობით ამოვქოლეთ ცის ბილიკები,

ვიუკადრისეთ მზის გულზე ჩერო.

მიაფრიალებს ქარი ქვეყნის კარდიოგრამას.

ერთ მრუდ ხაზს ჩემი სახელიც პქვია,

თუ სულში მკვდარ ზღვას, თუნდაც წაში აიორდანებს,

ალბათ საშველი არ არის გვიან.

ხანდახან ფეიქრობ, იქნებ ძლიერ არც კი მიყვარხარ,

რომ სხვათა მსგავსად არ გპირდები სიცოცხლეს ჩემსას,

ამოგეზარდნენ შავლეგოთა ლექსსაფლავეები

ყველაზე ნამდვილ, არნაქადნ ცრემლად!

საკუთარ ლექსზე თუკი თავად მისხლტება ფიქრი,

შენ რით ვიმელო, ნაკუნ-ნაჩეხო...

გული მისკდება, რომ შენ გამო დაღერილ ცრემლებზე

არ დამისხლტე და არ გადაგჩეხო!..



= მოგესალმებით ქალბატონო მარინა. არასოდეს დამავიწყდება მეგობარი პოეტის, როინ აბუსელიძის თვალეები, როცა ერთ - ერთი ლიტერატურული საღამოს შემდეგ მითხრა - ინგა, საოცარი ლექსი მოვისმინე - ეთი-ოსური.. ნახე რა მაგარია, ქალბატონი მარინა თქუთუმიანიძე...

= აბა აკრიფე ორჯერ გავამეორებინე გვარი, იმიტომ რომ პირველად მესმოდა... იქნებ პირველი კითხვაც აქედან დავიწყოთ... საიდან მოდიხართ და თქვენი გვარის ისტორიაზე მოგვიყევით?

= ინგა, მოგესალმებით და პირველ რიგში მადლობა მინდა გადავიხადოთ, რომ გამიხსენეთ. ნებისმიერი შემოქმედისთვის და ამ კონკრეტულ შემთხვევაში, პოეტისთვის, ძალიან სასიამოვნოა, როცა მისი ლექსი მეორე პოეტს და პროზაიკოსს მოსწონს. ამიტომ, დიდ მადლობას ვიხდით თქვენ და როინს, რომ ამ უზარმაზარ ვირტუალურ სივრცეში ჩემს წასაკითხადაც მოიცალეთ. როინი თავად არის შესანიშნავი პოეტი და მიხარია, რომ ღირსეულ ქართულ პოეზიას მისი სახელი და გვარი შეემატა. რაც შეეხება ჩემს გვარს, მეხუთე კლასში ვიყავი, „ქართლის ცხოვრება“ რომ გადავშალე და ამოვიკითხე, რომ ნუგზარ არაგვის ერისთავის პაპამ „ამოწყვიტა თევთურმანიძე, პატრონი ხევისა, სრულიად ანანურისა, დუშეთისა და მთიულეთისა“. იმ დღიდან ვამაყობ ჩემი მოსეური სისხლით. თუმცა, მე-19 საუკუნის დასაწყისში უკვე ბარათაშვილი უწყებს ბრძოლას თევთურმანიძეებს და ქართლში ასახლებს. ზუსტად ამ დროს არიან ჩემი წინაპრებიც სამთავისში ჩამოსახლებულები და მე-19 საუკუნის ბოლოდან თბილისში გადასულები. გვარი ფონეტიკურ ცვლილებებს განიცდის და თქუთუმიანიძე ხდება. თუმცა, უსამართლო ვიქნები, რომ არ აღვნიშნო ჩემი მეგრული ფესვები დედის-გუნიების მხრიდან. სამეგრელო ჩემი ბავშვობაა, ჩემი კეთილი მუნისქვილეა ზღაპრებს რომ მიაშობდა ოჩოკოჩებით და ჭინკებით დასახლებულ ჭალებზე, ჩემი ბებიია მეგრული ფოლკლორით, იქ. ბაბუას ოღაში დარჩენილი სიყმაწვილეა, ის კუთხეა, ჩემს ფანტაზიას დღემდე რომ ასაზრდოებს.

=ქალბატონო მარინა, შესანიშნავი ქართული ვკარისა და ჯიმის მქონე ქალბატონო, ალბათ არ ვიქნები სწორი, რომ პოეტთან საუბარი საქართველოში დღევანდელი რთული კრიმინოგენური სიტუაციით არ დავიწყო....

სწორედ ის ლექსი „ეთი-ოსური“ (რითაც გაგიცანი) მშობლების ცხოვრებიდან გამომდინარე ტკივილის ანარეკლია.. ვფიქრობ არა თუ მკველობა, არამედ უბრალოდ ჩხუბი და კამათიც კი მოქმედებს დღეს მოზარდი თაობის განვითარებაზე და ფსიქიკაზე.. რას ფიქრობთ ამ გახშირებულ მკვლევლობებზე?

=რაც შეეხება ასე გახშირებულ მკვლევლობებს, ეს დანაშაული მუდამ ხდებოდა, კლავდნენ ცოლებსაც და ცოლყოფილებსაც, ოღონდ მაშინ შედარებით ტაბუირებული იყო ეს ყველაფერი, ესლა გახშირდა და ვფიქრობ, დანაშაულის ზრდა პირდაპირპროპორციულია ქვეყნის სიღატაკისა და ამ სიღატაკისგან გამონყეული მრავალი ცუდი განშტოებისა.

=მეც ვფიქრობ, რომ კრიმინალური ქრონიკა, სხვა დროს და თანაც ძალიან გვიან უნდა გადიოდეს ტელევიზიით... ბავშვები მტკივნეულად განიცდიან ოჯახურ კონფლიქტებს და მათ სულში ღრმად ილექება მშობლების უთანხმოება. მერე, ეს, შეიძლება სხვადასხვა სახის კომპლექსებშიც გამოვლინდეს. დედა და ბებია მე და ჩემს დას თითქოს გვარიდებდნენ უსიამოვნებებს, მაგრამ ყველაფერს ეხედავდი, ვგრძნობდი და საშინლად გახეიცდიდი. უმამო ბავშვები ტრავმირებულები იზრდებიან, მაგრამ უფრო მეტ ტრავმას იღებენ, როცა ოჯახური სკანდალების მოწმენი ხდებიან. ხშირად მეკითხებიან რამდენ ხანში დაიწერა „ეთი ოსური“. ეს ლექსი მთელი ცხოვრება იწერებოდა, ოღონდ ქალაქში ალბათ 10 წუთში გადავიდა. ეს ათი წუთი რომელ წელს ეკუთვნის, ნამდვილად არ მახსოვს.

იქვე ეთამაშობ...  
 დედა და ბებია შეთქმულებივით ჩურჩულებენ...  
 შიგადაშიგ თვალს შემავლებენ...  
 შიშობენ, წური არ მოვკრა...  
 ეთი ოსური~ მაინც მესმის,  
 ვიცი, ვისაც გულისხმობენ...  
 ეთი ოსური~ ლამაზი ქალია,  
 ყელმოღერებული დადის ჩვენს ქუჩაზე...  
 ეთი ოსური~ მამაჩემის თანაკლასელია...  
 ეთი ოსური~ დედას ეჯავრება, იმიტომ რომ მამას უყვარს,  
 ეთი ოსური~ მეც მეჯავრება, იმიტომ, რომ დედას ეჯავრება.  
 ეთი ოსური~ ჩემს დასაც ეჯავრება, ჩემს ბებიასაც...  
 მხოლოდ მამას უყვარს ეთი ოსური...  
 მამას ერთი ფოტოსურათი ჩემად აქვს შენახული.  
 იმ სურათს, დღეს, მე ვინახავ.  
 მამა და ეთი ოსური~ პატარები არიან ამ სურათზე...  
 მათ ერთმანეთი ამ სურათში უკვე უყვართ...  
 დედა და ბებია გვიმალავენ, მაგრამ  
 მე და ჩემმა დამ ვიცი,  
 ამ ქალს უბედურება მოაქვს ჩვენთვის...  
 ჩვენ გაეიზარდეთ...  
 დედა მამას ატყუებს:  
 \_ იცი? ის ქალი მოკვდა!  
 მამის ცრემლები დღესაც გულს მიკუმშავს...  
 \_ იცი? ის კაცი მოკვდა, \_  
 სიმართლეს ეუბნებიან ეთი ოსურს...  
 იმ ქალის ქვითინი დღემდე მატირებს...  
 აღარც დედაა...  
 აღარც მამა...  
 აღარც სიძულვილი...

აღარც ეჭვიანობა... დღესაც დადის ჩვენს ქუჩაზე ლამაზი ქალი...

აღარ მძულს,

მიყვარს...

მამა უყვარდა,

მამას – უყვარდა...

მამას ვინც უყვარდა, ის მეც მიყვარს...

ეს სიყვარული,

მამატიე,

ღეღა!!!

ეთი ოსური – ის ქალი (მეგრულად)

უცრემლოდ ამის კითხვა არ შემოძლია

=მინდა მკითხველს თქვენი შემოქმედება გაგაცნოთ (რათქმუნდა ვინც არ გიცნობთ) - მეც ხომ არ გიცნობდით და სულ ერთი წლის წინ დაგიშვებოდით ...კარგად მახსოვს ჩვენი შეხვედრა საქართველოს მწერალთა კავშირში, თბილი და უშუალო. მას შემდეგ მგონია, რომ მთელი ცხოვრება გიცინობთ..... რადგანაც ჩვენს წიგნად ფონდში თქვენი წიგნები არ არის, ჩამომითვალეთ, რომ გაგაცნოთ მკითხველს.

=ორადღორი წიგნის ავტორი ვარ. პირველი "გამათხულებელი უშენობით ცივი" 2001 წელს გამოვიდა. მეორე – "დაგელოდები ბეთჰოვენის დაფინყებამდე" 2012–ში. მზად მაქვს მესამე წიგნიც. ალბათ მოვახერხებ დაბეჭდვას. თუ ვერ მოვახერხებ, პოემიის ქვეყანაში ეგვეც არ იქნება უბედურება.

=მოახერხებთ, აუცილებლად მოახერხებთ და დიდი იმედი მაქვს, რომ სამივე წიგნი მოხდება ჩვენი ბიბლიოთეკის წიგნად ფონდში... ქალბატონო მარინა! თქვენ ძალიან მელოდიური, შინაარსიანი და ლამაზი ლექსები გაქვთ, რას თქვით თანამედროვე პოეზიაზე და კერძოდ ვერლიბრზე?

=დღეს კონვენციური ლექსისა და ვერლიბრის ჭიდილია, თუ არადა, არაფერია საჭიდაო. მე, პირადად ორივე მეწერება და



არჩევანის გაკეთება მიჭირს. ამ დროს ასე შემოიძლია ვუპასუხო, გააჩნია რითმიანს და გააჩნია ვერლიბრს. ერთ შეხვედრაზე ვიყავი, სადაც სტუმარი ამ საკითხებს შეეხო და თქვა, რომ საქართველოში ბოლო წლებია იწერება ვერლიბრი. იქაც ვთქვი და კვლავ გავიმეორებ, მამ რა არის ჩვენი დიდი დედოფლების იამბიკოები, თუ არა ვერლიბრი? რა არის „შენ ხარ ვენახი“? რა არის „გალობანი სინანულისანი“? რა არის ფსალმუნები? ჩემთვის ეს ყველაფერი უმაღლესი პოეზიაა. იქ, იმ შეხვედრაზე სიტყვა რომ მომცეს, ორი ლექსი წავიკითხე, ერთი რითმიანი, მეორე—ურითმო და ახალგაზრდებს ვთხოვე ეთქვათ, რომელი მოეწონათ. ორივე ერთნაირადო, იყო პასუხი.

=ამ ბოლო პერიოდში, ვხედავ საქართველოში მომრავლდა პროზაიკოსები და პოეტები (მათ შორის მეც კი დავიწ ყე წერა) მაგრამ არასოდეს გამჩენია ამბიკია, რომ აუცილებლად პროზაიკოსი უნდა მერქვას... ეს მე სიამოვნებას მანიჭებს და იმიტომ ვწერა... რა თქვაობთ, აწუხებს თუ არა დღეს ბევრს პოეტური ამბიკია და თავი გენიოსად მოაქვს?

=ვიცინი—ხოლმე, ჩემ გვერდით გენიოსების ცვენაა—მეთქი. რალაც საშინელი სენია, სახადივით მოგველო. პატივმოყვარეობა კლავს ადამიანში ადამიანს. ამას წინათ ერთ—ერთი წმინდა მამის წერილს ვკითხულობდი, სადაც აღნიშნავდა, რომ ადამიანი, ვისაც სიამოვნებს ქება, მედმივად ითხოვს სხვისგან ამას და თუკი მას მაქებარი შემოელოა, მაშინ თავად იწყებს თავის ქებას, რასაც დალუპვამდე მიჰყავსო. ვაიხედ—გამოვიხედლოთ ჩვენ გვერდით, რა უბედურება გვჭირს, ადვილი დასანახია. ვილაც მკითხავს, —როგორ მენ არ ვსიამოვნებს ქება? შემოიძლია შემკითხველს ვუპასუხო, რომ ქებას ვისმენ, მაგრამ ვცდილობ, არ დავიჭურო და მით უმეტეს, თუკი ვინმეს ჩემი ლექსები არ მოსწონს, ამას ნამდვილად არ ვანვიცდი. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ რა თქმა უნდა, ყველა შემოქმედს ეს არ შეეხება.

=ქალბატონო მარინა, უნდა გამოგიტყდეთ, რომ მეც ბევრს მაქებენ ხოლმე... პირველად ძალიან განვიცდიდი, ვლებდი სტა-

ტუსებს არ მაქოთ მეოქი, მაგრამ ახლა აღარ განვიცი... ვცდილობ არ დავიტერო... თუმცა, იმასაც ვფიქრობ, ადამიანების დიდი ნაწილი ყურადღებას აქცევს - რა წერია შენი სახელის და გვარის გასწვრივ... მაგ ერთმა მეგობარმა უკვე მითხრა - შენ არ ხარ მწერალი, იმიტომ რომ საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი არ ხარო... როგორ ფიქრობთ ტიტულია მთავარი ადამიანისათვის, თუ ის, რასაც მწერლის მოვალეობა და პასუხისმგებლობა ჰქვია ერისა და ხალხის წინაშე?

=ჩემო საყვარელო ინგა, ასე საკითხის დაყენება, რომ ვინც მწერალთა კავშირის წევრი არ არის, ის არც მწერალია, რბილად რომ ვთქვა, სისულელეა. მწერალთა კავშირის წევრი ბევრი კარგი მწერალია, მაგრამ ბევრ კარგ არაწევრსაც ვიცნობ. რა შუაშია მწერალთან კავშირი? ხალხია, მკითხველია მწერლის პირველი შემთავსებელი და არა კავშირის წევრობა-არწევრობა. ისე, სხვათა შორის, არც მე ვარ მაგ კავშირის წევრი.

=ეს კარგი აღმოჩენაა ჩემთვის... ქალბატონო მარინა, თქვენგან საოცარი სიმშვიდე მოფრინავს. დარწმუნებული ვარ ცხოვრებაშიც ასეთი ადამიანი ბრძანდებით, როგორ მოიპოვეთ ეს სიმშვიდე... დიდი ძალისხმევა დაგჭირდათ?

=ჩემო ინგა, პირველი არ ხართ, ვინც ჩემს სიმშვიდეზე საუბრობს. არ მინდა მოგატყუოთ. ნამდვილად არ ვარ მშვიდი. პირიქით, საშინელი ემოციური ვარ, ოღონდ, თუ თავის ქებაში არ ჩამომერთმევა, საკმაოდ კარგად ვარ აღზრდილი და ემოციების შეკავება შემიძლია. მით უმეტეს, როცა მეგობრებთან არ ვარ. ჩემთვის გაუნონასწორებელი ადამიანი მიუღებელია. შენს სიბრაზეს, შენს უხასიათობას თავად უნდა მოერიო და სხვას თავზე არ უნდა შემოახვიო. ყოველთვის ეს არც მე გამომდის, უფრო სწორად, ემოციებს მხოლოდ მეტისმეტად ახლობელ ადამიანებთან არ ვთოკავ. საერთოდ კი, ადამიანი ყოველდღიურად უნდა ზრდიდეს თავს. იცით რამდენი ძალისხმევა მჭირდება-ხოლმე, რომ წყენა დავივიწყო, დანაშაული ვაპატიო, ქილიკბე და ჭორებზე რეაქცია არ მქონდეს. და როცა ამას ვახერხებ, ჩემზე ბედნიერი ადამიანი არ



დადის დედამიწაზე. ერთხელ, ურბნისში კვეთებულის ლოცვებსაც კი დავესწარი, ისე ვიყავი შეძრწუნებული უახლოესი ადამიანის დალატისგან. ჩამოვდი ოქიდან და ვიგრძენი, რომ ვანვთავისუფლდი, რომ შეძრწუნება სიბრაღულმა ჩაანაცვლა. ვისაც სურს თავის აღზრდა... აღბათ ვახერხებ კიდევ.

=სულ ჩემნაირი ყოფილხართ... ემოციებსაც ზოგჯერ იმიტომ არ თოკავთ, რომ ისინი ძალიან ვიყვართ... ასეც არის... შეგვიყვარეთ ისეთები, როგორებიც ვართ სინამდვილეში... მეც ემოციური ვარ... ეს ისე სხვათაშორის. თქვენს ოჯახზე და სიყვარულზეც გვიამბეთ, უსიყვარულოდ ხომ მზე არ სუფევს ცის კამარაზე...

=სიყვარულზე რა უნდა გითხრათ? პირველად მერვე კლასში შემიყვარდა. რომ დაფინახავდი, ფეხები შერეოდა. გულს ბაგაბუგი გაჰქონდა და თვლას ვიწყებდი, რომ ჩემი არეული ნაბიჯები არ შეემჩნია. ცოლად სხვას გავეყვი და ხუთ წელიწადში დავცილდი. დავრჩი 23 წლის ქალი ბავშვით ხელში. მეორედ აღარ გაეთხოვილვარ. შეიღი ძალიან ნერვიულობდა ჩემს გათხოვებას ვინმე რომ ახსენებდა. მეცოდებოდა, მეგონა დაიჩაგრებოდა მამინაცვლის ხელში. დღესაც არ ვიცი, სწორად მოვიქეცი თუ არა. სიყვარული საოცარი გრძნობაა, ძალიან მენატრება...

(ჰოდა თუ გენატრებათ მოფრინდება. კიდევ ერთხელ ავერევათ ფეხები, დაგიწყებთ გული ბაგაბუგს და ა. შ... ეს სიყვარულით ინვასგან)

=ქალბატონო მარინა, სურათებს, რომ უნახულობ, ვხედავ რამდენ ძვირფას ადამიანთან გიჩვეთ ურთიერთობა, რას ინახავთ გულში ყველა ასეთი შეხვდრის შემდეგ და რაიმე ძვირფასი ბარათი ხომ არ გაქვთ შენახული?

=ძალიან მიყვარან ადამიანები. მზად ვარ უღევი სიყვარული გაგუნაწილო ყველას. ჩემთვის ძალიან ძვირფასია ის უამრავი ფოტოსურათი, რომელსაც სხვადასხვა შეხვედრაზე ვიღებ, მაგრამ, სახლში მაქვს ერთი ყუთი, სადაც ძვირფასი ადამიანების ძვირფას ხელნაწერებს ვინახავ. ესენია მოძღვნილი ლექსები, ბარათები,

ჩემი შეილობილების ბავშვობისდროინდელი წერილები (მე ხომ მთელი ცხოვრება საბავშვო გაზეთში ვიმუშავე)... 

=ჰოდა, რომ ჩამოვალ თბილისში, თქვენთან ერთად მსგავალსურ სკივრს სიამოვნებით დაუთვალაიერებ. მიხარია, რომ თქვენ ავირჩიეთ რესპოდენტიად... წარმატებებს ვისურვებთ და თქვენი სურვილიც ჩაიფიქრეთ?

=მეც მიხარია, რომ თქვენი რესპოდენტი ვარ. შეიძლება ისე ვერ ვთქვი ყველაფერი, როგორც მინდოდა. როგორც განვიცდი, მაგრამ შევეცადე ძალიან გულწრფელი ვყოფილიყავი. ჩემი უზომო სიყვარული ჩემს აჭარას და ბათუმს. ველი ვამაფხელის იმ დღეს, როცა ინგას უბანში შევხვდები ჩემს საყვარელ მკითხველს. რაც შეეხება სურვილს, ეს ალბათ უფრო ზოგადია და ისევე სამშობლოს დასტრილებს თავს.

=ქალბატონო მარინა ისე გვესაუბრეთ ზუსტად, როგორც ამ რუბრიკის სათაურშია ნათქვამი-მე მინდა ჩემი გული გადაგიშალოთ.

=კი ქალბატონო მარინა, ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო მარინა თექთუმანიძის პოეზიასთან ერთად 2015 წლის მაისის თვეშია დაგეგმილი. უღრმესი მადლობა და რა ვიცი რა ვითხრათ, უდიდესი სიამოვნება მივიღე ამ ინტერვიუსაგან.

წარმატებებით გველოთ.

ინვა გოგიბერიძე  
მარინა თექთუმანიძე  
ბათუმი - თბილისი.  
2014 წელი. ოქტომბერი.



2013 წლის 21 ნოემბერი... ღამის სამი საათი...ამ გზავნილის ადრესატი თათია გორგილაძეა...ღამეა... წკაპ - წკუპ იძახის ჩემი კომპიუტერი. წკაპ-წკუპ მესმის ხმა ჩემი მველობარი პოეტების გულებიდან... მვინი არავის ძინავს და ყველა იმ გზავნილზე ფიქრობს, რომელსაც პოეტი ზურაბ გორგილაძე ქვია... ისევ წკაპ-წკუპ. ეს ვიორგი თუშიშვილის წერილია, რომელმაც ზურაბ გორგილაძის პოეზია თითქმის ზეპირად იცის და რომლისთვის მისი სახელი წმინდაა - წმინდა: აუცილებლად მთელ აბილსს და თანხას შევავროვებთ, ოღონდაც გვითხარით - მწერს ის. ისევ სანატრელი ხმა, ხმა გაოცებისა და ერთად დგომის უდიდესი სურვილისა გავა გომართელის და ირაკლი ასლანიკაძეების გზავნილებშია... როინ აბუსელიძის გზავნილთან 150 კომენტარია სირცხვილის, თავდავიწყების, სიყვარულის... ზურაბ გორგილაძის საფლავთან კი თორნიკე დგას. ეს ის თორნიკეა, რომელიც ყოველ ცისმარე დღეს ემთხვევა მიწას, სადაც ზურაბია დასაფლავებული ... პოეტები მაყვალა დაულაძე და ჯაბა გორგილაძე მწარედ ტირიან... მაგრამ აჭარას სატირალი არაფერი აქვს სანამ აჭარის მწერალთა კავშირში ზურაბის თანამოკალმეები მრავლად არაინ, სანამ ვახტანგ ღლონტის, დავით თედორაძის, სანდრო ბერიძის, ბელა ქებურიას, ცისანა ანთაძის, ემენ დავითაძის და სხვათა გულები მზად არიან ზურაბის პოეზიის ჩასახუტებლად, მისი სახლ-კარის დასაბრუნებლად იქ, სადაც პოეტმა უკანასკნელი წლები გაატარა. ხმას ველოდებით, რომელსაც წკაპ-წკუპ ჰქვია და აინთება ნაპერკალი სიყვარულის, დაინთება ცეცხლი, დაუბერავს ქარი და გადამუგავს იმ ცუდს, რასაც სხვისი სახლ კარის წართმევა, მოტყუება და სირცხვილი ჰქვია! ღამეა... წკაპ-წკუპ იძახის ჩემი კომპიუტერი. წკაპ-წკუპ კვლავაც მესმის ხმა ჩემი მველობარი პოეტების გულებიდან... ამ გზავნილით, უკვე ერთი წლის შემდეგ მოგესალმები თათია... მიხარია რომ გიცნობ... გუშინ ჩაფიქრებული ვიყავი და გულში გავიფიქრე, ჩვენი უსაყვარლესი ზურაბ გორგილაძე,

რომ ცოცხალი იყოს, რა ბედნიერი ვიქნებოდი... მისგან სომ ჩაუიწერდი ინტერვიუს მეთქი და უკვებ თვალწინ შენ წარმოვიდგე... ლამაზი ქართველი კაცის კაცის, ლამაზი ასული... ამიტომაც ძალიან მომიხნდა შენთან გასაუბრება.

=რა ვრძნობა წამოიღე ბაშეობიდან და რა შეინახე გულში სათუთად?

=მოგესალმებით ასევე მეც ქალბატონო ინგა ლამაზი წამოწყება, წარმატებებსა და ბევრ სტუმარს გისურვებთ.

=რაც შეეხება ჩემს ბავშვობას... შეიძლება ფრაზები ბანალური იყოს, მაგრამ... უდიდესი სითბო და საოცარი მოვლენები მომყვება ბავშვობიდან, რომელსაც დიდი სიყვარულით ვატარებ. ეს ის პერიოდია ჩემი ცხოვრების, როცა ირგვლივ ყველაფერი თერადი იყო და მამის ხელი მედო მხარზე მყარად.

=ბავშვობა მართლაც საოცარი პერიოდია... ბედნიერი ხარ როცა მშობლები გვერდით გყვანან.. ხარ ისეთი მამის შვილი, რომლის კაცობა და პოეზია მთელმა საქართველომ აღიარა... არ მინახვას მე პირადად აჭარაში აღამიანი, ვინც ბატონი ზურაბის ერთი ლექსი არ იცოდეს მაინც ზეპირად... რომელი ლექსი ისწავლე მამის პირველად და სად წარმოსთქვი იგი?

=დიდი მადლობა ჩემი მამის ასეთი მოხსენიებისათვის. რომ გითხრათ მეჭდა ვინმე და საგანგებოდ ლექსებს მასწავლიდა თქო არა. ჩვენს ოჯახში სასაუბრო და ვნებათ საკამათო თემა ყოველთვის ხელოვნება იყო, განსაკუთრებით კი პოეზია. ლექსის კითხვის მეტი პატივითიდან მოყოლებული არაფერი მესმოდა და ეს ყველაფერი ნელნელა ილექებოდა ჩემს მესხიერებაში. საერთოდ მამას არ უყვარდა რომ ამ კუთხით მეაქტიურა, მაგრამ ზოგჯერ იყო ხოლმე ისეთი სიტუაციები რომ მიწევდა მაინც მისი ლექსის წაკითხვა. ზუგდიდში, მე-8 მე-9 კლასში ვიქნებოდი, დადიანების სახლში ჩატარდა საღამო და იქ წაეკითხე მეთევზე ბიჭის ბალადა.

=გენიალური ბალადა რომელიც ყველას უყვარს. რამდენიმე დღის წინ ენახე შენი ფოტო. ჩვენი თეატრის წინ - დგებარ მამასთან ერთად, უსაზღვროდ ბედნიერი და სახეზე თითქოს გაწერია, რომ უკვე



იცი დიდი პოეტის შვილი რომ ხარ... როდის მოვიდა შენთან ეს გრძნობა პირველად?

=იცით რა, ჩემგან ამაზე საუბარი უხერხულია. მისი სიდიდის განსაზღვრა მკითხველისა და თაობებისათვის მიმინდვია. მე არ ვიზრდებოდი ამბიციების კვალდაკვალ, ასე რომ...

=აღბათ... ძალზე სწორი პასუხია და ეს მკითხველმა უკვე კარგა ხანია განსაზღვრაკიდეც... მაშ, ერთი ყველაზე საინტერესო საღამო მომიყევი შენი ცხოვრებიდან, რომელიც მამის მეგობრებთან ერთად გაატარე?

=ძალიან ლამაზი საღამო მოუწყვეს ზურაბს ზუგდიდში, დადიანების სახლში. ამ ღონისძიების ორგანიზატორი იყო ქალბატონი მადონა ცინცაძე თავის ლიტერატურულ სალონთან ერთად. დაშხედურები იყვნენ ჩემი მამის უახლოესი მეგობრები, მეგრელი ძმები - ასე ეძახოდა მამა მათ, ბონდო ჭიქია, ჯამბულ ჩელაია, ბორის ჩიფურია. საღამოს პირველმა ნაწილმა ძალიან თბილად და ლამაზად ჩაიარა, რასაც მოჰყვა მეორე განყოფილებაც. თამადა გახლდათ ცხოვრებული ბორის ჩიფურია და სიტყვებიც არ მყოფნის იმის ვადმოსაცემად თუ იქ რა ხდებოდა. ასევე მახსენდება ძალიან ლამაზი შეხვედრა ოტია იოსელიანის მასპინძლობით, მამას იქ დაბადების დღეც აუღნიშნეთ, ასევე ორიგინალური საღამო გამთეიდა ნოდარ დუმბაძის სახლ-მუზეუმშიც. ბევრი ასეთი ლამაზი დღეების მომსწრე და მონაწილე ვიყავი საბედნიეროდ.

=ნამდვილად ბედნიერი წლები გაქვს გაცარებული ეს ხომ იშვიათობაა, ვხედავ საესე ცხოვრებით ცხოვრობ, გყავს ოჯახი და ბედნიერი ხარ... რა არის შენთვის სიყვარული და უკავშირდება თუ არა ეს სიყვარული სამშობლოს სიყვარულს?

=მადლობა. „სიყვარული დიდია, დავა არ ღირს ამაზე“- ძან ლამაზად ამბობს სალუქვაძე. სიყვარული სხვადასხვანაირია, ყოველივე სიკეთისა და სათნოების მომტანი ამ ქვეყნად. აღამიანი, რომელსაც არ შეუძლია უყვარდეს მე ვფიქრობ მისი ყოფნა ამ ქვეყნად უინტერესოა. სამშობლო იგივე შენი ოჯახია. მამული, ენა, სარწმუნოება - ამის გარეშე არაფერი ვართ.

= რამდენიმე ხნის წინ დაგიბრუნდათ მამაპაპასეული ძირძველი ოჯახი და ძალიან მიხარია ეს ფაქტი... ყველას მადლობა მინდა ვუთხრა ამ შესანიშნავი საქმის განხორციელებისათვის..... შენც გაქვს ეხლა ამის საშუალება...

=მინდა ჩემი ოჯახის სახელით ძალიან დიდი მადლიერება და პატივისცემა გამოვხატო ბატონი გოჩა ირემიძის მიმართ. რომ არა ბატონი გოჩა ალბათ ევ პრობლემა დღემდე მოუგვარებელი იქნებოდა. უფალი იყოს მისი შემწე ყველა კარგ საქმეში.

= სოციალურ გვერდზე სურათებს რომ ენახულობ მიხარია რომ ახალგაზრდა პოეტები კვლავაც ისე ხშირად სტუმრობენ შენს ოჯახს, როგორც ალბათ ბატონი ზურაბის სიცოცხლეში... რა გრძნობა გაქვს ხოლმე ისინი რომ მოდიან, მამის ლექსებს კითხულობენ, იხსენებენ... ეს ხომ უდიდესი სიყვარულია?

=ისინი ჩვენი ოჯახის სასურველი სტუმრები არიან ყოველთვის. მათი მოსმენა ძალიან დიდ სიამოვნებას გვანიჭებს. ჩემი დედიკო ერთი-ორად ხარობს, როცა ისინი მოდიან ხოლმე. საინტერესო თემებზე ვსაუბრობთ, ვიხსენებთ ათას რაღაცას. ნიჭიერი თაობა გეყავს. ვისურვებდი, რომ სამაგალითოდ დაფრთხიანებულიყვნენ. სამაგალითოები ყოფილიყვნენ.

=ახლა როცა უკვე დიდი ხარ, რას შეცვლიდი წარსული ცხოვრებიდან, რაიმეზე ხომ არ გწყდება გული? შენი სურვილიც მითხარი რა?

=ალბათ არაფერს გარდა იმისა, რომ უფრო მეტ დროს გავატარებდი ჩემს ოჯახთან, ჩემს უსაყვარლეს მამიკოსთან ერთად, რომელიც დღითიდღე მაკლია დედა სახეზეა, ალბათ ბევრი რამ გსმენიათ მასზე, როგორ მეუღლეზე და როგორც მეგობარზე ჯანმრთელობა მინდა ვუსურვო მას.

=მეც მინდა შენს დედიკოს ჯანმრთელობა და სიკეთე ვუსურვო... ის ადამიანი, ვინც ზურაბ გორგილაძის გვერდით ცხოვრობდა, მწამს, რომ უაღრესად ბედნიერი ქალბატონია...

=და ბოლოს ინტერვიუ იცით რითი მინდა დავასრულო, ერთი ახალგაზრდა პოეტის, კარგი ქართველის ჯაბა-ნიკოლოზ გორგი-

ლაძის შეკითხვით, რომელმაც ზეპირად იცის და ძალიან უყვარს ზურაბ გორგილაძის პოეზია, განსაკუთრებით კი „მეთევზე ბიჭის ბაღადა“

=რა უნდა გააკეთოს ადამიანი, რომ იყოს ბედნიერი და თავმდაბალი ისეთი როგორც თქვენ ხართ და როგორც ვიცხოვრიათ ბატონო ზურაბ -შეეკითხებოდა ის... დღეს კი შენ მიპასუხე.....

=შე ვფიქრობ ყველა სიტუაციაში ადამიანი უნდა იყოს უანგარო, სუთთა და ალალი.

ასეთი იყო ზურაბ გორგილაძე!

P.S. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ქალბატონო ინგა ჩემი მამის გახსენებისათვის, წარმატებები.

მადლობა შენ, ვიცხოვროთ უანგაროდ.

2014 წელი. 29 ოქტომბერი.

ინტერვიუს უძღვებოდა ინგა გოგინბერიძე

- შენ ჩემი ბოლო რესპოდენტი იქნები 2014 წელში, 25-ე იღბლიანი რესპოდენტი. გწამს თუ არა იღბლის, ბედის ან უბედობის?

=სალამი, ჩემო ინგა, კარგია შობა-ახალი წელი, მე აღმსარებლობით მართლმადიდებელი ქრისტიანი ვარ, და არ მაქვს უფლება, ბედისწერის მწამდეს, მაგრამ როგორც ქალთა უმრავლესობას, და მითუმეტეს ორი შვილის დედას, მაქვს ცოდვა, მჭეროდეს, რომ ბედი თუ უბედობა დაბადებიდან თან მსდევს, თუმცა ხშირად, როცა სულიერი ძალისხმევა მყოფნის, ბევრ რამეს ეცვლი ჩემდა და სხვათა სასიკეთოდ, ღვთის წყალობით, ვახეხნხებ კიდევ ამას.

=მე და შენ ერთ ქალაქში გავიზარდეთ, ტოლები ვართ, ქალაქის ღონისძიებებზე ერთად გამოვდიოდით და ვმეგობრობდით, მაგრამ, მე შენ პირველად თითქოს, გერმანიიდან დაბრუნების შემდეგ გავიცანი... ახლაც მახსოვს ის დღე, პატარა გოგონასავეით ბოტასებით, შარვლით და გიტარით რომ შემოიჭერი ჩემს სამყაროში და მერე შენთვის ხელი არ გამიშვია... სანამ ამ საოცარ კაეშირზე ვილაპარაკებდეთ და დღევანდლობაზე, ჯერ წარსულზე ვთქვათ, რა შეგძინა გერმანიაში ყოფნამ და დაადო თუ არა კვალი შენს შემოქმედებით წინსვლას იმან, რომ ყველაზე ახალგზრდულ წლებში აქ არ იყავი, საქართველოში?

=სწორედ რომ შემოვიჭერი შენს საოცარ სამყაროში, რომელსაც მოგვიანებით „ინგას უბანი“ დაარქვი და ამაში სწორედ ის „ბოტასები“ და გიტარა დამეხმარა. ნახევარი საუკუნეა, რაც მწეხს ვუცქერ, მაგრამ ვერაფრით ვემშვიდობები სიყმაწვილეს, „ბოტასები“ განა მარტო სოფელსა და ქალაქს შორის მიაღვიღებს „სირბილს“, ის მახალგაზრდავებს, ხოლო გიტარა - ათი წელია, რაც იგი ჩემი სხეულის ნაწილად მექცა, და სწორედ მისი და

კალმის წყალობით, გერმანიიდან დაბრუნების შემდეგ, რუსინული შრომით გადაღლილი და გამოფიტული, გადაურჩი თუმცა ის ხუთი წელი - სიბორე სამშობლოდან და მიიმე შრომით მოპოვებული გროშები - სამუდამო სტიგმა ჩემს ცხოვრებაში. =ჩემსავით ვინ გავიგებს ჩემო ინვა..... შენ ნამდვილად მრავალმხრივ ნიჭიერი ქალბატონი ხარ პოეტი, კომპოზიტორი, ბარდი .....რამდენ ენაზე წერ და რატომ აიაჩიე ეს მიმდინარეობა?

=ინვა, განა შენ მეტყვი, თავად რატომ, ან როგორ, წერ შენს საოცარ მინიატურებს?! ყველაფერი მოვიდა თავისით, როგორც მაშველი რგოლი ამა სოფლის მორევში დამახინჯალისათვის. ქართული და უნიჭო, მე არ მინახავს, ერთადერთი რაც შეეგებებ ამ ღვთიურ მადლს, დაუღალავი შრომა და მზრუნველობაა, რომ არ ჩაძვრთვას და ღირსეულად მიეიტანო მსმენელამდე. რაც შეეხება ოთხ ენაზე წერას, ესეც ქართულთა უბედურებაა, რაკი ქართულად ვერ შევასმინე მავანო, ვიფიქრე, რუსულად გაიგონებენ - მეთქი, მერე გერმანულს მიუებრუნდი და ბოლოს ფრანგულადაც ეუმღერე სამყაროს, მჭერა, ჩემი ხმა, აღრე თუ გვიან, მაინც იქნება გავიხილი.

=შენი ხმა ესმის სამყაროს, გვესმის ჩვენ და ამიტომაც ხარ გამორჩეული... (მე ასე ვფიქრობ). თუმცა ვიცი რომ მუსიკალურ გარემოში დამკვიდრება არც ისე იოლია ...(საჭიროა ფული, თორემ ნიჭი არ გაკლავს) როგორ ფიქრობ რაიმე მიაკელი იმას, რომ მყარად დამკვიდრებულიყავი ამ გარემოში, თუ არავინ დაგეხმარა?

=ერთხელ გერმანიაში, სადაც ვმსახურობდი, სადილზე, ოჯახის დინახლსმა შეიღოს მენტორული ტონით უთხრა : " დაიმახსოვრე, შვილო, ფული - ეს ყველაფერია! "უცებ მე, მისმა მოსამსახურემ, გაეპროტესტე და ხმამაღლა განაცხაადე: არა,რას ამბობთ, ფული არა არის ყველაფერი". როგორ ფიქრობ, ინვა, რა მითხრა ფრაუქ?! - თუ ერთხელ კიდევ გაიმეორებთ ამ სისულელეს, სხვაგან მოძებნით სამსახურსო. ხოდა, ახლა მე ვამბობ : დღეს საქართელოში ფულია ყველაფერი, და სანამ ასეა, ჩემს შემოქმედებას არ უწერია არც წახალისება და არც საჭაროდ გამომხეურება. მაგრამ ერთსაც დაემატებ: ფული არ არის ყველაფერი, და რომ ამაში დარწმუნდეთ,

შეიხედეთ „ინგას უბანში“, სადაც მისი დიასახლისი, ცარიელი ენთუზიამითა და მიშველი ხელებით საოცრებებს ახდენს. ამის დასტური მინიმუმ ეს ინტერვიუა. რომელსაც ახლა თქვენ კითხულობთ.

=დიდი მადლობა ინგა ასეთი სიტყვებისათვის..... ჰოდა მითხარი, როგორ შეიყნობა ადამიანი შენი პოეტური თვალთახედიდან?

=მარტივად, სრულიად არაპოეტური ნაცადი ჩესით - გაჭირვებასა და ტკივილში.

= მე კი საჩინაღმდეგოდ ვუიქრობ. მიმაჩნია, რომ თუ ადამიანს ჩემი სიხარული უხარია, ის ჩემი ჭირისა და ვარამის გამზიარებელიც იქნება... მაგრამ ეს ჩემი აზრია.... ამიტომაც ძნელია რაღაც ადამიანურ ჩარჩოებში მოქცევა ყველაფერ იმის, რაც ღღეს ხდება გარშემო... ადამიანების ურთიერთობებში..... თუნდაც საყდრისის დანგრევა, რასაც შენ ძალიან აქტურად ეხმაურები - რას აღარებ ამ პროცესს და ხომ არ იცი როგორ დავძლიოთ ეს ყველაფერი?

=ის, რომ საყდრისი დაინგრა, უპირველესად, ჩვენსა, ქართველთა, ბრალია, მეტად რომ გვეფხიზლა, და ნინო მიქიაშვილივით და მისი მეგობრებივით მცველებად რომ დაედგომოდით ჩვენი საერთო სახლის, საქართველოს ამ საგანძურს, ქურდი და ყაჩაღი ვერას გახედავდა. თუ ღვთის სასუფეველი ჩვენშია, მაშინ საყდრისს, როგორც სულის ნაშხურეც, რა უნდა გარეთ?! ამიტომ ვიფხიზლოთ, ანუ ვიმპრომოთ, ვისწავლოთ და ვიბრძოლოთ, ქართველებო, ვიდრე მთელ საცხოვრისს გადაგვიბუგავდეს შინაური თუ გარე მტერი.

=ყოფითი ცხოვრებაა, უფრო რთული თუ შემოქმედებითი წვა?

=შემოქმედებითი წვა იმ კოცონს ჰგავს, რომლითაც ყოველდღიური რუტინული ცხოვრებისგან გათომილ ხელებსა და გულს, უფრო სწორად, „გულიდან გამოსულ ხელებს“( ინგა გოგიბერიძე) ითბობარც ამ კოცონის დანთებაა ადვილი, და ვერც წუთისოფლის საზრუნავს გაექცევი კაცი ამიტომ, შეძლებისდაგვარად, ორივეს უნდა უერთგულო, ერთი რამ ნამდვილად ვიცი, ყოფა და

ყოფიერება, როგორც ხორცი და სული, ერთმანეთს უნდა მსახურებდეს.

=რა არის ის სევდა რასაც ვერასდროს მოიშორებ გულიდან?

=გოდერძი ჩოხელზე უკეთ ალბათ ვერაფერს იტყვის: სიცოცხლე ადამიანად ყოფნის სევდაა. ერთ მშვენიერ დღეს, როცა გააცნობიერებ, თუ რა მოგანიჭა უფალმა სიცოცხლის სახით, იმ წამიდან მოყოლებული, გულიდან ვეღარ ამოიგლეჯ დარდსა და სევდას, გამოწეულს სიცოცხლის დაკარგვის შიშით.

=არაჩვეულებრივი სამახსოვროები დაწერე. ჩემი ამრით ისეთი, სიტყვათა რჩეულ საგანძურში რომ შესაძლებელია მოხედეს რა ამირებ? ახალი წიგნის გამოცემას ხომ არ გეგმავ და ამასთან ერთად, იცი რა მაინტერესებს კიდევ, მწერალთა კავშირის წევრი თუ ხარ?

=სამახსოვროები, რომელიც თავის დროს ელოდებიან, ცოცხალ კიდევ დაიცდიან, რადგან, თუ რაიმეს არ უხდება სულსწრაფობა და სიჩქარე, ეს შემოქმედებაა, მითუმეტეს, ეს შეგონებანი, ჩემი მხრიდან, გარკვეული პრეტენზიული განაცხადია, რაც საგანზე მითითებასა და სწავლებასაც გულისხმობს, და შემოქმედებით სითამამესთან ერთად თვითდარწმუნებულებაც მჭირდება, რომ ბოლომდე გულწრფელი ვიყო შეითხველისადმი, ამიტომაც ჩემი პირველი შეხვედრა მუგასთან იყო დღე-არაჩვეულებრივი.....

ყველა მომდევნოც ყოფილიყოს ჩემთვის არაჩვეულებრივი. დანარჩენი მხოლოდ ტექნიკის საქმეა - ის, ანუ მუზა, ამბობს, შენ იწერ და მერე სხვას უკითხავ ან უმღერ.

=ორი არაჩვეულებრივი შეილი გყავს, გვერდით კი ადამიანი, რომელისაც შენი სულის ფეთქვის ესმის...რას ინატრებდი ამ საახალწლოდ?

=ინვა, დასაწყისში შეითხეთ, მჯერა თუ არა ბედისწერისა, და ისევ გიდასტურებთ, რომ მჯერა, რადგან ჩემი ორი შეილი - ქეთევანი და ვიორგი თუმშალიშვილები - როგორც ორი ღვთაებრივი არსება, გულში დავანებული, მარად შიშისა სიხარულის ზღვარზე დამატარებენ, როგორც მშობელს, და მათი ყოველი მოძრაობა, თუ ქცევა.


იმ ჩვილის შერხევას ჰგავს, რომელიც მეძუძურ დედას ძვერდს უჩვენებს და გულს უფრთხილებს. თავიდანვე ყველაფერი მათ საწყაობზე დაიდო, და დღემდე ასე გრძელდება, რადგან დედის გულში შვილთა სისხლი გაივლის და ამის წყალობით აგრძელებს მშობელი სიცოცხლეს. ჩემი ვაჟი ახლა უკვე თაუადაა მშობელი და თავის მეუღლესთან, ნათიასთან ერთად პატარა დემეტრეს სიხარულში ღვანანს. დაე, დალოცოს ისინი, ყველანი მაღალმა ღმერთმა და მადლი და სიხარული უძრავლოს.

წარმატებები და სიყვარული იყოს შენი თანამდევო.

უღრმესი მადლობა, ჩემო ინგა, რომ საშუალება მომეცო, კიდევ ერთხელ დამედანსტურებინა ჩემი სიყვარული და პატივისცემა. უპირველესად შენთვის და "ინგა უბნის" ყველა წევრისადმი, და, რა აქმა უნდა, ყველასადმი, ვინც წაიკითხავს თუ უბრალოდ ამ ინტერვიუს სათაურს შეაგლეხს თვალს, და მინდა ვისურვოთ ამ წინა საშობაო დღეებში, რომ გქონდეთ ჯანი მრთელი, გული სიხარულით სავსე, ხელი სიუხვით დამძიმებული და იმედი საფუძვლიანი!

ორი ინგა-ინგა გოგიბერიძე და ინგა გოგუაძე-ბათუმი.  
ბათუმი და კელაგ ბათუმი. 2014 წელი დეკემბერი.

“მავრამ აღბათ მთავარი ნახატი ვინმე კონკრეტული ადამიანის ჯერ  
კიდევ წინაა და როცა მე მას შევხვდები, აუცილებლად დავხატავ”-  
საუბარი მხატვარ მიშა ბერძენიშვილთან



...მოგესალმებით ბატონო მიშა! დედაჩემი სულ მეუბნებოდა  
ბავშვობაში - კარგი მეგობრები უნდა გყვადეს, რომ შენც კარგი  
იყო... ამ პრინციპით ვცოხვრობ დღემდე... დავდივარ და ვეძებ...  
თქვენც ჩემი მეგობრის ირმა მირზაშვილის ინტერვიუდან გავიცანი...  
რა არის თქვენთვის მეგობრობა? იქნებ სიყვარულია?

...როგორ გითხრათ, მეგობრობა ჩემის აზრით ძალზედ სათუთი  
რამეა. ცხოვრების გზაზე შესაძლოა ბევრ ადამიანს შეხვდე, მავრამ  
ცოცხა თუ გამოგყვება ბოლომდე. თუმცა ერთი მომენტია, რომ ამ  
ქვეყნად მარტო მოდიხარ და იმ ქვეყნადაც მარტო მიდიხარ,  
შუალედში არის გზა მეტად მძიმე და რთული. თავისი ბევრი ბა-  
რიერით, პრობლემით, ლხინით თუ ჭირით და ვინც ამ გზაზე ბოლომ-  
დე წამოვა სანამ ორ სამყაროს შორის გასაყარზე არ მიხვალ, აი ის  
არის შენი მეგობარი. თავისთავად ეს სიყვარულია რადგან ამის გა-  
რეშე წარმოუდგენლია ეს ყველაფერი.

...ზუსტად მეც ასე ვფიქრობ და მეგობრობით და სიყვარულით  
ამიტომ დავიწყე. თქვენი ნამუშევრები საოცარი სითბოთია გაჟღერ-  
თილი. და სიყვარულით... მავრამ დიდი სევდაც იგრძნობა. საიდან  
მოდის სინათლე თქვენს შემოქმედებაში? და როგორია თქვენი  
განწყობა დილით?

...დილას გააჩნია. თუ ცუდი ამხილია, ქარია, წვიმს და  
მოწყაული ფერებია, განწყობაც ესეთია. ნახატებს რაც შეეხება ბევრი  
ამბობს, რომ ნახატებში სითბო, სიკეთე და ასე შემდეგ განწყობა ჩანს.  
მე რაღაც დობით ეს მაღონიანებს კიდევ. რადგან ისეთი შთაბეჭდი-  
ლება მრჩება, რომ არა როგორც ნახატს, არამედ რაღაც ფუძემდებლად  
სათამაშოს უყურებენ. ეს გარკვეულ წილად საწყენიცაა, როცა ზუსტად  
ვერ აღიქვამენ იმას, რისი თქმაც გინდა თუმცა შესაძლოა ეს მხატვრის

ბრალიც იყოს, რადგან ესე იგი მან სწორად ვერ ვაღმოცა ის რაც უნდოდა რომ ეთქვა... მაგრამ თუ გულწრფელად მოსწონთ და დადებით განწყობას უქმნით, ეს რათქმუნდა სასიამოვნოა ჩემთვის.

...ნამდვილად დადებით განწყობას ქმნის თქვენი ნახატები, მაგრამ საოცარი სევდა. მოწყენილობაც ჩანს თითქოს... თქვენი ერთ-ერთი ნახატი "მგზავრი - ხურჯინით" მე ასე აღვიქვი:

.....თუხებზე ქალამნები მოირგო. გულში სევდა ჩაიწერა, ხელში რკინის ჭოხი დაიჭირა და ცხოვრება ცომახად მოივლო მხარზე... მხარზე, რომელსაც მისი თჯახის წევრები ეყრდობოდნენ... მხარზე, რომელსაც სატკივარი და სიხარული ერთად ემოქონდა და ახლა კი სადღაც შორს მიდიოდა... სხვა ქვეყანაში... უცხო მხარეში, სადაც ზეცა ცისფერი აღარ იქნებოდა. მთები მწვანით შემოსილი და ზღვა შავი... უთქმული და უტყევი... მიდიოდა გზაზე..... თუქრებით სავსე ცომახა კი მხარს არ უძიებდა"... და მაინც სითბოზე ვადავინაცვლოთ... თქვენი საახალწლო ბარათები არის ჯადოსნური სამყარო. სამყარო სადაც შეხეაღ და გამოსვლა არ მოგიწდება..... ბავშვობაში დაბრუნდები..... ბავშვობის განცდა დიდობაშიც ვაქვთ?

...მე ვფიქრობ, რომ ბავშვებს სამყაროს აღქმის უფრო თავისუფალი უნარი აქვთ ვიდრე უფროსებს. ისინი უფრო გულწრფელები არიან და კარგისა და ცუდის ადვილად გარჩევის უნარი აქვთ. არ უყვართ როცა ატყუებენ და შესაბამისად თვითონაც ნაკლებად იტყუებიან. უფრო სუფთები არიან და იმ შავ ფერებს ვერ აღიქვამენ, რომელიც ცხოვრების გზაზე გხვდება. ადამიანს რაც უფრო დრო გადის, შესაძლოა მეც რაღაც დროით ესე ვარ, რადგან საშინლად ვერ ვიციან ტყუილს ან შესაძლოა ამით მწარე რეალობას მიხედა თავი ავარიდო. უბრალოდ მგონია რომ თუ ცოტათი მაინც ადამიანები შეძლებენ ბავშვივით აზროვნებას დიდი გონების პარალელურად უფრო კეთილები იქნებიან და შესაბამისად ამდენი სიბოროტეც არ იქნება. ხოლო რაც შეეხება ჩემს ნახატებს რამდენად გულწრფელია, ეს მნახველმა განსაჯოს... მე მათზე ვერაფერს ვერ ვიტყვი.

...ნამდვილად გულწრფელია და მართლი თქვენი ნახატები... იქნებ პატარებთან ერთად ხატვის დროს მუსიკა გეხმარებათ.. რომელ

მიმდინარეობას უსმენთ? ...რაც შეეხება მუსიკას, როგორ გითხრათ, ესე კონკრეტული მიმდინარეობა არ მაქვს არჩეული, კლასიკაც მიყვარს, როკიც, ბლუზიც, ჯაზიც, გააჩნია განწყობას. რაც შეეხება ხატვის დროს მებძარება თუ არა იშვიათად თუ მუსიკის ქვეშ ვხატე, უფრო მეტად წყნარ და მშვიდ გარემოში მიყვარს მუშაობა. უფრო მეტად ვახდენ კონცეფტირებას ნამუშევარზე, თუმცა ყოფილა შემთხვევები როცა მუსიკასაც დიდი როლი უთამაშია რომელიმე კონკრეტული ნახატის შექმნაში.

...ჩვენი კითხვები რატომღაც დღეს მეტწილად ბავშვობის თემას დასტრიალებენ თავს... ბავშვობაში დღიურებს რომ ვაქსებდით ხომ გახსოვთ. ჰოდა ერთი კითხვა იქედან უნდა დავისვათ - ვინ არის თქვენი საყვარელი მხატვარი? და პირველი შეყვარებული დაგვიხატავთ?

...სიმართლე გითხრათ არასოდეს არ მიყვარდა ეს დღიურები. განსაკუთრებით ბოლო კითხვა. დამიხატე რამე და ყველა მიკიმაუსს ან დიდყურებიან კურდღელს რომ ხატავდა ოვალისებრი თვალებით (იცინის) რაც შეეხება საყვარელ მხატვარს ესე გამოყოფილი ვინმე კონკრეტული არ მყავს. სხვადასხვა დროს სხვადასხვა მხატვარი მომწონდა, მაგალითად დალი, რენუარი, რემბრანტი, მონე, ვან დეიკი, შატისი, კრანახი, ლეონარდო დაუინჩი, ბოსხი, კლიმტი, შინო, მათი სია ძალიან დიდია ალბათ ყველას ვერ ჩამოვთლი, ყველას თავისი დრო ქონდა. ამჟამად მოდილიანი მომწონს, რაც შეყვარებულს შეეხება პირადად მე შედმივად შეყვარებული ვარ. ოღონდ ამ საყვარულს ჯერ ობიექტი არ ჰყავს. იყვნენ ჩემს ცხოვრებაში ადამიანები, რომლებაც ვაღაძრევეტი და დიდი როლი ითამაშეს ჩემი შემოქმედების განვითარებაში და რასაკვირველია მე ჩემი ინტერპრეტაციით ეს ადამიანები დამიხატია, მაგრამ ალბათ მთავარი ნახატი ვინმე კონკრეტული ადამიანის ჯერ კიდევ წინაა და როცა მე მას შევხდები აუცილებლად დავხატავ.

...ესე იგი დიდი ბედნიერება თქვენ და მნახველსაც წინ ელოდება... მინდა დიდი საყვარული და ყოველივე საუკეთესო გისურვოთ.

...თქვენ ცნობილი მხატვარი ბრძანდებით, ბევრი ინტერვიუც მიგიციათ, მაგრამ იქნებ ერთი მკითხველი შეგვხვდეს ვინც არ ვიცნობთ და იმათთვის ხომ არ ვვეტყვიით თქვენი ოჯახის და ტრადიციების შესახებ? რამდენი გამოთენა გქონდათ და სად შეიძლება თქვენი ნახატების ნახვა ღდეს?

...იმისათვის, რომ სახელი მოიხვევო ძალიან დიდი გზის გავლდა საჭირო და ზოგჯერ ამ სახელის მოხვევაც არ ხდება ხოლმე. ვერ ვიტყვოდი რომ ცნობილი ვარ, ეს მხოლოდ ახლობლების წრეში აღბათ და სავარაუდოთ იქაც ნაკლებად. რაც შეეხება ოჯახს, ჩვეულებრივი ოჯახის შვილი ვარ, დედა მუსკეის მასწავლებელია, მამა გეოლოგი ვახლდათ ასევე მყავს ძმა უფროსი სულ ესაა. ბაბუა მყავდა მხატვარი ვისგანაც ეს ნიჭი მერგო... რაც შეეხება ტრადიციებს, ჩემი ოჯახიც ამ ტრადიციების მიმდევარია, თუმცა არ დავმალავთ და ზოგი ტრადიცია ჩემთვის მიუღებელია და უფიქრობ რომ უნდა რადაცნაირად შეიცვალოს სხვა რამით... ჩემი ნამუშევრების ნახვა აქაც შეგიძლიათ-Misha Berdzenishvili. My Artworks ...ხომ არ დააკონკრეტებდით რომელი ტრადიცია არ მოგწონთ?... რთულია ასე დააკონკრეტო, მაგრამ ყველაზე მეტად რაც მაღიზიანებს ეს ქელეხის სუფრაა...

...ისეთი ერთი ნახატის შექმნა თუ გიოცნებიათ, რომელშიც ყველაფერს ჩატვედით?...იცით, ძალიან რთულია ყველაფერის ერთ ნახატში ჩატვეა, ძალიან ბევრი რამეა გასაკეთებელი, სათქმელი, რთულია ეს ყველაფერი ერთ ნახატში ჩაატო. უფიქრობ, რომ ვერ შევძლებდი ყველაფერის ერთ ნახატში ჩატვეას, რადგან ეს ყველაფერი დიდ გაუგებრობას გამოიწვევდა და კიდევ ერთი პრობლემა დაემატებოდა ამ ყველაფერს.

...აღბათ სწორია თქვენი პასუხი, ერთი ნახატში და ერთ ნაწარმოებში რომ ეტეოდეს ჩვენი ცხოვრება მაშინ ხომ არ იარსებებდა ამდენი ნახატები და წიგნები...წარმატებები ბატონო მიძა! დიდი მადლობა რომ გამონახეთ დრო...რას უსურვებდით ქართველ ერს? ...მადლობა თქვენ ყურადღებისთვის. ...რაც შეეხება ქართველ ერს, ბავშობაში ერთი ზღაპარი წავიკითხე საბავშვო ჟურნალ დილაში,




კაცი რომელიც ნახავს რომ მის ქალაქში ხალხი გაბოროტებული დადის, სახლებიდან მოიპარავს სარკეებს რის შემდეგ ეს ხალხი ერთმანეთს დაუწყებენ თვალეზში ყურებას, რათა თავიანთი თავი დაინახონ და როცა თავიანთ თავს დაინახავენ სხვის თვალეზში კეთლები და ერთმანეთის მოყვარენი გახდებიან. სიტყვა სიტყვით ეს ზღაპარი შესაძლოა ვერ გავიხსენე მაგრამ შინაარსი და აზრი ესეთი იყო. მე ვფიქრობ, რომ სიყვარული და ურთიერთპატივისცემა გვაკლია რაც ბევრი რამით არის განპირობებული, ამიტომ ვისურვებდი, რომ შეგვეძლოს მიუხედავად არსებული მორალური თუ მატერიალური პრობლემებისა, არ დაგვეკარგოს ყველაზე მთავარი = რწმენა უფლსა და სიყვარული ერთმანეთის მიმართ.

.. გვიყვარდეს ერთმანეთი!  
დიდი მადლობა.

მიმა ბერძენიშვილი  
ინგა გოგიბერიძე  
ბათუმი- თბილისი-ოლონდ უკვე  
2015 წელი 13 იანვარი.

წინასიტყვაობა – ირმა მირზაშვილი	—
ვით კილაძე – საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მეცნიერების, კულტურის და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტის დირექტორის შოადგილე	11
მხატვარი ნინო ნიჟარაძე	16
მხატვარი თეიმურაზ ვაგნიძე	19
მსახიობი ვახტანგ გვიგინიძე	22
ემიგრანტი პოეტი ნანა ჩხაიძე	25
პოეტი შაყვალა დავლაძე	29
პოეტი ამირან ჯანჯღავა	33
თეატრმცოდნე ლამა ჩხარტიშვილი	38
მწერალი ირმა კაკოლიაშვილი	45
მწერალი შაია მახარაძე	52
პროფესორი-უქიმი მარი ბეზარაშვილი	55
მხატვარი მედეა კეილია	62
მწერალი ვურამ პეტრიაშვილი	68
მწერალი გიორგი აღნიაშვილი	71
რეჟისორი- გიორგი ჩხაიძე	74
პოეტი ეკატერინე დონდუა	81



მწერალი ფრიდონ მაღარაძე	97
მხატვარი სოფო მუშველიანი	92
მწერალი როზა ადამია	112
პოეტი ლანა მანველი	116
პოეტი გიორგი კეკელიძე	121
მწერალი ვია ჭიჭონაია	123
მწერალი თამაზ ექვთიმიშვილი	128
მწერალი მარინა თექთუამანიძე	131
თათია გორგილაძე	140
კომპოზიტორი, ბარდი, პოეტი - ინვა ვოგუაძე	145
მხატვარი მიშა ბერძენიშვილი	150

